საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

სოსო კიკნაძე

# ეროვნული იდენტობის პრობლემა ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

შიფრი 0312

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2023 წ

საავტორო უფლება © 2023 წელი სოსო კიკნაძე




**ოველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**



სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **სოსო კიკნაძის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„ეროვნული იდენტობის პრობლემა ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართვე ლოს ტექ ნი კუ რი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტე ტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადე მიუ რი ხარისხის მოსაპოვებლად.

------,------ 2023 წელი

ხელმძღვანელები: პროფესორი **სოსო სიგუა**

რეცენზენტი:-----------------------------------

რეცენზენტი:-----------------------------------




ველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2023 წ.

ავტორი: **სოსო კიკნაძე**

დასახელება: **ეროვნული იდენტობის პრობლემა ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში**

სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

სხდომა ჩატარდა ___________________________

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა ________________________

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მე თოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ცი ტა ტებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერა ტუ რის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულე ბისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

# რეზიუმე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იმდროინდელი საქართველოს მენშევიკური მთავრობა არ აღმოჩნდა მზად ქვეყნის სამართავად. ზოგადად ქართველებისთვისაც დამოუკიდებლობა იმ პერიოდში მოულოდნელი იყო, ვინაიდან საზოგადოება უკვე დიდი ხანი ცხოვრობდა კოლონიურ პირობებში. მენშევიკური მთავრობის პლიუსი იყო ის, რომ ისინი ცდილობდნენ ევროპისაკენ გზის გაჭრას. ზოგადად, ევროპული კურსი ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი იყო, სწორედ ევროპაში ხედავდა ქართველი ხალხი საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებს. თუმცა ევროპისაგან სიშორე ართულებდა მდგომარეობას და, ამავდროულად, ბოლშევიკური რუსეთი ამ პერიოდშიც ყველანაირად ცდილობდა საქართველოზე გავლენის აღდგენას. ამ პერიოდში საქართველოში არსებობდა სეპარატისტული კერები, რომლებიც დიდ პრობლემას უქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნამდვილად წარმოადგენდა ქართველი ხალხის უმრავლესობის აზრის გამოხატულებას, ის მაინც არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ ძირეულად გადაეჭრა ქვეყანაში არსებული პრობლემები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ გერმანიაზე ორიენტირებული პოლიტიკა აირჩია მენშევიკური მთავრობა სწორედ გერმანიაში ხედავდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეას. იმდროინდელი გერმანიაც დადებითად იყო განწყობილი ქართველების მიმართ და საქართველომ ამ მხრივ ნამდვილად სწორი არჩევანი გააკეთა. თუმცა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ ძალიან გაართულა საქართველოს მდგომარეობა და ქვეყანამ ახალი მფარველის ძიება დაიწყო.

საქართველოს იმდროინდელ მთავრობას პარიზის კონფერენციაზე ევროპის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველი რესპუბლიკის მთავრობას იმედი გაუცრუვდა საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი, რამაც უკვე ცხადად ქვეყანა რუსული აგრესიის წინაშე დატოვა. რამაც შემდგომში უკვე 1921 წლის რუსული ოკუპაცია გამოიწვია. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობა არ წყვეტდა ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ნოე ჟორდანია თავის ნაწერებში ყოველთვის უარყოფდა რუსეთს და ევროპას თვლიდა ადგილად, სადაც საქართველო უნდა დამკვიდრებულიყო. საქართველოს ევროპელებიც ყოველთვის დადებითი კუთხით განიხილავდნენ. თუმცა რუსეთის კოლიურმა მმართველობამ ქართველებში თანდათანობით ჩაკლა დამოუკიდებელი სახელმწიფო ქონის სურვილი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა  დაიშალა საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე პროევროპული განვითარების ვექტორი აირჩია, თუმცა იმ პერიოდში სამწუხაროდ ევროპა ვერ აცნობიერებდა საქართველოს პოტენციალს. დამოუკიდებლობის მოპოვება ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყნაში ტრაგიკულად წარიმართა, რუსეთი მეამბოხე რესპუბლიკაში წარმატებულად იყენებდა სეპარტისტულ რეჟიმებს, რითაც საფრთხეს უქმნიდა ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. ზოგადად, 90-იანი წლები ძალიან მტკივნეული გამოდგა, რადგან ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბალკანეთის ომი, რომელმაც დასავლეთი ევრპაც შეძრა. თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ მიზნად დაისახა ევროკავშირში გაწევრიანება, ვინაიდან ეს ორგანიზაცია კარგად გამოხატავდა ზოგად ევროპულ ფასეულობებს და ყველა ევროპელი ერისათვის მისაღები იყო. თუმცა ორგანიზაციაში გაწევრიანება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა და ქვეყნებს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის გარკვეული კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინათ. ძალიან რთული იყო იმ მანკიერებების აღმოფხვრა, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა, რადგან საბჭოური აზროვნება უკვე თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ხალხში იყო ღრმად

ფესვგადგმული, ევროკავშირი კი ამ მხრივ ფუნდამენტურ ცვლილებებს ითხოვდა რაც ადვილად განსახორციელებელი იმ დროისთვის ნამდვილად არ იყო.

ეროვნული იდენტობის საკითხი დღევანდელ დღეს ძალიან აქტუალურია. ეროვნული იდენტობა ანუ ცალკეული ერის ღირებულებითი სისტემა აუცილებელია, ნებისმიერი ერის არსებობისათვის. ამ საკითხის განხილვისას არ შეიძლება არ ითქვას ნაციონალიზმის შესახებ. ნაციონალიზმს ზოგიერთი მეცნიერი დადებით მოვლენად ნაწილი უარყოფითად აფასებს. ნაციონალიზმს აქვს, როგორც დადებითი ასე უარყოფითი მხარეები, თუმცა ნაციონალური ანუ ეროვნული გრძნობების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა განსაკუთრებით კი მცირე ერებისათვის. ეროვნულ იდენტობაზე საუბრისას ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური იდენტობის საკითხი. რელიგიური იდენტობაც არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგალითად, ქართველებისთვის მართლმადიდებელი ქრისტიანობა იყო ქართველი ერის გამაერთიანებელი და, შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს როლი ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რელიგიური იდენტობა მაგალითად ებრაელების შემთხვევაში არის ერთგვარი გამაერთიანებელი, რადგან ყველა იუდეველი სარწმუნოების მიმდევარი ადამიანი ებრაელია. რელიგიური იდენტობა ძალიან ძლიერია მუსლიმური რელიგიის მიმდევრებს შორის. დღევანდელ ევროპაში კი რელიგიური იდენტობა არ არის ძლიერი თუმცა ევროპელები პატივს სცემენ საკუთარ რელიგიას, როგორც საკუთარი იდენტობის შემადგენელ ერთ ერთ მთავარ კომპონენტს.

გლობალიზაციის პერიოდში თანდათანობით უკან იწევს ეროვნული იდენტობის ცნების მნიშვნელობა და ეტაპობრივად ეროვნული ღირებულებების გაუფასურება ხდება, რასაც მცირე ერები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ. 21-ე საუკუნეში გლობალიზაცია ყველა ქვეყანას შეეხო. გლობალიზაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ითქვას ვესტერნიზაციის შესახებ, რომელიც გულისხმობს ამერიკული კულტურის გავრცელებას მთელ მსოფლიოში. რადგან ამერიკა მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა ამიტომ მსოფლიოში განიცდიან ამერიკული კულტურის ზეგავლენას, რომელიც არაერთგვაროვან პოზიციებს იწვევს. ევროპაში ევროკავშირი შეგვიძლია მივიჩნიოთ გლობალიზაციის სახედ, რომელმაც გააერთიანა ევროპული სახელმწიფოები, ევროკავშირი ყველაზე წარმატებული გაერთიანებბა ევროპაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის მიმართ ბოლო წლებში იზრდება უარყოფითი დამოკიდებულება განსაკუთრებით მისი წევრების მხრიდან. მაგალითად, ვიქტორ ორბანი უნგრეთის პრემიერი აკრიტიკებს უნგრეთის ლიბერალურ პოლიტიკას, ის თვლის რომ ევროკავშირი იბრძვის ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ და ევროპას მიგრანტებით ავსებს. ასეთი განწყობები არ აქვს მხოლოდ ვიქტორ ორბანს, ბრექსტის შემდეგ ასეთი განწყობები ევროკავშირს შიგნით კიდევ უფრო ძლიერდება და ევროკავრის ერთიანობას საფრთხეს უქმნის.

მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებში ძალიან დიდია რელიგიური ფაქტორის როლი, მაგალითად: ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტი, სადაც ერთმანეთს ებრძვიან კათოლიკე ირლანდიელები და პროტესტანტი ინგლისელები. ინდოეთში რელიგიური ფაქტორი კიდევ უფრო ამძაფრებს დაპირისპირებას ინდოეთში მცხოვრებ მუსლიმებსა და პაკისტანელებს შორის. ამვდროულად რელიგიური იდენტობა ეხმარება ერებს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაში ამის კარგი მაგალითია დღევანდელი ებრაელი ერი, რომელმაც იუდეური სარწმუნოების შნარჩუნებით დაიცვა საკუთარი კულტურა და ტრადიციები.

დღევანდელ რეალობაში აქტიური საუბრები მიდის სეკულარიზმთან დაკავშირებით და ამ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვანაირი მოსაზრებები არსებობს. თუმცა სეკულარიზმის არსებობა დიდწილად იმ ქვეყნებშია მიზანშეწონილი სადაც ისტორიულად არ არსებობდა ერთი ტრადიციული რელიგია, ხოლო ტრადიციული ერებისთვის სეკულარიზმი უმრავლეს შემთხვევაში არ არის მისაღები და ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფოს დასუსტების წინაპირობაც გახდეს.

## Abstract

It may be said that after gaining independence, Menshevik government of Georgia appeared not the be ready for management of the country. Generally, those times, independence was unexpected to Georgian people, as society had lived in the colonial conditions. Plus of the Menshevik government was their attempt to cut the road to Europe. Generally, European route was the historic choice of Georgian people. It was Europe Georgian people saw the conditions for maintenance of national identity in. However, remoteness from Europe complicated condition and at the same time, Bolshevik Russia during the period was doing its best to recover influence on Georgia. Those times, there were separatist hubs in Georgia, who used to create problems to the territorial integrity of Georgia.

Notwithstanding the fact the government of the first democratic republic truly represented the expression of opinion of the majority of Georgian people, it still did not appear to be ready for rooted solving the problems existing in the country. After announcement of independence, Georgia selected the policy oriented to Germany. It was Germany Menshevik government saw the idea of maintenance of independence in. Germany of those times had positive intention towards Georgia and Georgia made correct choice in this regard. However, defeating of Germany in the First World War made state of Georgia difficult and the country started searching for the new patron.

Government of Georgia of those times relied greatly on Europe in Paris Conference, however, unfortunately, the government of the first republic was disappointed – Georgia could not manage to become the member of the League of Nations, leaving the country alone against Russian aggression. This further caused Russian occupation in 1921. The government of Georgia being in the emigration did not stop fighting for recovering independence. Noe Zhordania in his writings was always rejecting Russia and considered Europe to be the place of establishing Georgia. European always considered Georgia from positive point of view. However, coalition government of Russia had gradually depressed the desire of having independent government.

Since collapse of Soviet Union, Georgia faced multiple challenges. After gaining independence, the country selected pro-European development vector, however those times, unfortunately Europe could not understand potential of Georgia. The process of gaining independence was guided tragically in many post-soviet countries. Russia used to use separatist regimes successfully in the rebellious republic, thus threatening territorial integrity of the country. Generally, 90s appeared extremely harmful, as during this period Balkan War was performed, which shaken West Europe. Almost each post-soviet countries were aiming at the membership of European Union, as this organization was expressing general European values and it was acceptable to each European nations. However, becoming the member of the organization was difficult task and the countries were required to satisfy certain criteria for membership. Elimination of the perversions existing in the Soviet Union became extremely difficult, as soviet thinking was deeply rooted in all post-soviet people. European Union requested fundamental changes in this regard, which were not easy to perform those times.

The issue of national identity today is very actual. National identity, i.e. valuable system of separate nation is required for existence of any nation. We shall speak about nationalism, when considering the issue of national identity. Some scientists consider nationalism to be the positive, and another part – negative phenomenon. Nationalism has both – negative and positive sides, however existence of national feelings is of special importance, mostly for the small nations. When speaking about national identity, the issue of religious identity is of special importance. Religious identity is an important factor, i.e. orthodox Christianity of Georgians was considered to be unifier of Georgian nation and relatively it played the most important role in the lives of Georgian people. Religious identity, for example in case of Jews is a certain unifier as people of all Jewish faiths are Jews. Religious identity is very strong among

followers of Muslim religion. In todays Europe religious identity is not strong, however, the Europeans respect own religious, as one of the main components of the own identity.

In the ongoing conflicts in the world there is huge role of religious factor, for example: the conflict of Western Ireland, where Catholic Irish people fight against Protestant Englishmen. Religious factor complicates the conflict between Muslims residing in India and resident Pakistanis. At the same time, religious identity supports nations in maintenance of their identities. Today's Jewish nation is good example of this, who protected own culture and tradition by maintenance of Jewish religion. In current reality, there are active communications about secularism and there are different points of view in this regard. However, existence of secularism is mostly purposeful in the countries, where historically there were no traditional religions, while for traditional nations, secularism is not acceptable in the most cases and often it becomes precondition for weakening the state.

# შინაარსი


რეზიუმე 4
Abstract 7
შინაარსი 9
შესავალი 10
ლიტერატურის მიმოხილვა 20
თავი I. ქართულ–ევროპული ურთიერთობების და იდენტობის 30
თეორიულ–მეთოდოლოგიური ჩარჩო 30
1.1 იდენტობის თეორიის განვითარების ეტაპები 30
1.2 ევროპული არჩევანის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძველი 42
1.3 ევროპული იდენტობა და მისი არსი 46
1.4 ეროვნული იდენტობის თავისებურებები გლობალიზებულ სამყაროში 51
თავი II. ქართულ–ევროპული ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები 60
2.1 პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება და მისი პროდასავლური ვექტორი 64
2.2. ერთა ლიგა და პირველი რესპუბლიკის მთავრობის მუშაობა ევროპაში ემიგრაციაში ყოფნის დროს 69
2.3 იდენტობის პრობლემა საბჭოთა პერიოდში 84
თავი III. პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროპული არჩევანი და გამოწვევები 91
3.1 საქართველოს მონაწილეობა სამეზობლო პოლიტიკაში და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში 94
3.2 ევროკავშირის უნივერსალური ღირებულებები და ქართულ სინამდვილეში ადაპტირების პრობლემები 102
3.3 რელიგიის და ეკლესიის დამოკიდებულება ევროპული იდენტობის და გენდერული საკითხისადმი 108
დასკვნა 117
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 122

# შესავალი

***საკვლევი თემის აქტუალობა***. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე კარდინალურმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა სხვადასხვა ქვეყნის, ხალხისა და კულტურის ურთიერთკავშირების გაფართოება და ურთიერთდამოკიდებულება განაპირობა. ამ ცვლილებებმა მოიცვა სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა ფორმა და ორაზროვანი, ზოგ შემთხვევაში ჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებიც კი მიიღო. ეს გამოწვეულია იმით, რომ გლობალიზაციის პროცესები გულისხმობს ახალი ფორმებისა და ინსტიტუტების ფორმირებას, რომლებიც შექმნილია 21-ე საუკუნეში სოციალური პროცესების რეგულირების მიზნით და ამ კონტექსტში წარმოქმნილი ბევრი თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემა ახლებურ გადახედვას საჭიროებს.

გლობალიზაცია, საზოგადოებისა და ინდივიდის სისტემური პრინციპების ამოქმედებით, ბევრ აქამდე დამკვიდრებულ იდეას პრობლემად აქცევს, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი საკითხი იდენტობის პრობლემაა, საბაზისო ხასიათის სემანტიკური ინვარიანტების დინამიკა, როგორიცაა: ერი, სახელმწიფო, რელიგიური ღირებულებები, კულტურული ტრადიციები, მენტალიტეტი - პრობლემურს ხდის კვლევის ფუნქციონირების პარადიგმას, სოციალურ აზროვნების წინაშე ფუნდამენტური ხასიათის კონცეპტუალურ კითხვების გაჩენით.

ქართულ-ევროპული ურთიერთობები ყოველთვის იყო აქტუალური საკითხი და, მით უმეტეს, დღევანდელ დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ევროპულ სახელმწიფოდ პოზიციონირებულმა საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ევროინტეგრაცია გამოაცხადა.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს მე-20 საუკუნეში. აღნიშნული საკითხი აქტუალურია, იმ კუთხით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი, საქართველოსათვის ერთ-ერთი მძიმე პერიოდია და რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იმყოფება, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოსა და ევროპის დაახლოების პროცესი. ევროპასთან და ევროპელებთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ილია ჭავაჭავაძეს. მასთან არაერთი ევროპელი სტუმარი იმყოფებოდა, რომლებმაც შემდეგში თანამემამულეებს გააგებინეს თუ რას წარმოადგენდა საქართველო და რატომ უნდა დახმარებოდნენ მას. ამის კარგი მაგალითია უორდროპები,

რომლებიც საქართველოს ლობისტებად იქცნენ დიდ ბრიტანეთში. სწორედ ამ პერიოდში შედარებით უფრო გვიან ყალიბდებოდა ევროპული ინსტიტუტები. მაგალითად, ერთა ლიგა, რომელიც გაეროს წინამორბედი ორგანიზაციაა. წარსულის გააზრება არის ძალიან მნიშვნელოვანი უკეთესი მომავლის შექმნისათვის. იმ პერიოდში, როცა საქართველომ 1918 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა, მან კურსი ევროპისაკენ აიღო, ზოგადად, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან დამოუკიდებლობის წყვეტის ამდენი ხნის ისტორიაში საქართველომ ძალიან მცირე ხნით, მაგრამ მაინც მოახერხა დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამ პერიოდზე ბევრია დაწერილი და, ალბათ, ბევრიც დაიწერება.

1991 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანას ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია. ზოგადად, საბჭოთა კავშირის ბოლო წლები ბევრი ქვეყნისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვება, ისევე, როგორც საქართველოში, ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც ტრაგიკულად წარიმართა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველივე დღიდანვე საქართველომ დასავლური კურსი აირჩია, ვინაიდან ეს იყო ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარებოდა. ევროპისთვის ეს რეგიონი არც ისეთი მიმზიდველი ჩანდა, რადგან პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან დაკავშირებით ევროპას არ ჰქონდა მყარი პოზიცია მათთან მიმართებაში. თუმცა მალევე ევროკავშირმა დაიწყო კავკასიაში გააქტიურება და გარკვეულ პროექტებში ინვესტიციის ჩადება. ევროკავშირმა რეგიონში ფეხი სწრაფად მოიკიდა.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირისათვის ყველაზე საინტერესო ქვეყანა საქართველო იყო, რადგან მას სურვილი ჰქონდა გამხდარიყო დასავლური ტიპის სახელმწიფო.

თავდაპირველად ევროკავშირი საქართველოს არ სთხოვდა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და დასავლური ინტიტუტების შექმნას, არამედ ეტაპობრივად აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის რეგიონში უამრავი პრობლემა არსებობდა, ევროკავშირმა დიდი ფინანსური რესურსი დახარჯა ამ პრობლემების გადასაჭრელად და რეგიონის სხვა ქვეყნებთან დასაახლოებლად.

ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის გამოსაკვეთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალიზმს. იგი აუცილებელია ნებისმიერი ერის არსებობისათვის და ხელს უწყობს კონკრეტული ერის თვითიდენტიფიკაციას. მიუხედავდ იმისა, რომ არსებობს გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულებები ნაციონალიზმთან დაკავშირებით, ის მაინც დადებით ფენომენად მიიჩნევა, განსაკუთრებით პატარა ერების ცხოვრებაში.

ნებისმიერი ერის ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ იდენტობას. ეროვნული იდენტობა არის გარკვეული ღირებულებების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება ცალკეული ადამიანის გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფთან მიმართება. ეროვნული იდენტობა და, ზოგადად, ღირებულებები დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, ტრადიციები რომლებსაც შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ექცეოდა, დღეს თითქმის მივიწყებულია, თუმცა თითქმის ყველა ცივილური ერი ცდილობს საკუთარი ტრადიციებისა და წესების შენარჩუნებას.

ეროვნული იდენტობის განხილვისას, ასევე, საყურადღებოა რელიგიური იდენტობის საკითხიც. რელიგიური იდენტობა ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში მართლმადიდებლობა წარმოადგენს ეროვნული იდეის მთავარ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ხდება ქართველი ხალხის ცნობიერების განსაზღვრა.

დღევანდელ რეალობაში ძალიან აქტუალურია საკითხი ეროვნული იდენტობის მიმართება გლობალიზაციასთან დაკავშირებით. პატარა ერებისთვის გლობალიზაცია უარყოფით პროცესად აღიქმება, რომელიც ცდილობს მათი კულტურის დაკნინებას და სრულიად ახალი იდეოლოგიის გავრცელებას, რაც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ბევრი პატარა ქვეყნის კულტურას და იწვევს იდეოლოგიურ კონფლიქტებს. იდეური კონფლიქტები საკმაოდ ძლიერია ევროკავშირის შიგნით ვიქტორ ორბანის უნგრეთისა და ევროკავშირს შორის. ეს უკანასკნელი ცდილობს ლიბერალური დღის წესრიგი მოახვის თავს წევრი ქვეყნებს, ეს კი ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას არ სურს.

საქართველო ყოველთვის ისწრაფოდა ევროპული სივრცისაკენ და ამაზე მისი ისტორიაც ნათლად მეტყველებს. თანამედროვე ქართულ რეალობასთან თუ გავავლებთ პარალელს, ვნახავთ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უარი უთხრეს ერთა ლიგის წევრობაზე, ისე, როგორც დღევანდელ დღეს საქართველოს უარს ეუბნებიან ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაზე, თუმცა, ჩემი აზრით, საქართველო ამ ორგანიზაციების ყველა მოთხოვნილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და ის ფაქტი, რომ საქართველო, მიუხედავად ძალიან დიდი მცდელობებისა, არ არის ამ ორგანიზაციის

წევრი. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, ზოგიერთ საკითხებში ევროპელების უუნარობაზეც კი მეტყველებს, ვინაიდან მათ უჭირთ გარკვეულ საკითხებში მტკიცე პოზიციების დაფიქსირება. ევროპის ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ერთა ლიგის დროსაც და სწორედ ეს იყო საქართველოსთვის ამ ორგანიზაციის წევრობაზე უარის თქმის მიზეზი.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ მასში გაანალიზებულია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი. ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობას. აღნიშნული პერიოდი მნიშვნელოვნად არის გადაჯაჭვული თანამედროვე ქართულ რეალობასთან, რადგან იმ დროს მიმდინარე მოვლენები გარკვეულ თაობებს ჯერ კიდევ ახსოვთ.

დამოუკიდებლობის აღდგენა იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ეს თემა აქტუალობას არასოდეს დაკარგავს. ნაშრომში, ასევე, შევეხებით სახელმწიფო გადატრიალების საკითხს, რომელმაც დიდი ხნით დასწია ქვეყანა უკან. ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და გამოძიებული. ჩემი აზრით, ამ პროცესისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ზუსტი დეტალების დადგენა ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტი ასეთ გაურკვეველ ვითარებაში იქნა გარდაცვლილი.

ნაშრომში ასევე შესწავლილია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ხანა, რის საფუძველზეც შევეცდები მაშინდელი პროცესების ზუსტი გაანალიზებით იმ საგარეო პოლიტიკური მოვლენების უფრო დეტალურ და  გაშუქებას, რაც ევროპის მიმართულებით იქნა მიღწეული. ისიც აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ აღიარა ევროპაც მზად აღმოჩნდა საქართველოსთან სათანამშრომლოდ.

დღეს ასევე ძალიან აქტუალურია ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხი. საქართველო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მან მაინც შეძლო ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ეროვნულ იდენტობას მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიიდან ემუქრებოდა საფრთხე, ხოლო მაშ შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ჩაერთო თანამედროვე გლობალური სამყაროს შიდა საქმეებში, ეროვნულ იდენტობას საფრთხე ახლა დასავლეთის გარკვეული ორგანიზაციებიდან დაემუქრა, ეს ყველაფერი კარგად

გაანალიზა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რის გამოც მას ერთგვარად დაპირისპირებაც კი მოუხდა დასავლეთთან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზვიად გამსახურდიას მიიჩნევდნენ ნაციონალისტ პრეზიდენტთან, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა. ეროვნული იდენტობისთვის მთავარ საფრთხეს, ჩემი აზრით, წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებიც 90-იანი წლებიდან ფეხს იკიდებენ უკვე საქართველოში და ატარებენ არა სახელმწიფოს, არამედ უცხო ქვეყნების ინტერესებს სხვადასხვა ქვეყნებში.

***კვლევის მიზანი და ამოცანები.*** ევროპასთან ურთიერთობების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობის საკითხი. ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა მუდმივად დგას ხშირი გამოწვევების წინაშე. მაშინ, როდესაც მიმდინარეობს საუბარი ევროპასთან დაახლოების გზებზე, მაშინვე წამოიჭრება ხოლმე კითხვა - ხომ არ უქმნის ევროპასთან საქართველოს დაახლოება საფრთხეს მის ეროვნულ თვითმყოფადობას. ეს კითხვა დღევანდელ დღეს ბევრ პატარა ქვეყანას აწუხებს. თუმცა, ჩემი აზრით, დღევანდელ დღეს ევროპაში არსებობენ მცირე ქვეყნები, რომლებიც ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციულ ღირებულებებს. ასე რომ, შეიძლება თქვას, რომ ევროპასთან დაახლოებას თან ახლავს გარკვეული საფრთხეები, მაგრამ საკუთარი იდენტობის შენარჩუნება, ჩემი აზრით, ნამდვილად შესაძლებელი და აუცილებელიცაა. ზოგადად, ჩემს ნაშრომში მე განვიხილავ საქართველოსა და ევროპის ურთიერთობებს და ყურადღებას გავამახვილებ ეროვნული იდენტობის საკითხზე, რომელიც დღევანდელ დღეს თანამედროვე მსოფლიოში ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია.

***საკვლევი ჰიპოთეზა.*** ეროვნული იდენტობის პრობლემა დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში ძალიან აქტუალურია. რომ არა ცალკეული ერების ეროვნული მახასიათებლები, ნებისმიერი ერის არსებობას საფრთხე დაემუქრებოდა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ნაციონალიზმის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმმა გარკვეული უარყოფითი შედეგები მოიტანა, ის მაინც დადებითი ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ერების ცხოვრებაში. სწორედ ეროვნულმა იდენტობამ უბიძგა ცალკეულ ერებს, ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის და განთავისუფლებულიყვნენ კოლონიური წარსულისაგან. დღეს ეროვნულ იდენტობას საფრთხეს უქმნის გარკვეული საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზაციები. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ევროკავშირი, რომელიც ცდილობს იმ წესების დამკვიდრებას, რომელიც საფრთხეს უქმნის მცირე ერების კულტურას და ტრადიციებს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არის

საკმაოდ განვითარებული და წარმატებული ორგანიზაციის მოდელი. ეს ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუშალოს ნებისმიერ ნაციონალურ გამოვლინებებს ორგანიზაციის შიგნით.

ევროკავშირის დღევანდელ პოლიტიკას აქტიურად უპირისპირდება უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი, რომელიც ცდილობს მის ქვეყანაში ნაციონალური იდენტობის დამკვიდრებას და ცდილობს დაუპირისპირდეს იმ წესებს, რაც ევროკავშირის შიგნით არის მიღებული. ვიქტორ ორბანი მოიაზრება, როგორც კონსერვატორი პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს ეროვნული ღირებულებების დაცვას მის ქვეყანაში – უნგრეთში, ყოველივე ეს კი მიუღებელია ევროკავშირის ლიდერებისათვის. ევროკავშირის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვს იტალიის პრემიერს მატეო სალვინის და საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერს მარინ ლე პენს, რომელიც საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ემანუელ მაკრონთან მცირე სხვაობით დამარცხდა. ასეთი განწყობები კი მიუთითიებს იმას, რომ ევროკავშირის დღევანდელი პოლიტიკა ორგანიზაციის ბევრ წევრ ქვეყნას არ მოსწონს და ევროკავშირს მნიშვნელოვანი შიდა ცვლილებები აქვს განსახორციელებელი.

ჩემი კვლევის მთავარი ჰიპოთეზა არის ის, რომ მიუხედავად გლობალიზებული თანამედროვე რეალობისა, ეროვნული იდენტობა და ერების ნაციონალური გრძნობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ერის ცხოვრებაში და განსაზღვრავს მათ მომავალს.

***საკვლევი კითხვები***. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაჩნდა კითხვები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- როდის გაჩნდა ეროვნული იდენტობის ცნება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?
- რა ფაქტორები უშლიდა ხელს საქართველოს, ყოფილიყო ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობაში და რატომ ეთქვა უარი მას ევროპისაგან ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე?
- როგორ განისაზღვრება და რა არის ეროვნული იდენტობის ცნება დღევანდელ მსოფლიოში?
- აკავშირებს თუ არა რელიგიური იდენტობა საზოგადოებებს ერთმანეთთან ეთნიკურ ერთიანობაზე მეტად?
- არის თუა არა ნაციონალიზმი დადებითი მოვლენა დღევანდელ სამყაროში?
- რა ფაქტორია დღეს ეროვნული იდენტობისთვის მსოფლიოში ყველაზე მეტი საფრთხის შემცველი?

➢აქვს თუ არა ევროკავშირს უარყოფითი მხარეები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ნაციონალურ იდენტობას?

➢ხდება თუ არა დასავლური სამყაროს მხრიდან მესამე სამყაროსთვის საკუთარი ცხოვრების წესის იძულებითი თავსმოხვევა?

➢რა ფაქტორები განსაზღვრავს ქართული იდენტობის ძირითად ხასიათს?

➢დგას თუ არა თანამედროვე დასავლური სამყარო ლიბერალიზმის კრიზისის წინაშე?

***კვლევის თეორიული ჩარჩო.*** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული თეორიული ჩარჩო არის შემდეგი:

პოლიტიკური რეალიზმის თეორია – ამ თეორიის მიხედვით ცალკეული სახელმწიფოები იქცევიან საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და მიზნის მისაღწევად იყენებენ ყველა საშუალებას მათ შორის ძალას.

ეთნოსიმბოლიზმის თეორია – ერიკ ჰობსბაუმისა და ენტონის სმიტის მიერ შექმნილი კონცეფცია, რომლის მიხედვით, ნაციონალიზმი ესაა თანამედროვე ისტორიული მოვლენა, რომელსაც ჰქონდა სოციალური კულტურული და რელიგიური მახასიათებელი საერთაშორისო ურთიერთობებში.

პოლიტიკური მიდერნიზმი – ეს თეორია შემუშავებული იქნა ჯონ ბრეილის და ენტონი ჰიდენის მიერ. ამ თეორიის მიხედვით ნაციონალიზმი განიხილება, როგორც პოლიტიკური პროექტი, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ან მის დაყოფას.

პრემოდერნული თეორია – ამ თეორიის მიხედვით ნაციები (ერები) ყოველთვის არსებობდნენ და კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობაა ნაციებად არსებობა.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია – ამ თეორიის ავტორები არიან ამერიკელი რ. ქიოჰანი და ჯ. ნაი. ეს თეორია ეწინააღმდეგება პოლიტიკური რეალიზმის თეორიას და ამბობს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს როლი მცირდება, მის ნაცვლად კი გაზრდილია არასამთავრობო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების და ცალკეული პიროვნებების როლი. სამხედრო ძლიერება თანდათანობით უკანა პლანზე გადადის და უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე ხდება.

***კვლევის მეთოდოლოგია.*** საკვლევ თემაზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის რამდენიმე მეთოდი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია შედარებითი ანალიზის მეთოდი, ვინაიდან მეცნიერული კვლევა პირველ რიგში გააზრებას ემყარება, ამიტომ ძალიან

მნიშვნელოვანია სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი ნამუშევრების ერთმანეთთან შედარება, რადგან შევძლოთ სწორი დასკვნის გამოტანა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არგუმენტებით დავასაბუთოთ ჩვენს მიერ წამოყენებული მოსაზრება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კონტენტ ანალიზი ტექსტის გააზრება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია კვლევის მიმდინარეობის პროცესში. ერთია გარკვეული ტექსტის სირთულე და მეორე, როგორ აღიქვამს ამ ტექსტს დამწყები მკვლევარი, რადგან ერთი და იგივე ტექსტი შესაძლებელია გარკვეულმა ავტორმა სხვადასხვანაირად აღიქვას. ასე, რომ ტექსტის გააზრებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.

კვლევის მიმდინარეობის პროცესში ასევე გამოყენებული გვაქვს ცნობილი ადამიანების წერილობითი ინტერვიუები. ასეთი ინტერვიუების გამოყენებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, რადგან ამ დროს მკითხველს მიეწოდება უფრო დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საინტერესო მოვლენების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში წერილობითი ინტერვიუს ავტორი არის თვითმხილველი ან კარგი მცოდნე იმ ამბის რის შესახებაც აქვს მას გაკეთებული კონკრეტული ინტერვიუ. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ წერილობითი ინტერვიუ ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

***<u>კვლევის მეცნიერული სიახლე</u>.*** ქართულ ევროპულ ურთიერთობებზე ძალიან ბევრი რამ დაწერილა და მომავალშიც ბევრი დაიწერება. ამ თემაზე ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს და, შესაბამისად, ძნელია რაიმე ახლის თქმა, თუმცა წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორისეული ახლებური თვალთახედვით ქართულ–ევროპული ურთიერთობების გარკვეული ასპექტების გააზრების მცდელობას.

- ზოგადად, ყველა მკვლევარი ხომ თავისებურად საკუთარი მსოფლმხედველობიდან აღიქვამს ცალკეულ მოვლენებს, წინამდებარე კვლევაში კი ავტორის მიერ ყურადღებაა გამახვილებული ისეთ ნიუანსებზე, რასაც აქამდე არ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება. მაგალითად, გამოკვეთილია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი – მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის აქტიურად გამოხატავდა ევროპისაკენ სწრაფვას, ევროპა თითქოს გარკვეულწილად არ ღებულობდა მას. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, თუ რა ფაქტორები არსებობდა და დღესაც არსებობს ისეთი, რომ ევროპა

უარს ეუბნებოდა საქართველოს დახმარებაზე, ამ ყველაფერს კი ევროპული ქვეყნების შიდაპოლიტიკური პერიპეტიები განსაზღვრავდა;

- ასევე დიდი ყურადღებაა გამახვილებული ეროვნული იდენტობის საკითხზე და ავტორისეული ხედვაა წარმოდგენილი, იმასთან დაკავშირებით თუ, როგორ არ უნდა გადაიკვეთოს ქართულ–ევროპული კუტურული ურთიერთობების გზები და, ამ მხრივ, როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს საქართველომ ევროპასთან მიმართებაში, რომ შეძლოს საკუთარი იდენტობის შენარჩუნება;
- კვლევისას, ასევე, გამოკვეთილია რუსეთის უარყოფითი როლი საქართველოს ისტორიაში და უფრო კონკრეტულ ნიუანსებზეა გამახვილებული ყურადღება, ანუ იმ ფაქტებზე, რაც ფართო აუდიტორიისათვის ცნობილი არ არის. ავტორის აზრით, რუსეთის ფაქტორი და მისი უარყოფითი წვლილი საქართველოს ისტორიაში დღემდე არ არის ჯეროვნად შეფასებული და, აქედან გამომდინარე, მის მიერ წინ იქნა წამოწეული ის უარყოფითი მოვლენები, რაც რუსეთმა განავითარა საქართველოში, რომელიც ნამდვილად არ არის მცირერიცხოვანი, ანუ კონკრეტული ფაქტებით უნდა დადასტურდეს რუსეთის ძალიან უარყოფითი როლი საქართველოს ისტორიაში.

***ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება***. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია აღნიშნული თემის ირგვლივ აქამდე არსებული ნაშრომები და მკითხველს მიეწოდება ზუსტი ინფორმაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს ნაშრომი იქცევა ერთგვარ სახელმძღვანელოდ ქართული იდენტობისა და ევროპული ღირებულებების, საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

***სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა***: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 135 გვერდს და შედგება სატიტულო გვერდის, საავტორო უფლებათა გვერდის, რეზიუმეს, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ძირითადი ტექსტისა და ბიბლიოგრაფიისგან.

## ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოსა და ევროპას ურთიერთობების საკმაოდ დიდი და მჭიდრო გამოცდილება აკავშირებთ. აქედან გამომდინარე, ქართულ-ევროპული ურთიერთობების შესწავლა ყოველთვის იყო აქტუალური საკითხი, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო წრეებისათვის.

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას გავეცანით სხვადასხვა სახის ლიტერატურას და ყურადღება გავამახვილეთ ოფიციალურ დოკუმენტებზე, ასევე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელეეების განცხადებებსა და ცალკეულ სტატიებსა და პუბლიკაციებზე.

კვლევის დიდი ნაწილი ეყრდნობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, თუმცა გაკრვეული დოზით გაანალიზებულია უცხოელ მკვლევართა ნაშრომებიც, ვინაიდან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რა კუთხით ხედავენ ევროპელი ან ამერიკელი ავტორები ჩვენი ქვეყნის ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს პერიოდს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოცემულ ნაშრომთან დაკავშირებით არსებობს საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურა ქართულ ენაზე, ზოგადად, ეს პერიოდი მოიცავს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ამიტომ ქართულ სამეცნიერო წრეებში აღნიშნულ საკითხებს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი.

1. ***რევაზ გაჩეჩილაძე*** **„ჩემი მეოცე საუკუნე“ –** ამ წიგნში განხილულია მსოფლიოს უახლეს ისტორიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ანუ ის, რამაც გარკვეული მცირე ან დიდი ზეგავლენა მოახდინა დღევანდელი მსოფლიოს ბედზე. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან და მასში ძირითადად განხილულია საქართველოს უახლოესი

მეზობელი ქვეყნების უახლოესი პერიოდის ისტორია და ასევე ის მოვლენები, რაც განვითარდა საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდში. ამ წიგნში განხილულია საქართველოს პირველი და მეორე პრეზიდენტების პოლიტიკური მოღვაწეობის ხანა და, ასევე ის ნიუანსები, რაც საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებას მოიცავს. წიგნში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საბჭოთა კავშირის ლიდერებზე: ხრუშოვზე, სტალინსა და გორბაჩოვზე. ასევე წიგნი პოლიტიკური ცხოვრების გარდა, აგრეთვე, მოიცავს სოციალურ ასპექტებს.

2. ***ნატო სონღულაშვილი*** **„საქართველო და დასავლეთი ურთიერთობების შტრიხები“ –** ამ წიგნში ძალიან კარგადაა გადმოცემული საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობა 90-იან წლებში. ანუ ეს წიგნი მიმოიხილავს იმ გზას, რაც გაიარა საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღევანდელ დღემდე. ამ წიგნში გამოკვეთილია საქართველოს სურვილი, რომ მას სურს დასავლეთთან ახლო ურთიერთობა, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ქვეყნის მთავარი სურვილი და მიზანი იყო დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანება. მოცემულ ნაშრომში ასევე კარგადაა გადმოცემული საქართველოს ორი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება დასავლეთისადმი.

მიუხედავად ამ ორი პრეზიდენტის ურთიერთგანსხვავებული შეხედულებებისა, ორივე პრეზიდენტს გააჩნდა სწრაფვა დასავლეთისაკენ. წიგნში სხვადასხვა წყაროთა ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ინფორმაცია თუ რა ფორმით ვითარდებოდა ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამ წიგნში ასევე მოცემულია საქართველოს ორი პრეზიდენტის გამსახურდიას და შევარდნაძის მიმართვები დასავლეთის ქვეყნებისადმი.

3. ***ედუარდ შევარდნაძე*** **„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ –** ეს წიგნი წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ნაშრომს, რადგან ამ წიგნის გარეშე საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდისა და მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის აღქმა ამომწურავი ნამდვილად არ იქნებოდა. სრულად ვერ გაანალიზდება ბევრი მოვლენა და ვერ აღდგება მოვლენათა ჭეშმარიტი არსი. წიგნის ავტორი საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მანამდე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა. ხოლო უფრო ადრე 1972 წლიდან საქართველოს პარტიული ლიდერი დიდი პოლიტიკური მოვლენებისა და ბრძოლების უშუალო მონაწილე და მოწმე იყო. ეს წიგნი არ არის მხოლოდ მემორიალური ჟანრის ნაშრომი არამედ ის სამეცნიერო

ლიტერატურაზე დაყრდნობით არა მარტო აანალიზებს განვლილ მოვლენებს არამედ ერთგავარდ შეიძლება ითქვას, რომ მომავლის პროგნოზირებასაც კი აკეთებს. ეს წიგნი წარმოადგენს ბევრის მნახველი ადამიანის ნაშრომს, რომელიც დააინტერესებს არა მხოლოდ პროფესიონალებს, არამედ განათლებულ და ცნობისმოყვარე მკითხველსაც, ამ წიგნში საქართველოს მეორე პრეზიდენტი უშუალო ენით გადმოგვცემს მის შეხვედრებს უცხოეთის ლიდერებთან და გვიზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რაც დარჩა მას უცხოელი ლიდერების შეხვედრებიდან. დასკვნის სახით ამ წიგნთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომით ძალიან ბევრი კულუარული ინფორმაციის გაგება შეიძლება საბჭოთა კავშირის შიდა სტრუქტურაზე, ვინაიდან ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ამ სახელმწიფოს შიდა სტრუქტურის შესახებ უამრავ ინფორმაციას ფლობდა.

4. ***დოდონა კიზირია*** **„პუტჩი“** – წიგნის ავტორს გადმოცემული აქვს ის ამბები რისი თვითმხილველიც ის თავად იყო. ავტორს მოცემულ წიგნში თავმოყრილი აქვს ის ინფორმაცია, რაც ზოგადად სხვა თვითმხილველი ადამიანებისაგან აქვს გაგონილი. სამხედრო პუტჩი ძალიან მნიშვნელოვანი და, რა თქმა უნდა, დიდად ტრაგიკული მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ სამხედრო გადატრიალებამ ძალიან უკან დახია საქართველოს მომავლის განვითარების პერსპექტივები.

აღსანიშნავი და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ავტორის მიერ გამოყენებული მასალები არ შეიცავს სრულ ინფორმაციას სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ამ სახელმწიფო გადატრიალებაში ცალსახად იკვეთება, როგორც დასავლეთის ასევე რუსეთის თანამონაწილეობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია ცალსახად მიისწრაფოდა დასავლეთისაკენ, სამწუხაროდ, დასავლეთს არ აღმოაჩნდა საკმარისი მზაობა იმისთვის, რომ მას შეძლებოდა საქართველოსთან თანამშრომლობა და უფრო მეტიც დასავლეთი ცალსახად დაუპირისპირდა საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას.

5. ***დავით ეცადეიშვილი*** **„ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში“** (ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი) – 1956 წლის 9 მარტის სისხლიანმა მოვლენებმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ეეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც არც შემდეგ პერიოდში შეწყვეტილა და

შემდგომში ამ მოვლენებმა უკვე საფუძველი ჩაუყარეს დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობა მისი საწყისი ეტაპები და შემდგომში უკვე ამ მოძრაობის გაძლიერება, ნაშრომი სრულდება 1991 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის ცნობით. ეს პერიოდი არის ჩვენი ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანი, გარდა იმისა, რომ ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გაიჭრა ერთგვარი ფანჯარა დასავლეთისაკენ, აღნიშნული ფაქტი კი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ყოველთვის მზად იყო დასავლეთთან ურთიერთობისათვის ამ ყველაფერზე კი ნათლად მეტყველებს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოფიციალური მიმართვები დასავლეთის ქვეყნების ლიდერებისადმი.

6. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე* **„საქართველოს ისტორია 1783-1990 წლებში“ -** საქართველოს ისტორია 1783-1990 იან წლებში ასახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. წიგნში ობიექტურად ადრინდელი სტერეოტიპების საპირისპიროდ განხილულია ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ განვიტარებას მე-19 და მე-20 საუკუნეებში. წიგნში ყურადღება გამახვილებულია ქართველი ხალხის ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, როგორც ცარიზმის ბატონობის, ისე საბჭოური ოკუპაციის პერიოდში. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

7. **საქართველოს სახელმწიფო სახელმძღვანელოები -** წარმოადგენს რამდენიმე წიგნის კრებულს, სადაც დეტალურადაა განხილული საქართველოს პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მიმართვები დასავლეთის ქვეყნებისადმი. ეს წიგნი იმით არის განსაკუთრებული, რომ დეტალურად მოიცავს და განიხილავს იმ მამართვებს, რომლებიც საქართველს ხელისუფლების მხრიდან იყო გაგზავნილი ევროპელი ლიდერებისადმი. მკითხველი, რომელიც კარგად გაეცნობა ამ წიგნებს ნათლად მიხვდება, რომ საქართველოს პრეზიდენტები ცალსახად ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე მიისწრაფოდნენ დასავლეთისაკენ. ამ ყველაფერზე კი როგორც უკვე ითქვა ცალსახად მეტყველებს ის მიმართვები რაც ამ წიგნში ძალიან დეტალურადაა განხილული.

8. *__ნინო ოდილავაძე, კახმეგ კუდავა__* – **„79 ამბავი ზვიად გამსახურდია"** – ეს წიგნი არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შესახებ დაწერილი ავტობიოგრაფიული ნაშრომი. ეს წიგნი კარგად ასახავს საქართველოს უახლეს ისტორიაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს. ჩემთვის ეს წიგნი, ალბათ, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ნაშრომში კარგად ჩანს პირველი პრეზიდენტის უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთისადმი და სწრაფვა დასავლეთისადმი. ამ წიგნში ასახულია მომენტი, როდესაც პრეზიდენტი ნიქსონი ესტუმრა საქართველოს, რა თქმა უნდა, ეს იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგან ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა აუცილებლად სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირის ყოლა ამერიკის შეერთებული შტატები კი საქართველოსთვის იდეალური მოკავშირე და პარტნიორი შეიძლება ყოფილიყო.

მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავდაპირველად მიესალმებოდა პრეზიდენტ გამსახურდიას პრეზიდენტად დანიშვნას, თუმცა შემდგომში მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ მცურავი პრეზიდენტი უწოდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ეს წიგნი იმით არის საინტერესო რომ მისი წაკითხვა შეიძლება ერთი ამოსუნთქვით, რადგან არ ხდება მოვლენების თანმიმდევრობით თხრობა და მკითხველს აქვს საშუალება მალევე გადავიდეს სხვა ამბავზე.

9. *ჟურნალი* **„ჩემი სამყარო"** – ეს არის ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ჟურნალი, რომლის წაკითხვა, რა თქმა უნდა, უფროსი თაობის ადამიანებსაც შეუძლიათ ჟურნალ ჩემი სამყაროს ეს თავი ეხება საქართველოს პირველი დემოკრატიული რეპუბლიკის გარკვეულ პერიპეტიებს. ჟურნალის ეს ნომერი ალბათ იმით არის საინტერესო, რომ მასში მოცემულია დეტალურადაა განხილული დემოკრატიული რესპუბლიკის გარკვეული პერიპეტიები. მაგალითად, მასში მოცემულია იმდროინდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ანუ რა სოციალურ ღონისძიებებს ატარებდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ასევე ნაშრომში ზოგადად სოციალ დემოკრატიული პარტიის და მისი იდეოლოგიის შესახებ არის კონკრეტული ფაქტები მოყვანილი. და, ალბათ, რაც ყველაზე მთავარია, ჟურნალში არის განხილული პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა თუ რა ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა ის ევროპის ქვეყნებთან, თუმცა, სამწუხაროდ, ევროპელების უარის შედეგად ვერ მოხერხდა ევროპასთან კავშირის დამყარება და

საქართველო პირისპირ დარჩა რუსეთის აგრესიის წინაშე, რასაც 1921 წელს საქართველოს სრული ანექსია მოყვა საბჭოთა რუსეთის მიერ.

10. ***ნოდარ ასათიანი, ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა*** – **„საქართველოს ისტორია სასწავლო წიგნი“.** ეს წიგნი არის ისტორიის სახელმძღვანელო 11–ე კლასელებისათვის. წიგნი მოიცავს როგორც უძველეს მსოფლიო ისტორიას ასევე მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდს. პირადად ჩემთვის, რაც ამ ნაშრომში არის საინტერესო, მასში კარგადაა გადმოცემული მეცხრამეტე მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის ცალკეული მოვლენები. წიგნის ბოლო ნაწილში საუბარია თერგდალეულების მოძრაობის დაარსებასა და მათ მოღვაწეობაზე. წიგნში ხაზგასმულია თერგდალეულების განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე, განსაკუთრებით კი მათი როლი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. და ბოლოს უკვე საუბარი თერგდალეულების იდეოლოგიურ დაპირისპირებასა და შემდგომში უკვე მათ დაშლაზე.

11. ***შორენა მურუსიძე*** **„საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკა“** – წიგნი წარმოადგენს ენციკოპედიურ ნაშრომს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. წიგნი არის ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას. წიგნი თავდაპირველად იწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებით და მოიცავს ყველა იმ ძირითად მოვლენას რისი გავლაც მოუწია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ გზაზე. და სრულდება 1921 წლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით და საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლით.

12. ***ბელა (გიორგი) საითიძე*** **„პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო“** – წიგნი დაწერილია საარქივო დოკუმენტების საფუძველზე. გაკრიტიკებულია საბჭოთა ისტორიკოსების ტენდენციური დამოკიდებულებები. წიგნში დეტალურადაა განხილული ერთა ლიგის ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი ასპექტები საქართველოსთან მიმართებაში. წიგნი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის დაინტერესებული პირთათვის.

13. ***გიორგი შარაძე*** **„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“** – ამ წიგნში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი 1918 წელს. განხილულია ქართულ ევროპული

ურთიერთობები და საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა. ასევე წიგნში ყურადღება ექცევა მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლების მოღვაწეობას. წიგნი ძირითადად გათვალისწინებულია საგარეო ურთიერთობებისა და და ისტორიით დაინტერესებული პირთათვის.

14. ***გურამ გვერდწითელი*** **„9 აპრილი“** – წიგნში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და დეტალურადაა აღწერილი ის მოვლენები, რაც 90-იანი წლების საქართველოში ხდებოდა. მკითხველი დეტალურად გაეცნობა ამ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, რადგან წიგნში მოვლენები დიდი სიზუსტითაა გადმოცემული. წიგნში ყველა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოხატული, რაც 9 აპრილთან დაკავშირებით არსებობდა და ეს ყველაფერი სათანადო დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს მკითხველს.

15. **გურამ შარაძე „ილია ჭავჭავაძე“** – ეს ორტომეული ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ არის დაწერილი და იმდროინდელი საქართველოს შესახებ დიდ ინფორმაციას იძლევა. ორტომეულში დეტალურად არის გადმოცემული თერგადალეულების ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

16. ***ზურაბ დავითაშვილი*** **„ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“** – ამ წიგნში განმარტებულია ნაციონალიზმის არსი და მისი მიმართება გლობალიზაციასთან დაკავშირებით. წიგნში განხილულია ნაციონალიზმის როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. ავტორი საუბრობს ნაციონალიზმის შესახებ და კონკრეტული მაგალითები მოჰყავს მის ავ-კარგიანობასთან დაკავშირებით. წიგნში საუბარია სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიებზე. ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისათვის.

17. ***დიმიტრი შველიძე*** **„საქართველოს დასავლური ორიენტაცია“** – ნაშრომი ეხება საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან უახლეს ისტორიამდე. განხილულია საქართველოს და ევროპის ურთიერთობები. ყურადღება მახვილდება იმის შესახებ, თუ რატომ აირჩია საქართველომ დასავლეთი, თუ რა იყო ამის განმაპირობებელი. წიგნში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდზე. ავტორი ასაბუთებს, რომ ქართული სახელმწიფოს მიმართულება ყოველთვის დასავლური იყო და ქვეყანა აქტიურად იბრძოდა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

18. *ნოდარ ასათიანი, ნინო კიღურაძე, გივი ჯამბურია* **„საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), მეოთხე ტომი** – წიგნი ძირითადად განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირებისათვის. მეოთხე თავში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპიზოდები და იმ უმძიმესი მდგომარეობა რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა საქართველო რუსეთის კოლონიური იმპერიის პერიოდში და სრულდება კომუნისტური ხელისუფლების დასრულებით საქართველოში.

19. *ნატო სონღულაშვილი* **„საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა“** – ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიის უახლესი ეპიზოდები და ქართველი ხალხი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. წიგნში დიდი ყურადღება დათმობილია ქართული ეროვნული იდენტობის საკითხზე. აგრეთვე წიგნში გადმოცემულია 90–იან წლებში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

20. *ნატო სონღულაშვილი* **„ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა 1900-1921“** – წიგნში საუბარია ქართული ეროვნული იდენტობის მახასიათებლებზე, კლასობრივი ბრძოლის ფონზე. ნაშრომში უმთავრესი ყურადღება მაინც კლასობრივ განსხვავებებზეა გამახვილებული და ყველაფერ ამის ფონზე ავტორს განხილული აქვს ეროვნული იდენტობის საკითხი.

21. *ენდრიუ ჰეივუდი* **„პოლიტიკური იდეოლოგიები“** – ეს წიგნი ცნობილია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დაინტერესებული პირებისთვის და ითვლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად წიგნად საქართველოში. წიგნში ძირითადად საუბარია სხვადასხვა იდეოლოგიებზე და ამ იდეოლოგიების შესახებ ავტორი მკითხველს საკმაოდ დიდ ინფორმაციას აწვდის.

22. *ნესტან კირთაძე* **„პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა“** – წიგნში როგორც სათაურიდან ჩანს, ძირითადად, საუბარია დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობაზე და საქართველოს ურთიერთობაზე ევროპასთან მიმართებაში ხაზგასმულია ევროპის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის.

23. ჟურნალი **„მატიანე“** – ამ ჟურნალში დეტალური ინფორმაცია არის მოცემული საქართველოს პირველი პრეზიდენტის შესახებ, კარგადაა განხილული მისი მოღვაწეობა და მისი აზრები. ჟურნალში დადებითადაა შეფასებული ზვიად გამსახურდიას საქმიანობა და გაკრიტიკებულები არის მისი მოწინააღმდეგეები, ძირითადად მოყვანილია

გამსახურდიას ციტატები და შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგი ინფორმაცია არის შეგროვებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის შესახებ.

24. ***სემუელ ჰანთინგტონი*** **„ცივილიზაციათა შეჯახება“ –** ეს წიგნი საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისათვის ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ავტორი დეტალურად მიმოიხილავს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და საუბრობს სხვადასხვა საკითხებზე. წიგნში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა ცივილიზაციებზე და ამ ცივილიზაციებს შორის განსხვავებებზე. ჰანტინგტონი ერთგვარად წინასწარმეტყველებს იმ მოვლენებს, რაც მომავალში შეიძლება მოხდეს. ნაშრომმა დიდი წარმატება მოიპოვა მთელს მსოფლიოში და სემუელ ჰანტინგტონი იქცა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ავტორად.

25. ***ოთარ ჯანელიძე*** **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“ –** ამ წიგნში ავტორს განხილული აქვს 1918-1921 წლის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო საკითხები.

ნაშრომი ისტორიის სპეციალისტების გარდა განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველისთვის.

26. **გურამ შარაძე ნოე ჟორდანია რჩეული ნაწერები –** ნაშრომში საუბარია ნოე ჟორდანიას შეხედულებებზე. ჟორდანია საუბრობს ზოგადადდ საქართველოზე მიმოიხილავს იმდროინდელ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ჟორდანია ასევე საუბრობს ევროპის შესახებ და ასაბუთებს იმას, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი დასავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ჟორდანია თვითონ არის მხოლველი იმ მოვლენებისა რაზე ის საუბრობს ეს ყველაფერი ნაშრომს უფრო მეტად საინტერესოს ხდის.

27. ***ენტონი სმიტი*** **„ნაციონალური იდენტობა“ –** ავტორი მსჯელობს თუ როგორ უზრუნველყოფს რელიგია და ენა და საერთო სიმბოლიკა ნაციის შეგრძნებას იმ ხალხების მაგალითზე, რომლებსაც საკუთარი სამშობლო არ გააჩნიათ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნაციისადმი მყარი ერთგულების, როგორც დადებით ისე უარყოფით მომენტებზე. ბოლო თავში კი განიხილავს პოსტ-ნაციონალური სამყაროს ერთვარ პერსპექტივებს.

28. ***ზურაბ ავალიშვილი*** **„საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლის საერთაშორისო პოლიტიკაში“ –** წიგნის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი. წიგნში დეტალურად არის

გაანალიზირებული 1918-1921 წლების საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში. ავტორმა ეს წიგნი ემიგრაციაში პარიზში გამოსცა, რომელიც მოგონებების სახით პირველად 1924 წელს დაიბეჭდა.

# თავი I. ქართულ-ევროპული ურთიერთობების და იდენტობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო

## 1.1 იდენტობის თეორიის განვითარების ეტაპები

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს მოქმედებაში მოჰყავს საზოგადოებებისა და ინდივიდების სისტემური პრინციპები და ბევრ აქამდე ჩამოყალიბებულ იდეას პრობლემად წარმოსახავს. ერთ–ერთი ასეთი მთავარი საკითხია იდენტობის პრობლემაა, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ს. ჰანტინგტონიც, რომლის თქმითაც: „ხალხები და ერები ცდილობენ უპასუხონ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას, რაც შეიძლება ადამიანს შეექმნას – ვინ ვართ ჩვენ?“.[1]

ისეთი საბაზისო ხასიათის სემანტიკური ინვარიანტების, როგორიცაა – ერი, სახელმწიფო, რელიგიური ღირებულებები, კულტურული ტრადიციები, მენტალიტეტი – დინამიკა, მენტალიტეტი, პრობლემურს ხდის ფუნქციონირებადი კვლევის პარადიგმას და საზოგადოების წინაშე ფუნდამენტური ხასიათის კონცეპტუალურ კითხვებს. ამ სიტუაციაში იდენტობა გამოდის, როგორც ერთგვარი „პრიზმა, რომლის მეშვეობითაც განიხილება, ფასდება და შეისწავლება თანამედროვე ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი მახასიათებელი“.[2]

შეიძლება აღინიშნოს გარკვეული პარადოქსული სიტუაცია. მსოფლიოში ობიექტური ინტეგრაციის ტენდენციების ზრდას, რაც იწვევს ურთიერთდაკავშირებას და ურთიერთქმედებას თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, თან ახლავს ეკონომიკისა და სულიერი სფეროს გლობალიზაციის გამოვლინებებთან დაპირისპირების პარალელური, არანაკლებ სტაბილური პროცესი, რაც თავის გამოვლინებას ჰპოვებს სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში ცალკეული ეთნიკური და კულტურული თემების პროტესტის ფორმებში. უფრო მეტიც, ამ პირობებში კულტურის, იდენტობის, უნიკალურობის დაკარგვის შიში, რაც თითქმის ყველა ხალხისთვისაა დამახასიათებელი, ვლინდება ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცავი სახელმწიფოების დონეზეც.

[1] Хантингтон С. Столкновение цивилизаций и преобразование мирового порядка // Новая постиндустриальная волна на Западе: Антология / Под ред. В.Л. Иноземцева. М., 1999. С. 532.

[2] Бауман 3. Индивидуализированное общество М., 2002. გვ. 176.

ამრიგად, კაცობრიობა ორმაგი გამოწვევის წინაშე დგას. ერთი მხრივ, გაიზარდა პირადი თვითშეგნება და კულტურული იდენტობის განცდა, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ურთიერთგაცვლა ადამიანებს, ხალხებსა და ცივილიზაციებს შორის.

ეროვნული თვითშეგნების ზრდის ტენდენცია შესაძლებელია განვიხილოთ როგორც თავდაცვითი რეაქცია სოციალური ცხოვრების სტანდარტიზაციაზე. კულტურული მრავალფეროვნება და ეროვნული თვითმყოფადობა დღეს საფრთხის ქვეშაა, ადამიანები ცდილობენ დააწესონ ნებისმიერი მოდელი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი, გაათანაბრონ მთელი მისი მრავალფეროვნება ერთი შაბლონის ქვეშ. მაშასადამე, ხალხთა ბუნებრივი რეაქციაა საკუთარი თავის, საკუთარი უნიკალურობის დაცვა. მზარდი ანტიგლობალისტური ტენდენციები დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანებს არ სურთ იყვნენ რაიმე საერთო უსახო სამყაროს წარმომადგენლები, არამედ დარჩნენ კონკრეტული ეთნოკულტურული, ეროვნული საზოგადოების მატარებლებად.

თანამედროვე სამყარო, რომელიც ამჟამად ტრანსფორმაციის პროცესშია არ არის ერთიანი და საქმე არა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების არსებობაშია, არამედ კულტურული, ეროვნული იდენტობების კოლოსალურ მრავალფეროვნებაში, რომელიც შედის ინტეგრალური სამყაროს შექმნის პროცესში და იძულებულია ეძებოს გზები თავისი ორიგინალობის შესანარჩუნებლად.

იდენტობის პრობლემა მრავალმხრივია და იგი სვამს არამხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან კითხვას, როგორიცაა „ვინ ვართ ჩვენ?“, რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდისთვის და თითოეული კულტურისთვის, არამედ მას საფუძვლად უდევს ყველაზე ღრმა მეტაფიზიკურ კითხვა: „რა არის ადამიანი?“ გლობალიზაციის პროცესი აქტუალიზებს ადამიანის ჭეშმარიტი არსებობის ღრმა საფუძვლების საკითხს, ე.ი. სვამს გლობალური იდენტობის საკითხს, რაც ასოცირდება გლობალიზაციის სამყაროში ეროვნული, ეთნიკური და სახელმწიფოებრივი იდენტობის როლის ცვლილებასთან.

ეროვნული იდენტობის შესწავლა გლობალიზაციის კონტექსტში სხვადასხვა, მაგრამ ამავე დროს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგადამკვეთი სამეცნიერო დისკურსების კვეთაზეა. ამავე დროს, იდენტობის ცნება მრავალფეროვან მნიშვნელობას იძენს.

იდენტობა განიხილება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია, როგორც სოციალური ცოდნის კატეგორია, როგორც ფსიქოლოგიური კატეგორია, როგორც ინტერდისციპლინარული ცოდნის კატეგორია. აქედან გამომდინარე, ეს ტერმინი

ინტერდისციპლინურ ხასიათსაც იძენს. ტერმინ „იდენტობის" მნიშვნელობის გაფართოება განპირობებულია იმით, რომ ამოქმედდა ამ კონცეფციით ასახული სოციალური რეალობა. ამან განაპირობა ორი ურთიერთდაკავშირებული, თუმცა საპირისპიროდ მიმართული ტენდენციის აქტუალიზაცია: „იდენტობის" ცნების ფართოდ გამოყენება საჯარო რიტორიკაში და მისი დეკონსტრუქციის მცდელობები სამეცნიერო დისკურსში.

მნიშვნელოვანია, რომ იდენტობა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ბიპოლარული ოპოზიციის „ჩვენ – ისინი" შედეგი. უპირველეს ყოვლისა, იდენტობა აუცილებელია ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებისა და გამყარებისათვის და სხვადასხვა კულტურას შორის დიალოგის დასამყარებლად, რაც დამოკიდებულია კულტურული მრავალფეროვნების აღიარებასა და სრულყოფილ აღქმაზე. კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის დიალოგი გულისხმობს „გაგების გაცვლას" და არა „გაუგებრობის გაცვლას", რასაც კონფლიქტამდე მივყავართ. ამ პირობებში აქტუალიზდება გლობალიზაციის სამყაროში სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციის მქონე ადამიანების თანაარსებობის ფორმებისა თუ გზების საკითხი.

ამჟამად იდენტობა მოქცეულია სწრაფად ცვალებადი სოციალურ-კულტურული რეალობის ცენტრში. სწორედ იდენტობა აკავშირებს ტრიადის რგოლებს „პიროვნება – საზოგადოება – კულტურა". ამავდროულად, ახალი იდენტობის ძიებას, როგორც თანამედროვე საზოგადოების სოციოკულტურული დინამიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ვექტორს განიხილავს, უფრო მეტად უნდა ვისაუბროთ თვითიდენტიფიკაციის უწყვეტ პროცესზე, რომლის დროსაც სოციალური აქტორი არამხოლოდ ცნობს, აშენებს და ცვლის საკუთარ თავს, არამედ აყალიბებს საკუთარ ცხოვრებისეულ საზრისს და ადაპტირებას ახდენს გარე სამყაროსთან.

ახალი სოციალური კავშირების კონტექსტში, რომლებიც აგებულია გლობალური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელების ფარგლებში, იდენტობა ხასიათდება დინამიზმითა და არასტაბილურობით. ამიტომ ხდება პირველადი იდენტობის გაძლიერება, ე.ი. კულტურული მოდელების ის სტაბილური ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ აღწერილია, როგორც ტრადიციონალისტური (ეროვნული კულტურა, რელიგიური ღირებულებები და ა.შ.). ამავდროულად, თუ ადრე ტრადიციონალისტური ღირებულებებისადმი მიმართვა განიხილებოდა, როგორც მოდერნიზაციის წინააღმდეგობა, ახლა პირველადი იდენტობა ხარისხობრივად განსხვავებულ მახასიათებლებს იძენს. მიმდინარეობს ტრადიციული დამოკიდებულების გადახედვა და

ადაპტირება ახალ სოციალურ რეალობასთან, რომელიც ხასიათდება ღიაობითა და არაწრფივი განვითარებით. ამ ახალ ვითარებაში ადამიანებმა უნდა მოძებნონ სამყაროსთან ადაპტაციის ახალი ფორმები, ისწავლონ ცხოვრება არასტაბილურობისა და გაურკვევლობის სივრცეში, შეამცირონ ეს გაურკვევლობა და არასტაბილურობა თავისი ორგანიზებული და მოწესრიგებული მოქმედებებით.

გლობალიზაციის პროცესებს მივყავართ იქამდე, რომ საზოგადოებრივი, მაკროსოციალური ურთიერთობები სცილდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თემების ჩარჩოებს და ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს.

ტრადიციულად, საზოგადოება, რომლის წევრადაც ადამიანი თავს გრძნობდა – სოციალური სივრცე, რომელშიც იკეტებოდა მისი კავშირი საზოგადოებასთან, – იყო ერი, ქვეყანა, სახელმწიფო. კარდინალური გარდაქმნები ხდება კულტურის სფეროშიც. ყოველივე ამის შემდეგ, პიროვნების იდენტურობა გარკვეულ საზოგადოებასთან, უპირველეს ყოვლისა, რეალიზდება იდეების, ნორმების, ქცევის ნიმუშების ინტერნალიზებით, რომლებიც ქმნიან მის კულტურას. ეროვნული და სოციალური თემების ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურები არის მთავარი წყარო, საიდანაც ადამიანი იღებს სასიცოცხლო მნიშვნელობებს, რომლებიც ქმნიან მისი თვითშეგნების საფუძველს, მისი არსების სულიერ შინაარსს. ადამიანს, რომელმაც დაკარგა კულტურული ფესვები, ემუქრება ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია, შინაგანი წესების დაკარგვა, რომლებიც არეგულირებენ და აუმჯობესებენ მის მისწრაფებებსა და მიზნებს.

ერი და ნაციონალიზმი ბუნებით რთული, მრავალგანზომილებიანი ფენომენებია და ამავდროულად, როგორც ჩანს, სოციალური რეალობის უკვე ნაცნობი ელემენტები, მათი ურთიერთდაკავშირებით მთავარ როლს თამაშობენ საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიფოებისა და ეთნიკური თემების ცხოვრებაში.

თანამედროვე სამყაროში მიმდინარეობს ხალხებსა და კულტურებს შორის ინტენსიური ურთიერთქმედების პროცესები, ეროვნული საზღვრები სულ უფრო და უფრო ღია ხდება. მეორე მხრივ, იზრდება ეროვნული იზოლაცია, ეთნიკური და რელიგიური წინააღმდეგობების ესკალაცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ფენომენების „ერი“ და „ნაციონალიზმი“ ისტორია ორ საუკუნეზე მეტს ითვლის, თუმცა, საკმაო პერიოდის განმავლობაში, ეს ფენომენები კვლავ დაბრკოლებას წარმოადგენს კვლევით დავებში. მეცნიერთა უთანხმოება აჩენს ამ ცნებებისა და ფენომენების ტერმინოლოგიის, გენეზის, ტიპოლოგიისა და ევოლუციის საკითხებს. ბევრი

ცნების მსგავსად, რომლებმაც მიიღეს საყოველთაო გავრცელება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ისევე როგორც პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ცნებები „ერი“ და „ნაციონალიზმი“ გამოირჩევა გაურკვევლობითა და არასაკმარისი სიმკაცრით. მათში შემავალი შინაარსობრივი არსი განსხვავდება მკვლევარის ისტორიული კონტექსტის, მეთოდოლოგიისა და იდეოლოგიური პრეფერენციების მიხედვით.

თანამედროვე გაგებით, ეს ფენომენი დასავლეთ ევროპაში ჩნდება არა უადრეს მე-18 საუკუნეში, ხოლო სხვა რეგიონებში კიდევ უფრო გვიან – XIX საუკუნის ბოლოდან. აქამდე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და პუბლიცისტები ცდილობენ ამ ორი უნიკალური ფენომენის თავისებურად გააზრებას და ინტერპრეტაციას.

უცხოურ ლიტერატურაში, რომლებშიც გაანალიზებულია იდენტობის ცნება და არსი შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

**1. XIX – XX ს-ის 20-იანი წლები -** „ნაციის“ და „ნაციონალიზმის“ ფენომენების შესწავლის დასაწყისი დაემთხვა რევოლუციების ეპოქას, ძირითადი ევროპული ერების გაჩენას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების აღზევებას. ნაშრომებში ი. გ. გერდერა, ი.გ. ფიხტე, ჯ. მილა, ჯ.-ჯ. რუსო, ე. რენანი, მ. ვებერი1 და მე-19 საუკუნის მრავალი სხვა ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და სოციოლოგი. საფუძველი ჩაეყარა ერის ორი დოქტრინის — „გერმანული“ და „ფრანგული“ მომავალ წინააღმდეგობას;

**2. 1920-1960 წწ. -** ეროვნული სახელმწიფოების შექმნის პერიოდი და ამ პროცესის გააზრება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ პერიოდის დასაწყისში კვლევა ძირითადად შედარებითი ისტორიულ-ისტორიოგრაფიული გეგმით მიმდინარეობს. შემდგომში ნაციონალიზმის შესწავლა იძენს სიღრმისეულ თეორიულ ხასიათს, თანდათან შორდება ისტორიულ კონტექსტს. ამერიკელი ისტორიკოსი კ. ჰაიესი თავის შედარებითი კვლევაში „წერილები ნაციონალიზმზე“[3] ასახავს მისი გავრცელების ძირითად ეტაპებს და ხაზს უსვამს დაწყებითი განათლების როლს. კიდევ ერთი ამერიკელი პროფესორის ჰ. კონის ნაშრომები „ნაციონალიზმის იდეა“ და „ნაციონალიზმი: მისი მნიშვნელობა და ისტორია“[4] უფრო გავლენიანი აღმოჩნდა ნაციონალიზმის კვლევების შემდგომ განვითარებაზე, მათ გამოარჩიეს და დაასაბუთეს დასავლური (რაციონალური) და ნაციონალიზმის აღმოსავლური (ირაციონალური) ტიპები. კ. დოჩმა თავის წიგნში „ნაციონალიზმი და

[3] Hayes A., „Brexit“. https://www.investopedia.com/terms/b/brexit.asp (22.01.2022).
[4] Kohn H. The Idea of Nationalism: A Study of its Origins and Background / H. Kohn. - N.Y.: The Macmillan Company, 1944; Nationalism. Its Meaning and History. N.Y.: Krieger Publishing Company, 1982.

სოციალური კომუნიკაცია",[5] შეისწავლა ნაციონალიზმის იდეოლოგიის გავრცელებისა და რეპროდუცირების საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ მხოლოდ თანამედროვე სამყაროში წარმოქმნილ კომუნიკაციების სისტემას შეუძლია გამოიწვიოს ჰომოგენური კულტურული საზოგადოება და შემდგომში ერი.

**3. 1960-1970 წწ-ების პერიოდი**, რომელსაც ახასიათებს მკვლევართა ინტერესის ნაციონალიზმის პოლიტიკურ ასპექტებზე გადასვლა. ჩ. ტილლის,[6] ჯ. პოჯის,[7] მ. მანის,[8] ჰ. არენდტის[9] ნაშრომების ძირითადი თემებია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დამკვიდრება მათ ტერიტორიებსა და სუბიექტებზე, ომების როლი, სამხედრო მობილიზაცია, სახელმწიფოს ფორმების ტრანსფორმაცია. კონტროლი საზოგადოებაზე, ეროვნული უმცირესობების ბედზე, აწმყო და მომავალი ეროვნული სახელმწიფოს პრობლემებზე.

**4. 1980-იანი წლებიდან** „ერისა" და „ნაციონალიზმის" ფენომენების შესწავლაზე გავლენას ახდენს ერთდროულად რამდენიმე ნაშრომი, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ცნებების შემდგომი თეორიული განვითარებაა – ე. გელნერის „ერები და ნაციონალიზმის",[10] ბ. ანდერსონის „წარმოსახვითი თემების"[11] და ე. ჰობსბაუმისა და თ. რანგერის სტატიების კრებული „ტრადიციის გამოგონება"[12] გამოქვეყნება. ამ ნაშრომებმა რადიკალურად შეცვალა ვითარება ერთა და ნაციონალიზმის კვლევებში. მას შემდეგ ეს ორი ურთიერთდაკავშირებული ფენომენი განიმარტება, როგორც მრავალმხრივი ისტორიული ფენომენი, წარმოდგენილი სხვადასხვა სულიერი და პრაქტიკული ინკარნაციით. ნაციონალიზმი წარმოჩინდა როგორც ერების განვითარების ფაქტორი, ხოლო ერი – როგორც ნებისმიერი ნაციონალიზმის მიზანი.

ზემოაღნიშნული იდეები გამოიყენეს, განავითარეს და გააკრიტიკეს 1980-იან და 1990-იან წლებში თავის ნაშრომებში მეცნიერებმა ჯ. ბროიიმ, რ. ბრუბეიკერმა, ე. ბალიბარმა, ჰ. ბხაბხამ, კ. ვერდერმა, ჯ. გრინფელდმა, ი. ვალლერსტაინმა და სხვებმა. ეს ეტაპი ხასიათდება იმით, რომ ერისა და ნაციონალიზმის შესწავლას ხელს უწყობს

---

5 Deutsch K. Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality.. Cambridge: The MIT Press, 1966.
6 Tilly Ch. The Formation of National States in Western Europe. Princeton, 1975.
7 Poggy G. The Development opf the Modern State. L., 1978.
8 Манн М. Нации-государства в Европе и на других континентах: разнообразие форм, развитие, неугасание / М. Манн // Нации и национализм. - М.: Праксис, 2002.
9 Арендт Х. Истоки тоталитаризма. М.: ЦентрКом, 1996.
10 Gellner E. Nations and Nationalism. - Oxford: Blackwell Publishing Ltd., 1983.
11 Anderson B. Imagined communities. Reflections on the Origin and Spread of Nationalism. L.: Verso, 1983.
12 Hobsbawm E. The Invention of Tradition / E. Hobsbawm, T. Ranger. - Cambridge: Cambridge University Press, 1983.

სხვადასხვა დისციპლინა: სოციოლოგია, პოლიტოლოგია, სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია. დიდი ისტორიული მასალის საფუძველზე მეცნიერ-ექსპერტებმა სრულყოფილად შეისწავლეს ევროპაში ნაციონალიზმის გაჩენის წინაპირობები და ფაქტორები და შესთავაზეს მისი კლასიფიკაციის ვარიანტები. ნაციონალიზმის არსის და მისი განვითარების ფაქტორების საკითხში მათ არ ჰქონდათ ერთსულოვნება, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი სამეცნიერო დისკუსია ნაციონალიზმის ფენომენის შესახებ და განსაზღვრა მის შესწავლაში რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება.

ამჟამად მენციერები კვლავ აგრძელებენ ეროვნულ საკითხებზე მუშაობას, ამუშავებენ და ავსებენ მათ წინა კონცეფციებსა და დასკვნებს. ასე რომ, 2000-იანი წლები შეავსო მთელი რიგი კვლევებით ერებისა და ნაციონალიზმის შესახებ მკვლევარები გვთავაზობენ ახალ, უფრო ყოვლისმომცველ ხედვას „ერისა“ და „ნაციონალიზმის“ ფენომენებზე მათ ურთიერთობაში ისეთ ფენომენებთან, როგორიცაა: კულტურა, ეთნიკურობა, გლობალიზაცია.

კონსტრუქტივიზმის ბატონობის ქვეშ ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება — ეთნოსიმბოლიზმი. მისი ავტორი იყო ბრიტანელი ისტორიკოსი და სოციოლოგი ენტონი სმიტი, რომელიც იცავდა მოსაზრებას, რომ თანამედროვე ერები დაფუძნებულია შედარებით უძველეს ისტორიაზე. ჯერ კიდევ პრეინდუსტრიულ ეპოქაში არსებობდა მრავალი ეთნიკური თემი, რომლებიც წარმოადგენს მოსახლეობას - საერთო კულტურული მახასიათებლებით, ისტორიული მოგონებებით, წინაპრების მითებითა და საზოგადოების გრძნობით. მიუხედავად იმისა, რომ მითები, სიმბოლოები, მოგონებები და ღირებულებები ნელ-ნელა ცვლის კულტურის ელემენტებს, ეთნიკური თემები ძალიან გამძლეა. ზოგიერთი მათგანი კულტურული და პოლიტიკური ინტეგრაციის ახალ ფაზაში შევიდა და ერად იქცა. ამაში მთავარი როლი შეასრულა მე-18 საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმის იდეოლოგიის გაჩენამ. ამგვარად, ეთნოსიმბოლიზმი აერთიანებდა მის წინარე ცნებების მიღწევებს — პირველყოფილობას, მრავალწლიანობას და კონსტრუქტივიზმს.

აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი დეტალურად განმარტავს ნაციონალიზმის ცნებებს, აკრიტიკებს მოდერნისტულ თეორიებს, რომლებშიც ჩამოთვლის თითქმის ყველა განვითარებას, რომელიც არ არის დაფუძნებული ნაციონალისადმი მრავალწლიან (პრიმორდიალისტურ) მიდგომაზე.

უპირველეს ყოვლისა, სმიტმა, როგორც 1983 წელს, ასევე 1998 წელს (როდესაც გამოქვეყნდა განსახილველი წიგნის ინგლისური ორიგინალი) აღიარა თავისი მონაწილეობა „მოდერნისტებთან“ ანუ კონსტრუქტივიზმის მომხრეებთან ერთა შესწავლაში. განსახილველ ნაშრომში სმიტი ავლენს თავის ჩართულობას მოდერნიზმის კვლევის პრაქტიკაში იმით, რომ არაერთხელ – მთელი წიგნის განმავლობაში – ეთანხმება მათ დასკვნებს, ვისაც ის მოდერნისტებად თვლის. ფუნდამენტური განსხვავება ნაციონალიზმის ისტორიასა და ბენედიქტ ანდერსონის კონცეფციას შორის არის ის, რომ სმიტი ცნობს ერებს არა როგორც „კონსტრუირებულად“, არამედ „რეკონსტრუქციულად“ და ცდილობს აღმოაჩინოს ამ რეკონსტრუქციის წყაროები. მან შეიმუშავა „ეთნოსის“ კონცეფცია, რომლის დახმარებით ახერხებს ახსნას, თუ როგორ ითვისებს ახალი ნაციონალიზმი სოციალური თანმიმდევრობის წინა ფორმებს.

ე. სმიტი აჯამებს „მოდერნიზმის“ ეპოქის ყველაზე პოპულარულ და საკამათო თეორიებს და ამ შეჯამებას უპირისპირებს ორ ტენდენციას, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი ემყარება მრავალწლოვანებას (ნაციონალისტური თეზისი ერთა მარადიულობის შესახებ) და პირველყოფილებას (ნაციონალური სოლიდარობის ფენოტიპური წარმოშობის თეორია). მისი სხვა ოპონენტები ახლოს არიან პოსტმოდერნიზმთან, რომელიც, როგორც ჩანს, მოდერნისტების მიღწევებიდან ამოდის, მაგრამ ავტორი აფრთხილებს დეკონსტრუქციულ ჰობიებს, რომლებიც, მისი აზრით, საეჭვოა.

ის ცდილობს თავისი კონცეფცია მოათავსოს ეთნოსიმბოლიზმის ჩარჩოებში სადღაც ფრედერიკ ბარტისა და ჯონ არმსტრონგის თეორიებს შორის. ბარტში არ კმაყოფილდება კულტურული ფენომენებისადმი უყურადღებობით, მაგრამ ეთნოსის „ტრანზაქციული“ თეორია უფრო მეტად დასამტკიცებელია. ის, რაც სმიტს არმსტრონგისგან განასხვავებს, მისი თქმით, არის მისი რეტროსპექტული მიდგომა, რომელიც ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს წინ ავტორის პერსპექტიულ მოდელს. თუმცა, 1980-იანი წლების დასაწყისში სმიტის კონცეფცია ნაციონალიზმისგან ერების გაჩენის შესახებ არ იყო საკმარისი. პერსპექტივის ცვლილებამ მიიყვანა მკვლევარი, რასაც მან უწოდა „ერების ისტორიული სოციოლოგია და ნაციონალიზმი“.

ამავდროულად, სმიტი უარს ამბობს თავისი კონცეფცია განიხილოს პრიმორდიალიზმის იდენტურად და მასთან ფუნდამენტურ განსხვავებას პოულობს „ეთნოსისს“ მითოლოგიური გამოხატულების გაგებაში. პირველი, სმიტი ემყარება კვლევითი სამუშაოს გაგებას, რომელიც ახლოსაა მაქს ვებერის იდეალური ტიპების

თეორიასთან. მას საქმე აქვს არა „ნამდვილ" ეთნიკურ ჯგუფებსა და ერებთან, არამედ კულტურულ კონსტრუქტებთან, რომელთა რეკონსტრუქციაში მონაწილეობს ავტორი. მეორეც, მისი ინტერპრეტაციის უწყვეტობა არ არის ბუნებრივი, უკონფლიქტო და წრფივი. ის ყოველთვის გადახედვის შედეგია. მესამე, სმიტი იყენებს მემკვიდრეობის თეორიას სიტუაციურად, მის უნივერსალურობაზე დაჟინების გარეშე და მისგან რაიმე ზოგადი კანონების გამოყვანის გარეშე. ამ უკანასკნელში მისი ინტერპრეტაციები ემთხვევა ფრედერიკ ბარტის თეორიას.

ენტონი სმიტი ყურადღებას ამახვილებს ერების სოციალურ წინაპირობებზე. ეს ძირეულად განასხვავებს მის ტიპოლოგიას ერების ტიპოლოგიას ბენედიქტ ანდერსონის ტიპოლოგიისგან, რომელიც გამომდინარეობდა ეროვნული თემების წარმოსახვის მიზნებიდან და გზებიდან.

სმიტმა, განსაკუთრებით 1980-იანი და 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, მოიფიქრა ეროვნული ასოციაციების სამი იდეალური ტიპი.

-  ერთი მან განსაზღვრა, როგორც „ვერტიკალური", რაც გულისხმობს კოლექტიური იდეალების არისტოკრატიულ და ბიუროკრატიულ წარმოშობას „ეთნიკური ბირთვის" იდეოლოგიის შემდგომ მასებში გავრცელებით (მაგალითები ცენტრი დასავლეთ ევროპაში);
-  მეორე ტიპი - „ჰორიზონტალური" - გულისხმობს სახალხო მობილიზაციას ადგილობრივი ინტელიგენციის გავლენით (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, მოგვიანებით შუა და შორეული აღმოსავლეთი, აფრიკა);
-  მესამე ტიპი დაფუძნებულია „შერეული" ერის კონცეფციაზე და გვხვდება თემებში, სადაც ემიგრანტი კოლონისტები უფრო მნიშვნელოვანია (აშშ, კანადა, ავსტრალია).

ეს კლასიფიკაცია არ ნიშნავს, რომ ენტონი სმიტი აღიარებს ნაციონალიზმის ლეგიტიმურობას, თუმცა ის აღიარებს, რომ მისი ნამუშევარი შეიძლება ამ გზით იქნას გაგებული (ის ძირითადად იღებს ერიკ ჰობსბაუმისა და ჯონ ბროიას დათქმებს ერების თანამედროვე ბუნების შესახებ). ის თავის ამოცანას ხედავს, როგორც შედარებას კონსოლიდაციის თანამედროვე და წინამოდერნულ ფორმებს შორის, რაც მას საშუალებას მისცემს უკეთ წარმოიდგინოს რა გრძნობებს, მითებს, სიმბოლოებს, ისტორიულ მოვლენებს, ნაციონალისტ ლიდერებს მიმართავენ და რატომ. ერების კულტურული წარმოშობა არის კონსტრუქცია, მაგრამ არ შეიძლება იყოს სუფთა

მოტყუება. შედეგად სმიტი თანხმდება, რომ მისი „ერები“ უპირველეს ყოვლისა არიან „ერები ნაციონალიზმამდე“, ხოლო მომავალმა კვლევამ უნდა აჩვენოს, თუ რა არხებით ხდებოდა ძველი იდენტობების ახალზე გადასვლა.

თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ძალიან გავრცელებული რეაქციაა ეროვნულზე ორიენტირებული ღირებულებების გააქტიურება. ამავდროულად, იდენტობის კრიზისის დასაძლევად სთავაზობენ ყველაზე მრავალფეროვან, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო სტრატეგიებს: კოსმოპოლიტიზმიდან „ნაპირების გარეშე“ ნაციონალიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის უკიდურეს ფორმებამდე, გლობალიზაციაში აქტიური ჩართულობიდან - წინააღმდეგობის გაწევის მცდელობამდე ან საკუთარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თუ ეთნიკური, რელიგიური თემების ჩარჩოებში ჩაკეტვამდე. ხაზს უსვამენ ეროვნულ გრძნობებს, რელიგიურ ფასეულობებს, ადამიანები იცავენ თავიანთი ცნობიერებისა და ქცევის მთლიანობას, ტრადიციულ საზოგადოებასთან მათი კავშირების სიმტკიცეს, მათ არღვევს „უცხო“ გავლენის უარყოფას.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმი ხშირად იღებს ძალიან მკაცრ ფორმებს, მათ შორის სახელმწიფოებრივ ფორმებს. თუმცა, როგორც ჩანს, არასწორი იქნება ეთნო-ნაციონალური ორიენტაციების როლის გაძლიერება მხოლოდ ნაციონალიზმის ასეთი ექსტრემისტული და აგრესიული ფორმების ფონზე. ეროვნული იდენტობის შენარჩუნების სურვილი შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ როგორც პოლიტიკურ, არამედ როგორც სოციალურ-კულტურულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტენდენციად, რომელიც ახასიათებს ინდივიდის პასუხს გლობალიზაციის გამოწვევებზე. ამ პასუხის კონსტრუქციული მნიშვნელობა მდგომარეობს კულტურული პლურალიზმისა და მრავალფეროვნების მტკიცებაში, რომლებიც არა მხოლოდ რეაქციაა გლობალიზაციაზე, არამედ მისი „უკუ მხარეც“, გლობალიზაციის პროცესის განუყოფელი კომპონენტი (გლობალიზაცია და ლოკალიზაცია განუყოფლად არის დაკავშირებული) ანუ ეროვნული იდენტობა ამ კონტექსტში თამაშობს ერთგვარი საპირწონის როლს, რომელიც ზღუდავს გლობალიზაციის ნეგატიურ, დეჰუმანიზაციისა და დესოციალიზაციის შედეგებს.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მთავარი მიზანი ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო. ეს იყო ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი, რომელიც მყარ არგუმენტებს ეფუძნებოდა. საქართველოს ყველაზე გავლენიანი ადამიანები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საქართველოს ევროპისაკენ გზა გახსნილი ჰქონოდა. ამ

მხრივ აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ევროპის მიმართ. ილია ჭავჭავაძე ხვდებოდა, რომ მიუხედავად მისი სურვილისა, საქართველოს ევროპისაკენ გზა დაკეტილი ჰქონდა და, ამ მხრივ, ევროპისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს მთავარი ბარიერი რუსეთი იყო, რომელიც არანაირად არ დაუშვებდა საქართველოს ევროპასთან დაახლოებას. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპა ისტორიულად არ ცდილობდა საქართველოსთან მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ამაში მას ხელს უშლიდა ტერიტორიული დაშორება და სხვა პრობლემები, ორმა მსოფლიო ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა ევროპას და ამის გამო ევროპა უფრო მეტად გახდა საკუთარ თავზე ორიენტირებული და ამის შემდეგ ევროპელები ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ საქართველოს მიმართ. პირველი რესპუბლიკის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა ევროპასთან დაახლოებისათვის და საქართველოს სწრაფვას ევროპისაკენ განსაკუთრებით ხელი მხოლოდ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა შეუშალა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში უფრო აქტიური გახდა ევროპასთან დაახლოების პროცესი. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ევროპისადმი შედარებით ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა, რადგან ცდილობდა რუსეთთან ვითარების მეტ-ნაკლებად დასტაბილურებას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამსახურდია არ ცდილობდა ევროპისაკენ სწრაფვას, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ადექვატურად აფასებდა შექმნილ ვითარებას და ცდილობდა ყველა ძალასთან საერთო ენის გამონახვას. დასავლეთშიც კერძოდ ამერიკაში დიდ იმედებს ამყარებდნენ პრეზიდენტ გამსახურდიაზე და დასავლური აზროვნების პიროვნებად თვლიდნენ. ზვიად გამსახურდია კი ეროვნულ პოლიტიკას ატარებდა და ამის გამო მისი პოლიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა დასავლელი პოლიტიკოსებისათვის. საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მეტ-ნაკლებად დაიწყო საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესი. პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდში საქართველოში გაჩნდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთიც იმედის თვალით შეჰყურებდა შევარდნაძის პოლიტიკურ ფიგურას, თუმცა შევარდნაძის პერიოდში საქართველომ ვერ დაამარცხა კორუფცია და ქვეყანას რაიმე წინსვლა დემოკრატიზაციის მიმართულებით არ ჰქონია. ამ ყველაფერს თან დაერთო სეპარატისტული კონფლიქტები და ქვეყანა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა.

ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის გამოსაკვეთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალიზმს იგი აუცილებელია ნებისმიერი ერის არსებობისათვის. ის ხელს უწყობს

კონკრეტული ერის თვითიდენტიფიკაციას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულებები ნაციონალიზმთან დაკავშირებით, ის მაინც დადებით ფენომენად მიიჩნევა განსაკუთრებით პატარა ერების ცხოვრებაში. ნებისმიერი ერის ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ იდენტობას. ეროვნული იდენტობა არის გარკვეული ღირებულებების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება ცალკეული ადამიანის გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნება. ეროვნული იდენტობა და, ზოგადად, ღირებულებები დროთა განმავლობაში იცვლება, მაგალითად, ტრადიციები, რომლებსაც შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ექცეოდა დღეს თითქმის მივიწყებულია, თუმცა თითქმის ყველა ცივილური ერი ცდილობს საკუთარი ტრადიციების და წესების შენარჩუნებას.

ეროვნული იდენტობის განხილვისას, ასევე, საყურადღებოა რელიგიური იდენტობის საკითხიც. რელიგიური იდენტობა ყველა ქვეყანაში განსხვავებულია მაგალითად საბერძნეთში მართლმადიდებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ის მიიჩნევა, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში რელიგიური იდენტობა არ არის ისე ძლიერი, როგორც მაგალითად საბერძნეთში, თუმცა ისინი პატივს სცემენ საკუთარ რელიგიას, როგორც მათი კულტურის შემადგენელ ნაწილს. საქართველოში მართლმადიდებლობა წარმოადგენს ეროვნული იდეის მთავარ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ხდება ქართველი ხალხის ცნობიერების განსაზღვრა.

დღევანდელ რეალობაში ძალიან აქტუალურია საკითხი ეროვნული იდენტობის მიმართება გლობალიზაციასთან დაკავშირებით. პატარა ერებისთვის გლობალიზაცია უარყოფით პროცესად აღიქმება, რომელიც ცდილობს მათი კულტურის დაკნინებას და სრულიად ახალი იდეოლოგიის გავრცელებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ბევრი პატარა ქვეყნის კულტურას და იწვევს იდეოლოგიურ კონფლიქტებს. იდეური კონფლიქტები საკმაოდ ძლიერია ევროკავშირის შიგნით ვიქტორ ორბანის უნგრეთისა და ევროკავშირს შორის, ეს უკანასკნელი ცდილობს ლიბერალური დღის წესრიგის თავსმოხვევას წევრი ქვეყნებისათვის ეს კი ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას არ სურს.

## 1.2 ევროპული არჩევანის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი

ნიკო ნიკოლაძისათვის მნიშვნელოვანი იყო თუ როგორი იქნებოდა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი, განსაკუთრებით ევროპის თვალში, ევროპაში კი, იმ დროისათვის, საქართველოზე არც თუ ისე სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდათ. ნიკოლაძე

ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საქმიანობას საქართველოს ფარგლებს გარეთ ხედავდა. ვინაიდან იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენდა. ნიკოლაძე თვლიდა, რომ ქართველებს უნდა ეწერათ რუსულად და ევროპულ ენებზე. თვითონ ნიკოლაძე კი თავის ნაწერებს წერდა: ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე.[13]

განსხვავებით ნიკო ნიკოლაძისაგან ილია ჭავჭავაძეს არ ჰქონდა ევროპელების მხრიდან საქართველოს დახმარების იმედი. მთელ თავის შემოქმედებაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და ნაწერებში, ილია ევროპას განიხილავს სივრცედ, სადაც დიდი სახლემწიფოები დომინირებენ და პატარა ქვეყნებს არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის უნარი, თუმცა, მიუხადავად ამისა, ილიას ძალიან მოსწონდა ევროპა, მხოლოდ საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე არ ჰქონდა საქართველოს გადარჩენის იმედი ევროპელების მხრიდან.[14]

ევროპული გზა აირჩია 1918 წელს რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ. „რა უნდა შევთავაზოთ ევროპელი ერების კულტურულ საგანძურს, 2000-წლიანი ეროვნული კულტურა, დემოკრატიული სისტემა და ბუნებრივი სიმდიდრე. საბჭოთა რუსეთმა ჩვენ შემოგვთავაზა სამხედრო ალიანსი, რაც ჩვენ პირდაპირ უარვყავით“.[15]

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ევროპულ ოჯახში დამკვიდრება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინაც და დღესაც ევროპულ ოჯახში შესვლის უმთავრესი წინაპირობა იყო საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, უბრალოდ მაშინდელ სამყაროში დემოკრატიული პრინციპების ფორმულირება ისეთი ნათელი არ იყო, როგორც დღეს არის. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმ დროისთვის გამოირჩეოდა დემოკრატიის მაღალი ხარისხით. აუცილებელია, რომ დღევანდელ დღეს გათვალისწინებული იქნას დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გამოცდილება ევროპასთან მიმართებაში, რადგან საქართველოს კვლავ ევროპასთან ინტეგრაცია სურს. პირველი რესპუბლიკის

[13] ჩხაიძე ი., „ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი (თერგდალეულები)“.
http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/nacionalizmi__irakli__chkhaidze.pdf (29.01.2021).
[14] ბრისკუ ა., „ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია“.
https://ge.boell.org/ka/2017/05/05/ase-shors-da-mainc-ase-axlos-evropis-saxe-xati-sakartveloshi-ideata-istoria (08.01.2023).
[15] Georgias long road to Europe author rayham demitrie.
https://www.bbc.com/news/world-europe-28042715 (08.01.2023).

მთავრობა იყო ისეთი ქვეყანა, რომელიც ძალიან ახლოს იყო ევროპასთან საკუთარი ფასეულობებით და წარმატებით მიდიოდა ევროპული სივრცისაკენ.[16]

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელიწადი იარსება, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი პოლიტიკური სისტემით არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ პერიოდის მოწინავე ევროპულ ქვეყნებს. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მიისწრაფვოდა ევროპული თავისუფლებისა და ღირებულებებისაკენ. ეს კი სრულიად განსხვავებული რამ იყო მაშინდელი რუსული პოლიტიკური სისტემისათვის. მხოლოდ რუსეთი რჩებოდა ერთადერთ წინაღობად საქართველოსთვის ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.[17]

რაც შეეხება საქართველოს უახლეს პერიოდს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს ანგარიში უნდა გაეწია, როგორც დასავლეთისათვის, ისე რუსეთისათვის. მრგვალი მაგიდის წევრები საღ ანალიზზე დაყრდნობით მოქმედებდნენ, ისინი სახალხო ფრონტელებისაგან განსხვავებით ლამაზ, მაგრამ არაობიექტურ დაპირებებს არ იძლეოდნენ. გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები ერიდებოდნენ დასავლეთის ქვეყნებისათვის მხარდამჭერი ან მოკავშირე ქვეყნები ეწოდებინათ. ეს კი იმ დროისთვის საგარეო პოლიტიკის ზუსტი შეფასება იყო. ამის გამო იმდროინდელი ოპოზიცია აქტიურად აკრიტიკებდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.[18]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ცდილობდა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებთან და ასევე ხელი შეეწყო საქართველოს დაახლოებას ევროპულ სტრუქტურებთან. გამსახურდიას ხელისუფლებას სურდა თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და შავი ზღვის ქვეყნებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება, რათა საქართველო შემდგარიყო, როგორც საზღვაო სახელმწიფო. საქართველოს ასევე სურდა მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება რუსეთის ფედერაციასთან, რაც გარკვეულწილად

---

[16] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 13, „ნოე ჟორდანია - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, (1918- წლის 24 ივნისი - 1921 18 მარტი)“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 2018.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe_Jordania_Tomi_XIII.pdf (08.01.2023).
[17]Diplomatic Relations between the Democratic Republic of Georgia and the Kingdom of Sweden According to the Documents Preserved at the Archives of the Ministry of Foreign Affairs of Sweden. IDFI.
https://idfi.ge/en/diplomatic_relations_betweenthe_democratic_republic_of_georgia_and_the_kingdom_of_sweden (08.01.2023).
[18] გივიშვილი გ., „ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი“.
https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3200 (22.01.2022).

რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა. პრეზიდენტ გამსახურდიას პოლიტიკა ძალიან ახლოს იდგა ჰანს მორგენთაუს პრინციპებთან, რომელიც ამბობდა, რომ პოლიტიკოსებმა უნდა იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ზვიად გამსახურდია იყო პრეზიდენტი რომელიც მთელი მოღვაწეობის განმავლობაში ატარებდა ეროვნულ პოლიტიკას.[19]

თავის წიგნში „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელისუფლება ქვეყნის ევროპეიზაციას და დემოკრატიზაციას ცდილობდა, ეს, სამწუხაროდ, მაინც ვერ მოხერხდა, ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის განვითარებას და მდგრადობას უზრუნველყოფდნენ. შედეგად მივიღეთ მყიფე სახელმწიფო ძლიერი და დინამიკური სამოქალაქო საზოგადოებით. საზოგადოების ლიბერალიზაციაზე ჩემი მიზანმიმართული პოლიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა სახელმწიფო სტრუქტურების ძირეული რეფორმირებისათვის. თუმცა შევარდნაძის აზრით, ქვეყანაში ჩამოყალიბდა ძლიერი არასამთავრობო სექტორი, რითაც საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა. ამ პერიოდში დაიწყო საქართველოს მნიშვნელოვანი ჩართვა საერთაშორისო პროცესებში და საქართველო როგორც სახელმწიფო სხვა ქვეყნებზე ურთიერთდამოკიდებული გახდა.[20]

პრეზიდენტმა შევარდნაძემ გერმანიაში განაცხადა, რომ ნატოში გაწევრიანება იყო საქართველოს უმთავრესი მიზანი. შევარდნაძე ყველანაირად ცდილობდა, რომ მოეზიდა ევროპული და ამერიკული დახმარება საქართველოში და მიეღწია ქვეყნის უფრო მეტ ინტეგრაციას დასავლეთის სტრუქტურებთან. ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონიც აცხადებდა, რომ საქართველო იყო ამერიკისთვის საინტერესო ქვეყანა და, მისი აზრით, საქართველო დიდ წვლილს შეიტანდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკელები შევარდნაძესთან საუბარში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ საქართველოს მიმართ უფრო მეტი სამხედრო დახმარების გამოყოფას.[21]

---

[19] საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1 %83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/ (08.01.2023).
[20] შევარდნაძე ე., ფიქრი წარსულსა და მომავალზე, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2006. გვ. 20.
[21] Rights and obligations of European Union membership. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/516500/Rights_and_obligations_of_European_Union_membership_print_version.pdf. გვ. 16. (22.01.2022).

შევარდნაძე ეტაპობრივად ცდილობდა საქართველოს წარმატებულ სახელმწიფოს გადაქცევას, რომელიც დასავლეთისაკენ იქნებოდა მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო პრორუსი პოლიტიკოსი ის მაინც უფრო წარმატებული იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პერიოდში, რაც შეეხება საქართველოს მოდერნიზაციას და ევროპულ გზაზე დაყენებას ეს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ნამდვილად ვერ მოახერხა, თუმცა ამ გზაზე საქართველოსთვის ხელისშემშლელი რუსეთის ფედერაცია აღმოჩნდა, როგორც არჩილ გეგეშიძე აღნიშნავს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანი ბარიერია, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში ძალიან ძლიერია ევროპისადმი მიკუთვნებადობის განცდა.[22]

## 1.3 ევროპული იდენტობა და მისი არსი

არსებობს ნაციონალური იდენტობის ორი სახის განსაზღვრება სამოქალაქო (ცივილური) და ეთნიკური ნაციონალიზმი. სამოქალაქო ნაციონალიზმი არის, როდესაც არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკური და გეოგრაფიული ერთობა, სამოქალაქო ნაციონალიზმის კარგი მაგალითია საფრანგეთი. ეთნიკური ნაციონალიზმი აერთიანებს: ენას, რელიგიას, ტრადიციებს. სამოქალაქო და ეთნიკურ ნაციონალიზმს შორის არსებობს ის განსხვავება, რომ თუ სამოქალაქო ნაციონალიზმი გულისხმობს ერთობას პოლიტიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეთნიკური ნაციონალიზმი პირიქით გამოიხატება: ენის, რელიგიის და ტრადიციების ერთგულებით.[23]

უფრო კონკრეტულად სამოქალაქო ნაციონალიზმი გულისხმობს მოქალაქეების პოლიტიკურ ერთიანობას ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოში. სამოქალაქო ნაციონალიზმს ეთნიკური ნაციონალიზმისგან განსხვავებით არ სჭირდება ენობრივი და კულტურული ერთიანობა. ამ ტიპის ნაციონალიზმის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებმა მიიღონ ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი პრინციპები. ყველა ვინც იზიარებს იმ ღირებულებებს, რასაც გულისხმობს სამოქალაქო ნაციონალიზმი არის ამ საზოგადოების წევრი. ასეთი ტიპის ნაციონალიზმის დროს სახელმწიფოს მიზანი არაა

[22] ევროკავშირი და საქართველო. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221 (08.01.2023).
[23] Paul A., „The EU and the South Caucasus 25 Years Since Independence". https://eu.boell.org/en/2016/11/25/eu-and-south-caucasus-25-years-independence. გვ. 16. (22.01.2022).

ერთი კონკრეტული პრივილეგირებული ჯგუფის ან ერის მხარდაჭერა, არამედ მთლიანად ამ სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა.[24]

ეთნიკური ნაციონალიზმის დროს ხალხი გაერთიანებულია ეთნიკური ნიშნით, ამ ტიპის ნაციონალიზმის დროს ძლიერია ხსოვნა წინაპრებისადმი და იმ ეთნიკური ჯგუფისადმი, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. ეთნიკური ნაციონალიზმი ძლიერდება მაშინ, როდესაც ადამიანები ფიქრობენ, რომ მათ რაიმე კონკრეტული საფრთხე ემუქრებათ. ადამიანები კონკრეტული ერისადმი მიკუთვნებადობას იწყებდნენ მაშინ, როდესაც ფიქრობდნენ, რომ მათ საერთო წარსული აერთიანებდათ. ასეთი ტიპის ნაციონალიზმი დაეხმარა ბევრ ერს ებრძოლათ დამპყრობელი იმპერიების წინააღმდეგ და მიეღწიათ სრულფასოვანი დამოუკიდებლობისათვის.[25]

ტერმინი ფრანგი ერი ან ამერიკელი ერი არ ნიშნავს ეთნიკურად ფრანგებს ან ამერიკელებს, არამედ საფრანგეთის და ამერიკის მოქალაქეებს. პოლიტიკური მნიშვნელობით ერის ცნება არ ემთხვევა ეთნიკური მნიშვნელობით ერის ცნებას. ამერიკელი ერი თავის თავში აერთიანებს ამერიკაში მცხოვრებ ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ხალხს, რომლებიც ამერიკის მოქალაქეები არიან, როცა საუბარია ინდოელ და ნიგერიელ ერებზე აქ იგულისხმება ერი, როგორც პოლიტიკური და არა ეთნიკური თვალსაზრისით. ერის განსაზღვრება ასეთია ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა ერია, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა.[26]

ნებისმიერი ერის არსებობისათვის აუცილებელია ნაციონალიზმი, რომელიც ეფუძნება ერის იდენტობას. გამოკვეთილად ეროვნული ცნობიერების მნიშვნელობაზე პირველად ყურადღება გერმანიაში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაამახვილეს. გერმანელ ფილოსოფოსს ჰერდერს სწამდა, რომ ყოველ ერს ჰქონდა ეროვნული სული, რომელიც ამ ხალხს შემოქმედებით მუხტს ანიჭებდა. მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი ტიპის ნაციონალიზმი სწორედ გერმანიაში იყო, სადაც ის ტრადიციების, მითების და ლეგენდების აღდგენაში გამოიხატა. ნაციონალიზმის განსაკუთრებული სახეა კულტურული ნაციონალიზმი, რომელიც მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან გაძლიერდა მაგალითად: უელსელები დიდ ბრიტანეთში, ხოლო ბასკები და ბრეტონელები საფრანგეთში შეეცადნენ

[24] Shaishmelashvili G., „Russia's Permanent War against Georgia". https://www.fpri.org/article/2021/03/russia-permanent-war-georgia/ (22.01.2022).

[25] Ethnic Nationalism. Khan Academy. https://www.khanacademy.org/humanities/whp-1750/xcabef9ed3fc 7da7b:unit-2-liberal-and-national-revolutions/xcabef9ed3fc7da7b:2-3-nationalism/a/read-ethnic-nationalism-beta. (22.01.2022).

[26] დავითაშვილი ზ., „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", გამომც. „მეცნიერება", თბ., 2003. გვ. 11.

დაეცვათ საკუთარი ნაციონალური კულტურა, რომელსაც საფრთხეს უქმნიდა მრავალეროვანი სახელმწიფოს წევრობა.[27]

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის პროტოტიპი განსაზღვრულია კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებადობის ხარისხით. თეორიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება. ქართული ნაციონალიზმი მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა ეს არის პერიოდი, როდესაც გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობა. ამ პერიოდში ქართული ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა ეთნოკულტურულ ფაქტორებს დაეფუძნა. რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ქართული საზოგადოება დადგა ეროვნული იდენტობის ახლებურად გააზრების აუცილებლობის წინაშე.[28]

დღევანდელ დღეს რელიგიური იდენტობა დასავლეთ ევროპაში არ არის აქტუალური. მაგალითად, კვლევების მიხედვით კატალონიაში მხოლოდ 5 პროცენტი დადის რეგულარულად ეკლესიაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კატალონიელებისათვის რელიგიას არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ის არ წარმოადგენს კატალონიური იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორს. სხვა შემთხვევაში ეროვნული იდენტობა დაკავშირებულია საზოგადოების რწმენაზე. მაგალითად, მუსულმანებისათვის არსებობს პრინციპი უმა, რომელიც მიზნად ისახავს არაბული ქვეყნების გაერთიანებას.[29]

ათეისტური რეჟიმების არსებობის პერიოდში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რელიგიის როლი დაკნინებული იყო. დღეს ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს აქვს ოფიციალური რელიგია, რომელიც ქრისტიანულია, თუმცა დასავლეთ ევროპაში უმრავლესი ქვეყნები სეკულარულები არიან და ოფიციალური რელიგია არ გააჩნიათ. აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად, საბერძნეთს აქვს საკუთარი რელიგია. საბერძნეთში მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ ბერძნული ეკლესია არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ბერძნების ცხოვრებაში.[30]

---

[27] ჰეივუდი ე., „პოლიტიკური იდეოლოგიები", გამომც. „ლოგოს პრესი", თბ., 2003. გვ. 191-192.
[28] ხუჭუა მ., ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზმი. http://mikeladzefoundation.org/uploads/files/2019-07/1562164534_mariam-khutcua.pdf. (22.01.2022).
[29] Castelas M., „Globalization and Identity". https://llull.cat/IMAGES_175/transfer01-foc01.pdf (22.01.2022).
[30] Balfour R., The (Resistable) Rise of Populism in Europe and its Impact on European and International Cooperation. https://www.iemed.org/publication/the-resistable-rise-of-populism-in-europe-and-its-impact-on-european-and-international-cooperation/ (08.01.2023).

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში არსებობს მართლმდიდებლურ ღირებულებებზე დამყარებული ნაციონალიზმი. ნაციონალიზმის ეს ფორმა მკვეთრადაა გადაჯაჭვული მართლმადიდებლობასთან.

ადრეც და ახლაც მართლმადიდებელ ქრისტიანობას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში, თუმცა ეს ყოველივე არ ნიშნავს სხვა ერების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. მართლმადიდებლობამ დიდი გავლენა იქონია ქართულ კულტურასა და ფასეულობებზე. საბოლოო ჯამში მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის როლი დიდია ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.[31]

1921 წლის თებერვლის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. მაშინდელ მთავრობას ემიგრაციაში თან გაჰყვა ქართველ მწერალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელი პლიადა. ამგვარად მეოცე საუკუნეში ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე ქართული ემიგრაციის ჩამოყალიბება რეალური ფაქტია. ასე, რომ არ შეიძლება ქართული ემიგრაციის უარყოფა მეოცე საუკუნეში, ისევე როგორც არ შეიძლება არ აღნიშვნა შუა საუკუნეებში ქართული ემიგრაციის არსებობისა ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: სირია, პალესტინა და საბერძნეთი, სადაც ქართველები რელიგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. მე-20 საუკუნეში ევროპაში და ამერიკაში გაჩენილი ქართული მძლავრი კერები იყო ერთიანი ზოგად ქართული კულტურის დიდი მდინარის წყალუხვი შენაკადები.[32]

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში უფრო მეტად იყო გამოხატული ნაციონალური გრძნობები, ვიდრე საქართველოში, ხალხში ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას ყველანაირად ცდილობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ის წერდა: „მთავარია გავაღვიძოთ ერში ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მივცეთ ხალხს ცოდნა ჩვენი ვინაობისა და ჩვენი ისტორიის შესახებ, ჭეშმარიტი მოქალაქეობა არ არსებობს ეროვნული თვითშგნების გარეშე. ის ვინც გაინგლისელდება ვერასოდეს გახდება ინგლისელი და ქართველობასაც დაკარგავს. თუ ჩვენ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით სხვა ერების კულტურას გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს. ევროპული ინტეგრაციაც სწორედ

---

[31] ქართული ეროვნული იდენტობა და გლობალიზმი. http://mikeladzefoundation.org/uploads/files/2019-07/1562164534_mariam-khutcua.pdf. (22.01.2022).

[32] შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტომი 1, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991. გვ. 3-4.

ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალურობის წაშლა და გათქვეფა“.[33]

მართალია, საქართველოს მიზანი ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო, თუმცა ამასთან გასათვალისწინებელი იყო რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ქართული ტრადიციების დაცვას უკავშირდებოდა. პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას გეზი დასავლეთისაკენ ჰქონდა აღებული, მაგრამ მის უპირატეს მიზანს ეროვნული ღირებულებების დაცვა წარმოადგენდა. გამსახურდიას სურდა ისეთ დასავლეთთან ურთიერთობა, რომელიც ისეთს მიიღებდა საქართველოს, როგორიც ის სინამდვილეში იყო. პირველი პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ ის არ დაუშვებდა საქართველოს დასავლეთის კოლონიად გადაქცევას. ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა: „დასავლეთი იბრძვის ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მათი მიზანია ერების განადგურება და ერთიანი მსოფლიო კონგლომერატის შექმნა, რომლის სათავეში იქნება მსოფლიო მთავრობა.[34]

როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების ახალი ეტაპი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მათი მთავარი ლოზუნგი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ტერმინი მამული ენა სარწმუნოება. ეს არის იდეა, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად გასდევს მეცხრამეტე საუკუნის და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილის ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში.[35]

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი აქცენტს აკეთებდნენ საქართველოზე, როგორც საერთო სივრცეზე. მათი აზრით, აუცილებელი იყო საზოგადოებრივ სფეროში ტერმინ საქართველოს დამკვიდრება. პირველდასელები განსაკუთრებით ცდილობდნენ ებრძოლათ ენობრივი უფლებებისათვის. ისინი ცდილობდნენ ქართული ენის უფლებების აღდგენას საზოგადოებრივი სფეროს ყველა დარგში: სკოლაში, თეატრში და ეკლესიაში.

1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესია, რომელიც ქართველებისათვის იყო ერთიანობის სიმბოლო. რუსულმა ბიუროკრატიამ საეკლესიო ტრადიციები მთლიანად

[33] ზვიად გამსახურდია ნაციონალიზმის შესახებ. https://intermedia.ge/ (22.01.2022).
[34] სონღულაშვილი ნ., „საქართველო და დასავლეთი ურთიერთობის ძირითადი შტრიხები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014. გვ. 14.
[35] სონღულაშვილი ნ., „ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა“, თბ., 2013. გვ. 30-31.

მოსპო. ამ პერიოდში ქართველი ნაციონალისტები ცდილობდნენ ეკლესიის აღდგენისათვის ბრძოლაში დაეცვათ ქართული ენა და იდენტობა.[36]

## 1.4 ეროვნული იდენტობის თავისებურებები გლობალიზებულ სამყაროში

21-ე საუკუნეში ძალიან აქტუალურია ტერმინი გლობალიზაცია. ეს ტერმინი პირველად ლექსიკონში 1961 წელს გაჩნდა. მეცნიერები არ არიან შეთანხმებულნი ამ ტერმინის ძირეულ განმარტებებზე და ყველა მკვლევარი ამ ტერმინს თავისებურად განმარტავს. გლობალიზაციის პერიოდში სახლმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები აზრს კარგავს. გლობალიზაციის პერიოდში საკუთარი კულტურის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პატარა ქვეყნებისათვის. გლობალიზაციის კულტურულ ასპექტებზე საუბრისას უმთავრესად საუბარი მიმდინარეობს ამერიკის კულტურის საყოველთაო გავრცელებაზე. ვესტერნიზაციის წინააღმდეგ გამორჩეულად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ისლამურ ქვეყნებს. ვესტერნიზაციამ აფრიკის კონტინენზეც აქტიურად შეაღწია და კულტურა, რომელიც აფრიკელი ხალხისთვის ძვირფასია სრულიად გაქრობის პირასაა.[37]

დღეს მსოფლიოს ყველა ეთნოკულტურა დგას უდიდესი გამოწვევის წინაშე, შეძლებენ თუ არა ისინი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ჩვენი ერის უმთავრესი საფრთხე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაში მდგომარეობს. ამასთან ქართველმა ერმა კარგად უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ გლობალიზაცია არც ცუდია და არც კარგი. ის არის თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესი. უნდა იყოს შესწავლილი სხვადასხვა ხალხების დამოკიდებულებები გლობალიზაციის მიმართ, თუ როგორ უყურებენ ისინი ამ პროცესს. ამ ყველაფრის შესწავლის შემდეგ კი ხაზი უნდა გაესვას იმას, თუ რა აღმოჩნდება საქართველოსთვის დადებითი და რა უარყოფითი, რადგან ის რაც ერთი კულტურისთვის მისაღებია სხვა ხალხისთვის მიუღებელია.[38]

---

[36] ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები.
https://fabiansocialists.wordpress.com/2017/08/05/ (22.01.2022).

[37] ახრახაძე თ., „გლობალიზაციის პროცესები პატარა ქვეყნების განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს“.
https://www.lari.ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitarebaze-negatiur-gavlenas-axdens-.html (22.01.2022).

[38] გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები
http://merinatroshvili.blogspot.com/p/blog-page_21.html (22.01.2022).

მსოფლიოში დღეს ხდება ვესტერნიზაციისა და გლობალიზაციის ერთმანეთში არევა. ვესტერნიზაცია არის განსხვავებული პროცესი, რომელიც მოიცავს შტატების და დასავლეთ ევროპის კულტურის მიღებას. ვესტერნიზაცია არსებობს ბევრ ასპექტში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, განათლებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ვესტერნიზაციას აქვს საკუთარი იდეოლოგია ლიბერალური დემოკრატია. ბევრი ქვეყანა მათ შორის მესამე სამყაროს ქვეყნები ცდილობენ, რომ მიიღონ დასავლური ღირებულებები და, ამავდროულად, შეინარჩუნონ საკუთარი ეროვნული მახასიათებლები. მესამე სამყაროს ქვეყნებში ვესტერნიზაცია არის ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის და ლიბერალური ღირებულებებისათვის.[39]

მსოფლიოში ცივილიზაციათა თვითმყოფადობა იძენს სულ უფრო გამორჩეულ ხასიათს. მსოფლიოს მომავალ სახეს ქმნის რვა ცივილიზაცია ეს ცივილიზაციებია: დასავლური, კონფუციური ანუ ჩინური, ისლამური, ინდუისტური, სლავურ მართლმადიდებლური და ლათინო-ამერიკული და აფრიკული. ამ ცივილიზაციების შეჯახების შედეგად კი სისხლიანი კონფლიქტები წარმოიშობა, ეს იმიტომ, რომ არსებობს ამ კულტურებს შორის სხვაობა: ენაში, ისტორიასა და კულტურაში. სხვადასხვა ცივილიზაციაში მყოფ ადამიანს სხვადასხვა შეხედულება აქვს: ღმერთის, ადამიანის, მოქალაქის და სახელმწიფოს შესახებ. ეს სხვაობები კი წარმოშობს დაძაბულობას და გამოიწვევ ომებს.[40]

მსოფლიოში გლობალიზაციას აქვს ბევრი დადებითი ასპექტი, მაგალითად განათლების ხელმისაწვდომობა და ადამიანის პირობების გაუმჯობესება. ის, პირველ რიგში, არის კულტურებს შორის დიალოგის სახე, თუმცა ეს კულტურებს შორის დიალოგი, ხშირ შემთხვევაში, დაპირისპირებებს იწვევს, ვინაიდან ერთი კონკრეტული კულტურა მისაღები ვერ იქნება დანარჩენი მსოფლიოსათვის. დღეს მსოფლიოში გლობალიზაცია დასავლური კულტურის ზეგავლენაა დანარჩენ მსოფლიოზე. გლობალიზაცია, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მცირე ერების გაღიზიანებას და უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას გლობალიზაციის სუბიექტის მიმართ.[41]

---

[39] Westernization is definition description of process. https://eng.agromassidayu.com/vesternizaciya-eto-opredelenie-ponyatiya-opisanie-processov-i-interesnie-fakti-news-752135 (22.01.2022).

[40] ჰანთინგტონი ს., „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, თბ., 2017.

[41] Melloni N., „The region after the collapse of soviet union“. http://www.irenees.net/bdf_fiche-analyse-728_en.html (22.01.2022).

დღესდღეობით ეროვნული იდენტობის პრობლემა ძალიან აქტუალურია ევროპაში მიგრანტებთან დაკავშირებით. ევროპის რამოდენიმე ქვეყნის ლიდერი საკუთარ ანტიმიგრანტულ პოლიტიკას, ეროვნული ღირებულებების დაცვით ხსნის. ევროპაში ანტიმიგრანტული პოლიტიკის ყველაზე კარგი მაგალითი უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი. ანტიმიგრაციული პოლიტიკა, არის პროცესი, რომელიც უფრო აქტუალური ხდება ევროპაში. ევროპის კონტინენტზე ანტიმიგრაციული პოლიტიკის აქტიური გამტარებლები უნგრეთის გარდა არიან პოლონეთი და იტალია. იტალიის პრემიერმა მატეო სალვინიმ ერთ-ერთი გამოსვლისას აღნიშნა, რომ მას იმედი აქვს, რომ იტალია და პოლონეთი შეიტანენ ახალ სისხლს ევროკავშირში და დაიცავენ ეროვნულ ღირებულებებს.[42]

საინტერესოა თუ როგორ ესმოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს დასავლური ორიენტაცია, ამისათვის პრეზიდენტის „ღია წერილი" საქართველოს ტელევიზიისადმი უნდა მოვიხმოთ, რომელიც პირველმა პრეზიდენტმა დევნილობის პერიოდში დაწერა. „ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია სადისტური ფილმების კულტი ან თუნდაც დასავლეთის წინაშე ხელგაშლილი დგომა კრედიტების მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, საქართველოს ბუნებრივ წიაღისეულ სიმდიდრეთა კურორტების საწარმოო ობიექტების მიყიდვა და სხვა. ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობ. დასავლური ფილოსოფიის და პოლიტიკური ნააზრევის გათავისება და ათვისება არის, ჩვენი თვალსაზრისით, დემოკრატიული საზოგადოების აშენების და ნამდვილი დასავლური ორიენტაციის გზა".[43]

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა დედა ენას ერის სიცოცხლისა და წარმატებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ყველა პატარა ერი დიდ სახელმწიფოსთან შეერთებული ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცული იქმნას თავისი ენით ლიტერატურით და ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა. ჩვენს შორის რაღასა ვხედავთ, ხშირად სრულიად საწინააღმდეგოს, საარაკო უკუღმართობის გამო ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ ჩვენი წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ".[44]

---

[42] The concept of national identity. https://www.bsa.natcen.ac.uk/latest-report/british-social-attitudes-31/national-identity/the-concept-of-national-identity.aspx. (22.01.2022).

[43] გივიშვილი გ., „ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი". https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=92&id=3200 (22.01.2022).

[44] გოგებაშვილი ი., „ბურჯი ეროვნებისა". https://iberiana.wordpress.com/about/gogebashvili/ (22.01.2022).

მიხაკო წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის რაობის განსაზღვრას, მისი აზრით ამოსავალი არის ერი, ინტერნაციონალიზმი კი რასაც იმ პერიოდში სოციალ-დემოკრატები უჭერდნენ მხარს, აუცილებელი იყო ერის და მისი რაობის განსასაზღვრად. აზროვნებაც უპირველესად ერიდან, როგორც პირველადი სინამდვილიდან უნდა გამოდიოდეს. მიხაკო წერეთელი წერდა, რომ განსაკუთრებით იმ ერთა შორის იყო ფესვგადგმული ინტერნაციონალიზმი, სადაც ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი იყო, სადაც ერს, როგორც მთელს სოციალურ ორგანიზმს საფრთხე არ მოელოდა.[45]

1910 წელს გამოცემული მონოგრაფიის „ერი და კაცობრიობის" მეთოთხმეტე თავი ავტორმა მთლიანად ქართველი ერის განვითარების ისტორიას, მის დახასიათებას დაუთმო, წერეთელი მიუთითებს, რომ ქართველი ერი უძველესი ერთაგანია, რომლის ძირი უძველეს ისტორიაშია ჩამარხული. მისი კულტურულობა, მისი ისტორიულობა დასტურდება იმით, რომ მან კავკასიის განსაზღვრულ ტერიტორიაზე შექმნა საუკუნოდ დამკვიდრებული თავისებური სოციალური ორგანიზმი. ქართველი ერის, როგორც სოციალური ორგანიზმის უნარიანობა წერეთლის ნაშრომში შეგვიძლია გავიგოთ, მისი უძველესი სადვთო და საერო თხზულებებით.[46]

ეროვნული ცნობიერება ცნობიერების მაღალი ფორმაა და მას მიღწევა სჭირდება. ერის იდეის თუნდაც ჯერ ბუნდოვანის გამოკვეთისათვის, არსებობისათვის საჭიროა, რომ ადამიანთა ცნობიერებაში არსებობდეს კაცობრიობის იდეა, რათა ერი მის ფონზე ნათლად გამოიკვეთოს. ერს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის იდეა, შიდა ჯგუფის პრინციპული განსხვავებულობის იდეა და სხვა. ეს იდეები კი არ გვაქვს პრიმიტიულ საზოგადოებაში.[47]

რაც შეეხება ქართულ ეთნოსს, ქართული ეროვნული თვითშეგნების საწყისები ძვ.წ. 2 ათასწლეულიდან მოდის, როდესაც ყალიბდება დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული კულტურული წრეები. საკუთრივ ქართველებისათვის, მრავალ სხვა ისტორიულად მნიშვნელოვან, მოვლენასთან ერთად, ქრისტიანულმა რწმენამ დიდი წვლილი შეიტანა ქართველების გაერთიანებაში. ქართული ეროვნული თვითშეგნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენას, ეს ყველაფერი ძალიან კარგად აქვს ჩამოყალიბებული გრიგოლ მერჩულეს: „ქართლად

[45] ყორანაშვილი გ., „ეროვნული საკითხი", თბ., 1997. გვ. 249.
[46] წერეთელი მ., „ქართველი ერი მისი სტრუქტურა და განვითარება".
https://www.academia.edu/Georgian_Nation_Its_Structure_and_Development_According_To_Mikheil_Tsereteli_ (22.01.2022).
[47] ნათაძე ნ., „ერი და ეროვნული კულტურა", გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1990.

ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაიო ყოველი აღესრულების“.[48]

ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით ძალიან აქტუალურია თემები ევროკავშირთან დაკავშირებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებობს აზრი, რომ ევროკავშირი გარკვეულწილად ზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს. ამ ყველაფერზე პასუხი იყო „ბრექსიტის“ პროცესი. ბრექსიტი გულისხმობს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან დატოვებას. ბრიტანეთის მოსახლეობის 51% ხმა მისცა ბრექსიტის პროცესს. მიუხედავად ამისა, რომ ეს პროცესი უკვე სრულიად დასრულდა ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ მოქმედებენ როგორც პარტნიორები, რადგან ორივე ქვეყანას ბრიტანეთს და ევროკავშირს აქვთ საერთო ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი აღარ იქნება ევროკავშირის წევრი ის ორგანიზაციასთან მრავალ საკითხზე გააგრძელებს მოლაპარაკებებს მათ შორის: სავაჭრო, ინფორმაციულ და ატომური ხელშეკრულების თაობაზე.[49]

ევროსკეპტიციზმი არ არის მხოლოდ ბრიტანული მოვლენა. ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს საკმაოდ მძლავრი ევროსკეპტიკური მოძრაობები, რომელიც უარყოფენ ევროკავშირის კანონებს და საკუთარი ერის პრივილეგიის მოთხოვნით გამოდიან. დღესდღეობით ასეთი პოლიტიკოსები განსაკუთრებით პოპულარულები არიან საფრანგეთსა და იტალიაში. იტალიის პრემიერმა მატეო სალვინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი ეს არის გარკვეული ქვეყნების ბიზნესი და იტალიის ადგილი იქ არ არის. საფრანგეთში პარტია ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ის გახარებული იყო ბრიტანელი ხალხის ამ გადაწყვეტილებით და ეს გადაწყვეყილება მისთვის მოულოდნელიც კი იყო, რადგან ის რაც გუშინ შეუძლებელი ეჩვენებოდა დღეს უკვე შესაძლებელი გახდა. 2019 წლის კვლევებით საფრანგეთის მოსახლეობის 40 პროცენტი მხარს უჭერდა ევროკავშირის დატოვებას ეგრეთწოდებულ „პრექსიტს“. ზოგადად ევროკავშირის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებები ევროპაში მიგრაციის ზრდითაცაა განპირობებული.[50]

Brexit-ის გამარჯვება და დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლა შეიძლება იმიტომ აღმოჩნდეს გარდამტეხი და დამღუპველი ევროკავშირის მომავლისთვის, რომ

[48] ლორთქიფანიძე მ., მუსხელიშვილი დ., მეტრეველი რ., „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), ტომი 2, გამომცემლობა „პალიტრა ლ“, თბ., 2012.
[49] Nationalizm and socialism: the soviet case, Central Europien University Press. https://books.openedition.org/ceup/602?lang=en (08.01.2023).
[50] Hayes A., „Brexit“. https://www.investopedia.com/terms/b/brexit.asp (22.01.2022).

ბოლო რამდენიმე წელია ევროკავშირი უალტერნატივო ორგანიზაციად განიხილებოდა ევროპაში. ევროკავშირიდან მისი ძირითადი ქვეყნის გამოსვლა შეიძლება მისაბაძი მაგალითი აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისთვის და ამ ყველაფერმა შეიძლება ევროკავშირში დომინოს პრინციპი გამოიწვიოს.

სამწუხაროდ, დღევანდელ დასავლურ ნეოლიბერალურ წრეებში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ყველა ვინც აკრიტიკებს ევროკავშირს არის ნაციონალისტი და მარგინალი, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ევროკავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც საჭიროებს გარკვეულწილად გადაწყობას, რადგან ბევრი ევროპელისათვის ის უკვე აღარ არის მისაღები და წარმატებული ორგანიზაციის მოდელი.[51]

**დასკვნა**

ქართულ–ევროპულ ურთიერთობებს საკმაოდ ღრმა საწყისები გააჩნია, საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა უძველესი დროიდან ჰქონდა, თუმცა, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ბოლო საუკუნეებია, როდესაც უკვე სრულიად საბოლოოდ ევროპის სახელმწიფოები ტერიტორიულად ჩამოყალიბდნენ. ყველა ქართველი მოაზროვნე ხვდებოდა, რომ ევროპასთან ურთიერთობა საქართველოს განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არსებობდა ხელის შემშლელი ფაქტორი რუსეთის სახით, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, რომ არ დაეშვა საქართველოსა და ევროპის დაახლოება. რუსეთის გააქტიურება საქართველოს მიმართ და შემდეგ უკვე მისი ოკუპაცია განაპირობა იმანაც, რომ საქართველოს უარი ეთქვა ერთა ლიგაში მიღებაზე, სამწუხაროდ, ევროპელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთის ფაქტორს და საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნად თვლიდნენ. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი ყველაფერი გააკეთა ევროპასთან დასაახლოებლად, ზოგადად პირველი დემოკრატიიული რესპუბლიკის საქართველო ევროპული ყაიდის მოწყობის სახელმწიფო იყო და ევროპის ბევრ ქვეყანას თავისი გამართული სახელმწიფო სისტემით არ ჩამოუვარდებოდა.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ უფრო მეტად გააძლიერა ქართველების სურვილი, რომ თავი დაეღწიათ ამ რეალობისათვის და დასავლური პოლიტიკური ვექტორი აერჩიათ. ამ მიზნის მიღწევაში ქართველ ხალხს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, თუმცა მაინც შეძლო დამოუკიდებლობის მიღწევა და საკუთარი პოლიტიკური გეზის

[51] ბრექსიტი გლობალიზაციის ფარული მხარე. https://politicano.blog/tag/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98/ (22.01.2022).

თვითონ განსაზღვრა. თუმცა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ქვეყანაში არარსტაბილური ვითარება შეიქმნა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს წინსვლა ევროპისაკენ. სეპარატისტულმა კონფლიქტებმა დიდი ზარალი მოუტანა საქართველოს.

ზოგადად, 90-იანი წლები ერთ-ერთი უმძიმესი იყო საქართველოსთვის მარცხით დასრულდა პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიც, რადგან ვერ იქნა დაძლეული: კორუფცია და სეპარატიზმი მძიმე იყო საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობაც. საქართველო უახლესი ისტორიის განმავლობაში აქტიურად მიისწრაფოდა ევროპისაკენ მიუხედავად ბევრი სირთულისა რაც ამ ქვეყანაში არსებობდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ყოველთვის ევროპული იყო.

ეროვნული იდენტობა დღევანდელ დღეს ძალიან აქტუალური საკითხია. ეროვნული იდენტობის გლობალიზაციასთან მიმართებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ეროვნული იდენტობის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ნაციონალიზმი. ნაციონალიზმმა დიდი წვლილი შეიტანა ცალკეული ერების თვითიდენტიფიკაციის პროცესში, თუმცა ნაციონალიზმს აქვს უარყოფითი მხარეებიც, არის შემთხვევები, როცა ნაციონალიზმი შოვინიზმში გადადის და იწვევს სხვა ერების მიმართ სიძულვილს. თუმცა, ჩემი აზრით, ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, უფრო დადებით როლს ასრულებს ცალკეული ერების ცხოვრებაში, ვიდრე უარყოფითს.

ეროვნული იდენტობის განხილვისას არ შეიძლება რომ რელიგიურ ასპექტზე არ ვისაუბროთ რადგან ეს უკანასკნელი ეროვნული იდენტობის შემადგენელი ნაწილია. რელიგიას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხალხების ცხოვრებაში და ხშირ შემთხვევაში ის განსაზღვრავდა ცალკეული ცივილიზაციისადმი მიკუთვნებადობის ფაქტორს. მაგალითად, ებრაელი და იუდეველი დღევანდელ დღეს ერთმანეთის სინონიმებია. საქართველოს შემთხვევაში კი მართლმადიდებლობამ შეიტანა უდიდესი წვლილი ქართველი ერის გაერთიანებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. რელიგიური იდენტობა განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ცხოვრების წესს და ამ ყველაფერზე დაყრდნობით ყალიბდებოდა სხვადასხვა კულტურა.

გლობალიზებულ 21-ე საუკუნეში ეროვნული ღირებულებები შედარებით უკანა პლანზე იწევენ და მის ადგილს იკავებს წამყვანი ქვეყნების კულტურა. დღევანდელ დღეს ეს პროცესი მიმდინარეობს ვესტერნიზაციის სახით. გლობალიზაციის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას აქვს როგორც უარყოფითი ისე დადებითი მხარეები. თუმცა

პატარა ქვეყნები განსაკუთრერებულად მტკივნეულად განიცდიან გლობალიზაციის პროცესს და ეს, ხშირ შემთხვევაში, ცივილიზაციებს შორის კონფლიქტებს იწვევს. დასავლეთის შეცდომა სხვადასხვა კულტურებთან მიმართებაში იმაშია, რომ ის არ ითვალისწინებს ქვეყნების კულტურას და ტრადიციებს და ყველგან ცდილობს დასავლური ღირებულებების გავრცელებას, რაც ბევრი ერის კულტურისათვის არ არის მისაღები და არ ასოცირდება მათ ეროვნულ ცნობიერებასთან. ევროკავშირიც შეგვიძლია მივიჩნიოთ გლობალურ პროდუქტად, რომელიც ცდილობს მის წევრ ქვეყნებში საკუთარი იდეოლოგიის გატარებას. ეს კი იწვევს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითად უნგრეთის გაღიზიანებას, რადგან ევროკავშირის ლიბერალური დღის წესრიგი ეწინააღმდეგება რიგ შემთხვევაში გარკვეული ერების კულტურასა და ტრადიციებს. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც აკრიტიკებდა დასავლეთს რიგ შემთხვევებში და ამბობდა, რომ დასავლეთი ცდილობდა ეროვნული ღირებულებების დაკნინებას და ებრძოდა ეროვნულ ძალებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ევროპაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებიან ნაციონალისტი პოლიტიკოსები, ეს კი განაპირობა ლიბერალური სისტემის კრიზისმა. ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღალა უწყვეტი იმიგრაციით და იმ პრობლემებით რაც მიგრანტებს მოაქვთ ევროპაში. ევროსკეპტიციზმი დღეს ევროპაში საკმაოდ ძლიერია და სულ უფრო მზარდ გავლენას იძენენ ნაციონალისტური პარტიები, რომლებსაც დიდი შანსი აქვთ მომავალში ხელისუფლებაში მოსვლისთვის, ვინაიდან ყველა ხედავს, რომ ევროპაში ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო.

# თავი II. ქართულ-ევროპული ურთიერთობების ძირითადი ისტორიული ეტაპები

მას შემდეგ, რაც 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის

გამოცხადება 1918 წელს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოს ჰყავდა ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენდა ქართული მოსახლეობის უმრავლესობის აზრის გამოხატულებას და ამ ხელისუფლებას ჰქონდა უნარი გადაეჭრა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა.

საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე დაიწყო მფარველის ძიება, რომელიც დაიცავდა მის სუვერენიტეტს, მაშინდელი ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ ძლიერი მოკავშირის გარეშე ამიერკავკასიის რეგიონში გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან საქართველოს სუვერენიტეტს პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა, ორი სახელმწიფო – ბოლშევიკური რუსეთი და ქემალისტური თურქეთი. ასეთ მოკავშირედ საქართველოს გერმანია გამოუჩნდა, რომელმაც, მცირე ხნით, მაგრამ მაინც ნამდვილად მოახერხა საქართველოს დაცვა გარეშე ძალებისაგან. ხაზგასასმელია, რომ გერმანელები საქართველოში კარგი რეპუტაციით სარგებლობდნენ და მათ მიმართ ქართულ საზოგადოებას დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, რომ ქვეყანა მოეწყო ისე, როგორც მაშინდელი ევროპული სახლმწიფოებისათვის იქნებოდა მისაღები. იმდროინდელი ქართული სახელმწიფო მაშინდელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო იყო, რომელსაც ჰქონდა ცივილური კონსტიტუცია, სადაც დაცული იყო ადამიანის უფლებები.

სამწუხაროდ, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ გერმანიამ დატოვა საქართველოს ტერიტორია. საქართველოს ხელისუფლებას დასჭირდა ახალი მფარველის ძიება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან გერმანიის წასვლა უარყოფითი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ამ მოვლენას ჰქონდა დადებითი მხარეც – საქართველომ შეძლო და შემოიერთა თურქეთის მიერ წართმეული სამუსლიმანო ტერიტორია. გერმანიიდან საქართველოს წასვლის შემდგომ იმდროინდელმა ხელისუფლებამ უფრო მეტად გააქტიურა ევროპაში მუშაობა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მიეღწია საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის და ამისთვის ევროპაში ქართველ დელეგატებს აგზავნიდა. საქართველოს ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა პარიზის კონფერენციაზე, სადაც შეკრებილები იყვნენ მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ.

სამწუხაროდ, საქართველომ პარიზის კონფერენციაზე ვერ მიაღწია წარმატებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი დელეგატები დოკუმენტებით აქტიურად ამტკიცებდნენ იმას, რომ საქართველოს ჰქონდა უფლება, ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. პარიზის კონფერენციაზე საქართველოს საკითხი არ იდგა აქტიურ განსახილველ საკითხებში.

ამავდროულად, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფაქტორი იყო გადამწყვეტი, რადგანაც ჩვენ ქვეყანას იმ დროს მაინც რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროდ თვლიდნენ ევროპელები. კონფერენციაზე მთავარი თემა მაინც ომის შემდგომი ევროპის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა იყო. მოკავშირეებმა დამნაშავედ სცნეს გერმანია. მოხდა გერმანიის მიწების დანაწილება, საფრანგეთს გადაეცა ელზასი და ლოთარინგია, ასევე გერმანიის მიწები ერგო ბელგიას და პოლონეთს. პირველმა მსოფლიო ომმა ძალიან დააზარალა ევროპული სახელმწიფოები, ამიტომაც გამოიტანეს გერმანიის მიმართ ასეთი სასჯელი: მას შეუზღუდეს არმიის ყოლის უფლებაც. საქართველოს დელეგატებმა საქართველოზე მანდატის დაწესება თხოვეს იტალიას, თუმცა ამ უკანასკნელმა ამ წინადადებაზე უარი თქვა, საბოლოოდ საქართველოზე მანდატი დიდმა ბრიტანეთმა აიღო.

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ აქ გადაწყდა ერთა ლიგის შექმნის იდეა. ერთა ლიგის, როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა ეკუთვნოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს. ერთა ლიგის მიზანი იყო მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ერთა ლიგის შექმნა, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ პირველმა მსოფლიო ომმა მთელს მსოფლიოს დაანახა ომის საშინელება. ევროპელი ლიდერები დარწმუნდნენ იმაში, რომ ასეთი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო და საჭირო იყო ახალი, განსხვავებული გზების ძიება. ერთა ლიგის დაარსება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის იყო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის შექმნის იდეა ვუდრო ვილსონს ეკუთვნოდა, ამერიკა მაინც არ გახდა ამ ორგანიზაციის წევრი, ამერიკის კონგრესი პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის წინაამღდეგ წავიდა. ერთა ლიგის მოწინაამღდეგეები თვლიდნენ, რომ ამერიკა უნდა მიჰყოლოდა იზოლაციონალიზმის პოლიტიკას და არ უნდა ყოფილიყო

გაწევრიანებული არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში. საბოლოოდ, კონგრესში იზოლაციონალიზმის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

საქართველოს მთავრობა დიდი იმედით შეხვდა ერთა ლიგის შექმნას და მიზნად დაისახა ამ ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ერთა ლიგაში გაწევრიანებით საქართველო გახდებოდა ევროპის სრულუფლებიანი წევრი. ერთა ლიგა გარანტი უნდა ყოფილიყო საქართველოსთვის, რომ ის შეძლებდა მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მიერ წარგზავნილი დელეგატები აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ, ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მოლოდინი არ გამართლდა. საქართველო ვერ გახდა, ერთა ლიგის წევრი. ერთა ლიგაში საქართველოს არ მიღების მთავარი ფაქტორი მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა. ერთა ლიგა ამბობდა, რომ რაიმე საფრთხის შემთხვევაში, რაც საქართველოს სუვერენიტეტს დაემუქრებოდა მას არ შეეძლო ამ ქვენის დაცვა სამხედრო კუთხით, საბოლოოდ, ერთა ლიგამ საქართველოს უარი უთხრა და პირისპირ დატოვა ბოლშევიკური რუსეთის საფრთხის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროპისაგან ვერ მიიღო ის, რაც მას სურდა, იგი კვლავ პროევროპული მიმართულების ხელისუფლებად რჩებოდა. ნოე ჟორდანია თავი ნაწერებში აღნიშნავდა, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ შეძლებდა მარტო არსებობას და აუცილებელი იყო მოკავშირეებისა და პარტნიორების ძებნა. მოკავშირე ძალას კი ჟორდანია და მთლიანად მაშინდელი ხელისუფლება ევროპაში ხედავდა. ნოე ჟორდანია უარყოფითად აფასებდა რუსეთის როლს საქართველოს ისტორიაში და მიაჩნდა, რომ რუსეთთან კავშირი დამღუპველი იქნებოდა საქართველოსთვის. საქართველო პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საკმაოდ წარმატებულ ქვეყნად შედგა, რომელსაც ჰქონდა ის პოტენციალი, რომ იმდროინდელ ევროპაში წამყვანი პოზიცია დაეკავებინა. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გაიმართა გენუის კონფერენცია, გენუის კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლობამაც მიიღო მონაწილეობა, ბოლშევიკურ ხელისუფლებას გენუის კონფერენციაზე მოთხოვეს იმ ვალის გადახდა, რაც რუსეთს ჰქონდა ევროპის მიმართ მეფის რუსეთის პერიოდში. საბოლოოდ გენუის კონფერენცია წარუმატებელი აღმოჩნდა და მხარეებს შორის ვერანაირი შეთანხმება ვერ შედგა. გენუის კონფერენცია საქართველოსთვის ალბათ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ კონფერენციას საგანგებო

მემორანდუმით მიმართა საქართველოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ, ის თხოვდა ევროპელ დელეგატებს, რომ იძულებული გაეხადათ რუსეთი გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და ქართველ ხალხს მისცემოდა უფლება თვითონ გადაეწყვიტა საკუთარი ქვეყნის მომავალი. სამწუხაროდ, პატრიარქის მიმართვას საქართველოსთვის რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია, ხოლო თავად პატრიარქი, ბოლშევიკების მხრიდან დევნის ქვეშ მოექცა.

ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ემიგრირებულ მთავრობას არ შეუწყვეტია ბრძოლა საქართველოსთვის. ჟორდანიას მთავრობა აქტიურად ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპელები, რომ რუსეთმა უკანონოდ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და საჭირო იყო ამ ოკუპაციის წინააღმდეგ ევროპელების ბრძოლა. ევროპელები თანადგომას უცხადებდნენ ნოე ჟორდანიას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს მხოლოდ იყო სიტყვიერი მხარდაჭერა და მათ რაიმე ქმედების განხორციელება არ შეეძლოთ ოკუპაციის წინააღდეგ.

დღევანდელ დღეს არ წყდება კამათი პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მიმართ, იყო თუ არა მათი წასვლა ევროპაში და იქიდან მათი ბრძოლა საქართველოსთვის გამართლებული, ხომ არ იქნა დაშვებული რაიმე შეცდომა მათი მხრიდან საქართველოს ოკუპაციის დროს, მაგრამ ისტორიკოსების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობა იყო წარმატებული და მათ არ ჰქონდათ რაიმე ძალა ოკუპაციის შეჩერებისა.

საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახლმწიფო იყო და მიუხედავად იმისა, რომ ის ებრძოდა ნაციონალიზმს, ეროვნული იდენტობის გამოვლინებები მაინც არსებობდა საბჭოთა კავშირში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ებრძოდა ქართულ ენას, იბრძოდა მისი გაუქმებისათვის, მაგრამ ქართველი სტუდენტების აქციების შედეგად საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული სახელმწიფო ენად გამოაცხადა. საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 9 აპრილი, რომელმაც ფაქტიურად გადატეხა საბჭოთა რეჟიმი საქართველოში. 9 აპრილამდე კი ხალხმრავალი აქციები იმართებოდა საქართველოში საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რომელსაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერდა მხარს. ეს ყველაფერი კი იყო იმის ნიშანი, რომ საბჭოთა კავშირში ძლიერი იყო ეროვნული თვითშეგნება ქართულ საზოგადოებაში.

## 2.1 პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება და მისი პროდასავლური ვექტორი

როდესაც, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაშინ ამ რეგიონში ქაოსური ვითარება იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ მფარველობა შესთავაზა გერმანიას, ვინაიდან მაშინდელ საქართველოში მიაჩნდათ, რომ გერმანია დაიცავდა საქართველოს რუსული საფრთხისაგან, რუსეთში კი ამ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა თეთრ და წითელ არმიებს შორის.[52]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უმძიმეს პერიოდში მოუწია არსებობა და მან მხოლოდ 1028 დღის განმავლობაში იარსება, რესპუბლიკამ მაინც გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში. იმ დროს არსებული საგარეო პოლიტიკური კრიზისისა და საშინაო ეკონომიკური არასტაბილურობის მიუხედავად, მაშინდელმა ხელისუფლებამ ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა შეძლო. 1917 წელს გაჩნდა იდეა დამფუძნებული კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ ეს იდეა, პოლიტიკური მოუმზადებლობისა და კრიზისის გამო, სამომავლოდ იქნა გადადებული.[53]

როგორც ვახსენეთ, მიუხედავად რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა საფრთხეების არიდებას ქვეყნისათვის, ეს საფრთხეები კი ქვეყნის წინაშე ნამდვილად იდგა, მაგალითად ქემალისტური თურქეთის სახით, რომელიც ყველანაირად ცდილობდა ქართული მიწების მიტაცებას. ასევე საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა დენიკინის არმია, რომელიც ღიად ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს მთავრობას ჰქონდა შემოთავაზება დენიკინის მხრიდან ალიანსის გაფორმებასთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ არ ისურვა დენიკინთან რაიმე გარიგებაზე წასვლა და საქართველოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელება დაიწყო.

დამოუკიდებლობის გამოცხადების 26 მაისის დეკლარაციაში ეწერა შემდეგი: 1. საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა; 2.

---

52 Patriarch Ilia II says Georgia should be part of European democratic structures, https://agenda.ge/en/news/2016/359 (08.01.2023).

53 პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში პუბლიკაცია, 2018. გვ. 12-13.

ნებისმიერ საერთაშორისო კონფლიქტში საქართველო შეინარჩუნებდა მუდმივ ნეიტრალიტეტს.[54]

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაშინდელი საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარება რუსეთთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და უარი თქვა მის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შიდა საქმეებში. ხელშეკრულება ნამდვილად წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობისათვის, მაგრამ მოხდა რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი. 1921 წელს საქართველოს ძალიან მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, ბაქოს ნავთობის სარეწები უკვე საბჭოთა რუსეთის ხელში იყო.[55]

პირველი რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში, მსოფლიოში არასტაბილური ვითარება არსებობდა. პირველმა მსოფლიო ომმა გაანადგურა იმპერიები და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ომის დასრულების შემდეგ კი საფუძველი ჩაეყარა ერი სახელმწიფოს იდეას. ომის შემდგომ შეერთებული შტატები იქცა ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ მთელს მსოფლიოში. განსხვავებით შეერთებული შტატებისაგან, ომის შედეგად სრულიად განადგურებული იყო ევროპა. ომმა ევროპაში გამოიწვია უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. მთლიანად, ომს შეეწირა 16 მილიონი ადამიანი, რაც უდიდესი დანაკლისი იყო მაშინდელი ევროპისათვის.[56]

პირველმა მსოფლიო ომმა განსაკუთრებით დიდი დანაკლისი მოუტანა საფრანგეთს. საფრანგეთმა დაკარგა თითქმის მილიონი ადამიანი ამ ომში. 1919 წელს პარიზში შედგა: დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის და ამერიკის წარმომადგენლების შეხვედრა. გერმანიას მოკავშირეებისათვის მოუწია უზარმაზარი რეპარაციების გადახდა. ომით დაზარალებულმა საფრანგეთმა საკუთრებაში მიიღო ალზასი და ლოთარინგია და აგრეთვე ქვანახშირით მდიდარი ზაარის ოლქი. საფრანგეთს მიეცა იმის საშუალება, რომ ჰქონოდა

[54] კაუცკი კ., საქართველოს გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა შთაბეჭდილებანი დაკვირვებანი, 2018. გვ. 139-141.
[55] შევარდნაძე ე., ფიქრი წარსულსა და მომავალზე, გამომც. „პალიტრა L“, თბ., 2006. გვ. 377-380.
[56] Cameron F., The Impact of the First World War and Its Implications for Europe Today. https://www.boell.de/en/2014/07/08/impact-first-world-war-and-its-implications-europe-today. გვ. 5. (23.07.2021).

მანდატი ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიასა და ლიბანში. ომით დაზარალებულ მსოფლიოს ჰქონდა საკმაოდ ბევრი პრობლემა თუმცა ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორებულიყო და ამისათვის ისინი ეძებდნენ სამშვიდობო გზებს.[57]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს მოუწია ძლიერი მფარველის, ძიება, რომელიც მას საგარეო საფრთხეებისაგან დაიცავდა. იმ პერიოდში ასეთი ძალა საქართველოსთვის გერმანია აღმოჩნდა, რომელმაც დაიცვა საქართველო ოსმალეთის შესაძლო ოკუპაციისაგან. გერმანიის მთავრობამ საქართველოს გაუწია ერთგვარი დახმარება შიდა სტაბილიზაციის მისაღწევად და მსოფლიოში საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებაში. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გერმანია პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს და უხეშად არ ერეოდა მის შიდა საქმეებში, ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობდა ანტიგერმანული განწყობები. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის შემდეგ, საქართველომ დაკარგა მფარველი და მოკავშირე, თუმცა ამ მოვლენას ჰქონდა დადებითი მხარეც, ვინაიდან, როცა დამარცხებულმა ოსმალეთმა დატოვა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორია საქართველომ დაიბრუნა სამუსლიმანო საქართველო.[58]

საქართველოს მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ყველანაირად ცდილობდა, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს მიეღწია. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საფრანგეთში კერძოდ, (ვერსალის) სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნა დელეგაცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს დე-ფაქტო ცნობა. 1919 წელს კი საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას დიდი სახელმწიფოებისაგან ელოდა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში დასავლეთი არ აღმოჩნდა მზად საქართველოს დასახმარებლად, რადგან ის ამ პერიოდში რუსეთში ბოლშევიზმის დამარცხებით იყო დაინტერესებული. საქართველოს პირველი რესპუბლიკის

---

[57] France at the End of the Interwar Period. https://courses.lumenlearning.com/suny-hccc-worldhistory2/chapter/france-at-the-end-of-the-interwar-period/ (23.07.2021).

[58] ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., ნათმელაძე მ., „საქართველოს ისტორია მე-19-20 საუკუნეებში", ტომი 4. თბ., 2012. გვ. 253.

მთავრობა კი აქტიურად იბრძოდა საქართველოს აღიარებისთვის და ამ მხრივ ცდილობდა ყველა შესაბამისი რესურსი გამოეყენებინა, რაც კი იმ პერიოდში მას ხელთ ჰქონდა.[59]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა პარიზის კონფერენციაზე მტკიცედ იცავდა ნეიტრალიტეტს, რუსეთის სამოქალაქო ომის მიმართ. ამიტომ ევროპა არ განიხილავდა საქართველოს ისეთ რგოლად, რომელსაც შეეძლო მომავალში შეებოჭა საბჭოთა რუსეთი. საქართველოს დელეგაცია ცდილობდა პირველი მსოფლიოს ომში გამარჯვებული მხარეების ყურადღება მიეპყრო. ქართველი დიპლომატების პარიზის კონფერენციაზე ცდილობდნენ ევროპელებისათვის დაემტკიცებინათ ის, რომ რუსეთის აღდგენა სრულიად არ გულისხმობდა იმას, რომ მის ფარგლებში შესულიყო საქართველო ან მთლიანად ამიერკავკასია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მაშინდელ ევროპაში ამიერკავკასიის მიმართ არ არსებობდა ჩამოყალიბებული პოზიცია და ევროპელებს ძალიან უჭირდათ რაიმე გადაწყვეტილების მიღება.[60]

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეები განიხილავდნენ საქართველოზე მანდატის დაწესების საკითხს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი დაინტერესებული იყო საქართველოზე მანდატის დაწესებით, თუმცა პრეზიდენტის ამ ინიციატივას სენატმა და კონგრესმა არ დაუჭირა მხარი. საქართველოს მანდატი შესთავაზა დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ, თუმცა, იტალიამ რუსეთის ფაქტორის გამო, საქართველოთი დაინტერესებაზე თქვა უარი, პარიზის კონფერენცია საქართველოსთან დაკავშირებით მხოლოდ დე-ფაქტო აღიარებით შემოიფარგლა, სათანადოდ არ იქნა განხილული საქართველოს საზღვრების საკითხი, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან დაკაშირებით ჰქონდა მძიმე პრობლემები მის მეზობლებთან, ღიად გამოიკვეთა, რომ დასავლეთის ქვეყნები ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს დაცვას რუსეთის სახელმწიფოსაგან.[61]

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას წარმართავდა ოთხი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შეერთებული შტატები და იტალია. კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ქვეყნების პოზიციებს. პარიზის

---

[59] ჯონსი ს., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921“, ჟურნ.„ჩემი სამყარო“. თბ., 2014. გვ. 37.
[60] შარაძე გ., „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“. თბ., 2003. გვ. 158-159.
[61] მურუსიძე შ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ენციკლოპედია, ტომი 4, გამომცემლობა „პალიტრა L“, გვ. 29.

კონფერენციაზე შეგნებულად არ მიიწვიეს რუსეთი, რადგან იმ პერიოდში, რუსეთში ძალაუფლება ბოლშევიკებმა მოიპოვეს, ეს ძალა კი მიუღებელი იყო ევროპისათვის, რადგან ევროპელები თეთრგვარდიელებს უჭერდნენ მხარს. კონფერენციაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა ცალსახად უარყოფითი აზრი დააფიქსირა ხელშეკრულებაზე, რომელიც შეეხებოდა იტალიის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის კონფერენციაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა მასში მონაწილე მხარეებმა, მაინც მიაღწიეს კონსესუსს ძირითად საკითხებთან დაკავშირებით და გაჩნდა ერთა ლიგის შექმნის იდეაც.[62]

პარიზის კონფერენციაზე მოხდა სხვა მოვლენებიც დაიშალა ავსტრია-უნგრეთის იმპერია და შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ასევე დაიშალა ოსმალეთის იმპერიაც მისი ტერიტორიები ინგლისისა და საფრანგეთის კონტროლქვეშ მოექცა. კონფერენციაზე დამნაშავედ ცნეს გერმანია და მისი მოკავშირეები. გერმანიას აეკრძალა საბრძოლო ტექნიკის წარმოება ჯარის და ფლოტის ყოლის უფლება.[63]

## 2.2. ერთა ლიგა და პირველი რესპუბლიკის მთავრობის მუშაობა ევროპაში ემიგრაციაში ყოფნის დროს

1919 წლის 14 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ვერსალის კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დაასაბუთა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ: „საქართველოს დელეგაციას აქვს პატივი, სთხოვოს დიდ სახლმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს ვერსალის საზავო კონფერენციაზე ცნონ ეს დამოუკიდებლობა“. ევროპის პოლიტიკური წრეები აქტიურად განიხილავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურედ აღიარების საკითხს. საქართველოს დელეგაცია აქტიურად ცდილობდა, რომ ევროპელების ყურადღება მიეპყრო ბუნებრივი რესურსებისკენაც, ვინაიდან ისინი ფიქრობდნენ, რომ მარტო პოლიტიკური საკითხებით ვერ მოხერხდებოდა ევროპელების საქართველოთი დაინტერესება.[64]

ვერსალის კონფერენციის მიხედვით ევროპაში ახალი პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნა. პარიზის კონფერენცია ყველაზე მეტად ალბათ

---

[62] Russias orthodox leader says feminism is very dangerous.
https://www.reuters.com/article/us-russia-religion-feminism-idUSBRE93812H20130409 (08.01.2023).

[63] „პარიზის ვერსალის კონფერენცია“. ლელა კაკაშვილის ბლოგი - http://www.ianusi.com/2018/04/blog-post_65.html (23.07.2021).

[64] კირთაძე ნ., საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ- ევროპული ურთიერთობები, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1997. გვ. 8-9.

იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი ერთა ლიგის შექმნის იდეას. ახალი ორგანიზაციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ვითარებისთვის თვალყურის დევნება და ომის და ძალადობის აღმოფხვრა მთელს მსოფლიოში. განვითარებულმა საერთაშორისო საზოგადოებამ თავისი მომავალი ერთა ლიგას დაუკავშირა, ორგანიზაციის შექმნის მთავარი ინიციატორი კი ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იყო.[65]

ერთა ლიგის დაარსებამდე დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საქართველო აქტიურად ეძებდა რაიმე გზას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მეზობელი დიდი სახლმწიფოების თავდასსხმისაგან თავის არიდება. ამის მაგალითი იყო ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნა, სადაც სამი ამიერკავკასიის სახლმწიფო საქართველო სომხეთი და აზერბაიჯანი გაწევრიანდა. კონფედერაციის დაშლის შემდეგ ნოე ჟორდანია წერდა: მართალია ჩვენ ვიშლებით და ვცილდებით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ სხვა სახით აუცილებლად შევერთდებით, ჩვენი მეზობლები დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უერთმანეთოდ ცხოვრება, რომ ჩვენ გადახლართული ვართ ერთმანეთს ეკონომიკური პოლიტიკური და სხვა ძაფებით“. ნოე ჟორდანიას ეს გამოსვლა ცხადყოფს იმას, რომ საქართველო დღიდან დაარსებისა ეძებდა მოკავშირეებს და გარკვეულწილად მფარველებს, ერთა ლიგის დაარსება კი გახდა საშუალება, რომ საქართველოს შეენარჩუნებინა მოპოვებული დამოუკიდებლობა.[66]

ერთა ლიგის დაარსების შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ამ ორგანიზაციის წევრობა. ერთა ლიგაში გაწევრიანება საქართველოსთვის, პირველ რიგში, ნიშნავდა საერთაშორისო სუბიექტად აღიარებას და რუსული სივრცისაგან საბოლოოდ თავის დაღწევის საშუალებას. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობდა იმაზე, რომ საქართველო გამხდარიყო ამ ორგანიზაციის წევრი. ამისთვის საქართველოს მთავრობამ სპეციალურად გამოჰყო საგანგებო წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მუშაობა ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი იყო ერთა ლიგის  პირველი კრება, რომლის პროგრამაში

[65] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 13, „ნოე ჟორდანია – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, (1918– წლის 24 ივნისი – 1921 18 მარტი)“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 2018. გვ. 63. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe_Jordania_Tomi_XIII.pdf  (08.01.2023).

[66] საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%9E %E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90 / (08.01.2023).

შედიოდა მთელი რიგი არაწევრი ქვეყნების შუამდგომლობის გარჩევა, ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხთან დაკავშირებით, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, საქართველოც შედიოდა.[67]

საქართველოსათვის, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის ერთა ლიგის კრებაზე საქართველოს საკითხის განხილვა. როდესაც კრება დაიწყო, დეპუტატებმა მაშინვე გამოხატეს საკუთარი ქვეყნების პოზიციები. როგორც ყოველთვის დიდი ქვეყნების პოზიციები, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციები, თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს. ამ ქვეყნებმა რუსეთისადმი ერთა ლიგაზე, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი სიფრთხილე გამოიჩინეს. ნათლად გამოჩნდა, რომ ევროპის სახელმწიფოები არ იყვნენ მზად ამ ორგანიზაციაში საქართველოს მიღებისთვის, რადგან თუ ისინი საქართველოს მიიღებდნენ ამ ორგანიზაციაში მათ უნდა უზრუნველყოთ საქართველოს დაცვა გარე საფრთხეებისაგან, სამწუხაროდ, ევროპამ ვერ აიღო საკუთარ თავზე საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა, რაც შემდგომში სავალალოდ დასრულდა საქართველოსათვის.[68]

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო გამართული დიპლომატიური კორპუსის ყოლა, რადგან ძლიერი დიპლომატიური კორპუსი მეტად დაეხმარებოდა საქართველოს სუვერენიტეტის მოპოვებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად მუშაობდა ევროპაში საქართველოს სუვერენიტეტის აღიარების პროცესში, საქართველოს მაინც არ ჰყავდა გამოცდილი და კარგად გამართული დიპლომატიური კორპუსი. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონსტანტინოპოლში მდებარე საქართველოს წარმომადგენლობა. დიპლომატიურ წარმომადგენლობას ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები წარმომადგენლები ინსტრუქციას იღებდნენ არა თბილისიდან, არამედ ევროპაში მოქმედი ზემდგომი მისიებიდან. დიპლომატიური სამსახურის მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია ბრიტანული მხრიდან აკრძალვამ, რომ კურიერები არ უნდა

---

[67] საითიძე გ., „პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო 1918–1921“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010. გვ. 168.

[68] კობახიძე ბ., საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ, თბ., 2015. გვ. 85–86.
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/beqa_kobaxidze.pdf (23.06.2021).

ყოფილიყვნენ გაგზავნილნი თბილისიდან კონსტანტინოპოლში და კონსტანტინოპოლიდან პარიზში.[69]

ძალიან უჩვეულო, რამ მოხდა ერთა ლიგის შექმნის პროცესში, როდესაც ეს ორგანიზაცია, ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ინიციატივით შეიქმნა, ამერიკაში პრეზიდენტს კონგრესში მოწინაამღდეგეები გამოუჩნდნენ და შეერთებული შტატები ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი.

პრეზიდენტი ვილსონის მოწინაამღდეგეების არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ამერიკის იზოლაციონალიზმის მომხრეები იყვნენ და ერთა ლიგის წევრობა მათ მიზნებში ნამდვილად არ შედიოდა, მაგრამ მთავარი, რის გამოც კონგრესმა უარი უთხრა პრეზიდენტ ვილსონს, იყო ის ფაქტი, რომ თუ ამერიკა ერთა ლიგის წევრი გახდებოდა, მას უნდა უზრუნველყო წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვა, ერთა ლიგის წესდების შესაბამისად.[70]

ერთა ლიგას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია მეორე მსოფლიო ომში და 1946 წელს მოხდა მისი, როგორც ორგანიზაციის დაშლა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ერთა ლიგა იყო მსოფლიოს პირველი ორგანიზაცია, რომლის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა სხვა ორგანიზაციების დაარსებას. ერთა ლიგის სამართალმემკვიდრედ დღევანდელ დღეს გაერო ითვლება.

ერთა ლიგის შექმნა იყო მცდელობა, რომ შექმნილიყო მსოფლიო პარლამენტი, სადაც პატარა ქვეყნების პოზიციებიც იქნებოდა გათვალისწინებული. საქართველოსთვის ერთა ლიგაში გაწევრიანება იყო საშუალება იმისათვის, რომ ის შეერთებოდა ევროპულ ოჯახს და ჰქონოდა მშვიდობის გარანტია, ვინაიდან ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება.

სამწუხაროდ, ეს ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა ისე წარმატებული, როგორც მისი დამაარსებლები იმედოვნებდნენ, რადგან დიდი ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენებას მიიჩნევდნენ აუცილებელ ფაქტორად.[71]

---

[69] Silagadze A., Zurabishvili T., „Parameters of the European union and the post soviet Georgian economy“. გვ/ 46-47. http://eprints.tsu.ge/1091/1/Parametrs%20of%20the%20European%20Union%20and%20the%20 post-soviet%20Georgia%27s%20economy.pdf (22.01.2022).

[70] ტაბატაძე თ., ერთა ლიგის მნიშვნელობა. http://junior.tsu.edu.ge/data/file_db/PDF/1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf – (23.06.2021).

[71] კირთაძე ნ., პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა ოკუპაციის პირველი წლები, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1996.

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგამ უარი უთხრა საქართველოს წევრად მიღებაზე, 1922 წელს ბელგიელი სოციალისტის დებრიუკერის წინადადებით, ერთა ლიგამ განიხილა საქართველოს საკითხი და გამოიტანა მისადმი თანაგრძნობის დადგენილება, რაც დადასტურდა 1924 წლის რეზოლუციით. ამ ყველაფერმა რუსეთის აღშფოთება გამოიწვია, საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს არ ცნობდა საქართველოს დაპყრობის ფაქტს. ამავე 1922 წელს სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე: ემილ ვანდერველემ და რამზეი მაკდონალდსმა მოითხოვეს ბოლშევიკებისაგან საქართველოს გათავისუფლება. ეს, რა თქმა უნდა, იყო საქართველოსადმი გამოხატული თანაგრძნობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ცვლიდა რეალურ სურათს. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ის ემიგრაციაში ყოფნის დროს კვლავ განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებით.[72]

იმავე 1922 წელს საფრანგეთის ქალაქ კანში შეიკრიბნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრები, სადაც იმსჯელეს გენუის მომავალი კონფერენციის გამართვის შესახებ, სადაც ევროპის ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების განხილვა იყო დაგეგმილი. ანტანტის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ნოტით მიმართეს ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომლებიც მოითხოვდნენ კავკასიის რესპუბლიკების დაშვებას გენუის კონფერენციაზე. 1922 წელს გენუაში შეიკრიბა ევროპის ხუთი სახელმწიფო ბრიტანეთის ხუთი დომინიონი და შეერთებული შტატები. სამწუხაროდ, ამ კონფერენციაზე არ იყვნენ მიწვეული კავკასიის წარმომადგენლები. რუსეთი ამ კონფერენციაზე მოითხოვდა, რომ მას ეკისრა ამიერკავკსიის ქვეყნების წარმომადგენლის სტატუსი, რაც იყო საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევა. საფრანგეთის იტალიის და ბელგიის წარმომადგენლებმა უარყვეს რუსეთის ეს არაკანონიერი მოთხოვნა.[73]

უცხოეთში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ გენუის კონფერენციაზე უკანონოდ ჩაითვლებოდა რუსეთის რწმუნებები საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების მიმართ. საქართველოს დევნილი მთავრობა იმედოვნებდა იმას, რომ ყურადღება მიექცეოდა ხევსურეთისა და სვანეთის აჯანყებებს, რომლებიც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინაამღდეგ მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა სამწუხაროდ არ გამართლდა ქართული ემიგრაციის იმედები.

[72] კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-19230), თბ., 1997. გვ. 45-46.
[73] კახიძე ე., სოციალ-ფედერალისტების პარტია საბჭოთა პერიოდში. გვ. 240-241. https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XI/KakhidzeEkaterine.pdf – (23.06.2021).

თუმცა მაინც საქართველოს ხელისუფლების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთს არ მიეცა საშუალება, რომ ამ კონფერენციაზე საქართველოს სახელით გამოსულიყო. გენუის კონფერენციის შემდეგი პერიოდი ძალიან ცუდი აღმოჩნდა საქართველოს ემიგრირებული მთავრობისათვის. ევროპის ქვეყნებმა აქტიურად ჩართეს რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში, რაც დიდ პრობლემას უქმნიდა ემიგრირებულ მთავრობას მომავალში რაიმე წარმატებისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ გენუის კონფერენციას შემდეგი სიტყვებით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ: 1 დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობისაგან; 2 საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მას ეს უნდა შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალი-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც ეს მის ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სამწუხაროდ, პატრიარქის სიტყვებმა ვერ მოახდინა ზეგავლენა გენუის კონფერენციის დელეგატებზე. ამ მიმართვის შემდეგ კათოლიკოს პატრიარქი დევნის ქვეშ მოექცა, რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მის შევიწროებას პატრიარქი ამბროსი, ამის გამო ციხეშიც იმყოფებოდა.[74]

გენუის კონფერენცია იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. გენუის კონფერენციის შეკრებაზე განხილვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ის ვალები, რომლებიც ჰქონდა მეფის რუსეთის მთავრობას ჰქონდა ევროპის მიმართ. კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენელმა გიორგი ჩიჩერინმა მზადყოფნა გამოთქვა იმის თაობაზე, რომ რუსეთის მთავრობა მზად იყო ამ ვალების ცნობისათვის. ოღონდ ერთი პირობით რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებისთვის უნდა მიეცათ სესხი, რომლის მეშვეობითაც რუსეთი შეძლებდა ქვეყანაში შქმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამოსწორებას.[75]

გენუის კონფერენციაზე ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას. კონფერენციაზე ინგლისურ-ფრანგული მხარე თავაზობდა საბჭოთა მხარეს მცირე სესხის მიცემას. კონფერენციაზე, რომელიც ითვალისწინედა ომის შემდგომი მსოფლიოს ერთგვარ

---

[74] ამბროსი ხელაიას მიმართვა 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციას https://inteleqtiblog.wordpress.com/2016/03/28/ (23.062021).
[75] Genoa Conference. Encyclopedias almanacs transcripts and maps https://www.encyclopedia.com/history/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/genoa -conference article genoa conference (23.06.2021).

აღდენას მხარეებს ძალიან გაუჭირდათ რაიმე კომპრომისის მიღწევა. კონფერენციის მიმდინარეობის პროცესში წამყვანი პოზიციები ეკავა ინგლისურ-ფრანგულ ალიანს, რომელიც წარმართავდა კიდეც კონფერენციას და ცდილობდა, რაიმე სასიკეთო გამოსავლის პოვნას. ინგლისურ-ფრანგული ჯგუფი ყველანაირად ცდილობდა გერმანიისა და რუსეთის უფრო მეტად ჩართვას ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.[76]

გენუის კონფერენციას უნდა უზრუნველყო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის დანგრეული ეკონომიკის აღდგენა. რუსეთის საკითხის განხილვისას კონფერენციის მონაწილე მხარეები ცდილობდნენ, რომ ადეკვატურად შეეფასებინათ რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ქვეყანა ეკონომიკურად ნამდვილად ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ქვეყანას ახალი გადატანილი ჰქონდა რევოლუცია და სამოქალაქო ომი. ამ კონფერენციაზე საფრანგეთმა და ბელგიამ გამოხატეს ინიციატივა, რომ ბოლშვიკური რუსეთისათვის მიეცათ სესხი. საბოლოოდ მიუხედავად დიდი მცდელობებისა, რაიმე ღირებული შედეგის მიღწევა სამწუხაროდ გენუის კონფერენციაზე ვერ მოხერხდა და კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. ეს ყველაფერი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საქართველოს, რომელიც უკვე 1921 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. ბოლშევიკური რუსეთი არ აღმოჩნდა მზად ევროპასთან თანამშრომლობისათვის, თუმცა გენუის კონფერენცია იყო მცდელობა იმისა, რომ რამენაირად მიღწეულიყო სიტუაციის დასტაბილურობა ევროპასა და რუსეთს შორის.[77]

საქართველომ ოკუპაციის შემდეგ „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ მხარდაჭერაც მოიპოვა. 1924 წლის კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით შექმნილი „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული სექციის“ მუშაობის წყალობით 13 წლის განმავლობაში, „საერთაშორისო ლიგამ“ საქართველოს საკითხზე რეზოლუცია სამჯერ მიიღო. ქართული სექციების გარდა იმ პერიოდში მრავლად იყო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ საქართველოს მაგალითად: წითელი ჯვარი, შრომის საერთაშორისო ბიურო, ნანსენის კომიტეტი და ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი. მიუხედავად დევნილობისა, საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას ჰქონდა მხარდაჭერა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საერთო სურათის შესაცვლელად. ევროპას არ ჰქონდა ძალა იმისათვის, რომ რაიმე

[76] conference of Genoa. https://www.britannica.com/event/Conference-of-Genoa, European history (23.06.2021).
[77] მეტრეველი რ., მეისტორიე სამეცნიერო კრებული მიძღვნილი პროფესორ გელა საითიძის 80 წლისთავისადმი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ. 2019.

ზეგავლენა მოეხდინა ბოლშევიკური რუსეთის მთავრობაზე და აეძულებინა ის, რაიმე დათმობაზე წამოსულიყო საქართველოსთან მიმართებაში.[78]

1922 წელს იტალიის ქალაქ რაპალოში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც ისტორიაში რაპალოს ხელშეკრულებით არის ცნობილი.

ხელშეკრულების მიხედვით ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები უნდა დამყარებულიყო. ხელშეკრულების მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ არცერთი ქვეყანა არ იზიარებდა ვერსალის ხელშეკრულების პირობებს. რაპალოს ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა 1922 წელს გერმანიაში. ხელშეკრულებას შემდეგში დაემატა ფუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მეგობრული ურთიერთობების დამყარებას გერმანიას და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელთა შორის საქართველოც შედიოდა.[79]

ამ ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები უკვე აქტიურ ეკონომიკურ თანამშრომლობას იწყებდნენ ერთმანეთთან. საბჭოთა კავშირის მხრიდან ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გიორგი ჩიჩერინმა, ხოლო გერმანიის მხრიდან ვალტერ რატენაუმ. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა სამხედრო თანამშრომლობას და ამ მუხლით გერმანიას უფლება ენიჭებოდა გაეწვრთნა თავისი სამხედროები რუსეთის ტერიტორიაზე. ეს ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ გერმანიაც და რუსეთიც საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდებოდნენ, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით ორივე მხარემ აქტიურად დაარღვია საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმები. ხელშეკრულება ურთულეს მდგომარეობაში აგდებდა იმ პატარა ქვეყნებს, რომლებიც ამ პერიოდში ძალდატანებით იმყოფებოდნენ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში, საქართველო ძალიან დიდი ხნით მოწყდა ევროპულ სივრცეს და დაკარგა უფლება განეხორციელებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკა.[80]

რაპალოს ხელშეკრულების ოფიციალურ დოკუმენტში ეწერა, რომ მხარეები ხელს შეუწყობდნენ ერთმანეთთან კომერციულ თანამშრომლობას, როგორც ეს ხდება ორ

[78] Chen P., Treaty of Rapallo.
https://ww2db.com/battle_spec.php?battle_id=237 (23.06.2021).
[79] Treaty of Rapaloo. 1922. From Academic Kids.
https://academickids.com/encyclopedia/index.php/Treaty_of_Rapallo%2C_1922 article treaty of rappalo 1922 (23.06.2021).
[80] Agreement supplementary to the ruso-german treaty of rappalo.
https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/abs/agreement-supplementary-to-the-russogerman-treaty-of-rapallo1/1B573E723381609C0A792AB8CB041E4E (23.06.2021).

პარტნიორ ქვეყანას შორის. ხელშეკრულებაში ყველაზე მეტად მხარეებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო საუბარი. ასევე ხელშეკრულებაში ხაზგასმულია, რომ გერმანული მხარე ხელს შეუწყობდა კერძო მეწარმეობას, როგორც ეს ხელშეკრულების მიხედვით იქნებოდა გათვალისწინებული. საბოლოოდ ეს ხელშეკრულება აღმოჩნდა ერთგვარი კედელი, რომელიც აღიმართა საბჭოთა რუსეთსა და ევროპას შორის.[81]

საქართველოს ემიგრირებული მთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ევროპელებისათვის უკეთ გაეცნო საქართველო, ემიგრირებული მთავრობა საქართველოს გადარჩენის გასაღებს მხოლოდ და მხოლოდ ევროპაში ხედავდა. პირველი რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, მიისწრაფოდა ევროპისაკენ. ამ მხრივ საყურადღებოა ნოე ჟორდანიას აზრები ევროპის შესახებ. ჟორდანიას აზრით, საქართველო მუდმივად ევროპისაკენ ისწრაფვოდა. საქართველოს ჟორდანია ევროპის დაკარგულ ნაჭერად თვლიდა. პრეზიდენტი აკრიტიკებდა, რუსეთს და მას ევროპულ სივრცისაკენ მიმავალ გზაზე შემაფერხებელ ფაქტორად თვლიდა, მისი აზრით საქართველოს მომავლის რუსეთთან გადაბმა ნიშნავს საქართველოს სრულ გადაშენებას. პირველი რეპუბლიკის მთავრობა, რომ პროევროპული იყო ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის ემიგრაციაში წავიდა არა აზიაში, არამედ ევროპაში.[82]

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური პარტია ხელისუფლებაში მოსვლამდე არ იზიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, უკვე ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ჟორდანიას მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ევროპის ნდობის მოპოვებას. ამაზე ნათლად მეტყველებს პრეზიდენტ ჟორდანიას მიმართვები ევროპული ქვეყნებისადმი. ჟორდანიამ პარიზის კონფერენციის თავმჯდომარეს მიმართა შემდეგი სიტყვებით: მთელი საქართველო და მისი მთავრობა ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარებას. მადლობას გიძღვნით რა ამ დიდებული აქტით საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი ძალის ნდობისათვის, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში ევროპის კარებთან დარაჯად ედგა ცივილიზაციური ქვეყნის პროგრესულ მისწრაფებას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი

---

[81] შუბითიძე ვ., ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება (საქართველოს ეროვნული იდენტობა), თბ., 2003.
[82] ჯონსი ს., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918–1921“, ქ. „ჩემი სამყარო“. გვ. 134–135.

როცა მას მხარს დაუჭერს მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოები მტკიცე კავშირს შეკრავს ევროპასთან და გახდება ღირსეული წევრი იმ ოჯახისა, რომელმაც ერთ დროს მას დახმარების ხელი გამოუწოდა.[83]

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჟორდანია ემიგრაციაში ყოფნის დროს არ წყვეტდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1921 წლის 3 მაისს ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის ცენტრალურ კომიტეტში. ჟორდანია ამბობდა, რომ ცხადად უნდა გაეანალიზებინათ ევროპელებს, რომ მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ეს არ იყო აჯანყება საქართველოში, რასაც ასე დაჟინებით ამბობდნენ რუსები. ჟორდანიამ საფრანგეთის ცენტრალურ კომიტეტს დოკუმენტებით დაუსაბუთა, რომ საბჭოთა რუსეთმა დაგეგმა და შემდეგ კი უკვე განახორციელა საქართველოს დაპყრობა. საფრანგეთის ცენტრალურმა კომიტეტმა დახმარება აღუთქვა ნოე ჟორდანიას. მართლაც მალევე ფრანგი სოციალისტების აღმასრულებელმა ორგანომ, საფრანგეთის მუშათა კლასს მიმართა მანიფესტით, სადაც მას მოუწოდებდა, რომ პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტი ასევე მოითხოვდა საქართველოს დაცვას რუსი სამხედრო მოხელეებისაგან და ჯარისკაცებისაგან.[84]

როგორც ჟორდანია აღნიშნავდა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ძარღვი მიემართებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლებისაკენ, საერთაშორისო თანხმობით და ურთიერთგარანტიით. ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე და მით უმეტეს დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველო ამ გეოპოლიტიკურ რეგიონში ვერ გააგრძელებდა დამოუკიდებლად არსებობას და მას აუცილებლად დასჭირდებოდა ევროპული ქვეყნებისაგან მხარდაჭერის მოპოვება. ზოგადად, როგორც ნოე ჟორდანია აღნიშნავდა იმ პერიოდში არც ერთი ერი არ იყო გაშვებული ეულად და ვერც ერთი ერი ვერ განაგებდა საკუთარ პოლიტიკას საკუთარი ნება სურვილის შესაბამისად. ამ მხრივ საქართველო მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ქვეყანა, რომელიც მუდმივად მტრულად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ.[85]

ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა არ ეგუებოდა საქართველოს ოკუპაციას. ქართველი პოლიტიკოსების ნაწილმა, რომელიც ემიგრაციაში იყო წასული

---

[83] გვარჯალაძე კ., საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, ქართული ემიგრაციის არქივიდან. თბ., 1991. გვ. 261.
[84] შარაძე გ., ნოე ჟორდანია რჩეული ნაწერები, გამომცემლობა „საქართველო", თბ., 1990. გვ. 11–12.
[85] გაჩეჩილაძე რ., ჩემი მეოცე საუკუნე, ტომი 1, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2008. გვ. 169–170.

საქართველოში აჯანყების მოწყობა გადაწყვიტეს. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მიუხედავად ცალკეული მცირე კერებისა, ბოლშევიკურმა რუსეთმა მაინც მოახერხა საგარეო პოლიტიკური ვითარებების გაუმჯობესება და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება. ყველაზე გადამწყვეტი, ალბათ, ის იყო, რომ ევროპის ორმა წამყვანმა სახელმწიფომ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა აღიარეს ბოლშვიკური რუსეთი.

ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა უკვე ცხადად ხედავდა იმას, რომ პატარა საქართველოსთვის ევროპა რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებდა. სამწუხაროდ არაფერი გამოვიდა აჯანყებიდან, რომელიც რუსეთმა ადვილად ჩაახშო და ამ აქციის მონაწილეები მკაცრად დასაჯა დააპატიმრებული და მოკლული იქნა უამრავი ადამიანი, რუსეთის მხრიდან ეს იყო სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სრულ დაშინებას და დამორჩილებას.[86]

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად განიცდიდნენ თანხის დეფიციტს. ჟორდანიას მთავრობა აქტიურად განაგრძობდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან კავშირს, რაც გარკვეულ უსიამოვნებებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებაში ჩართულნი იყვნენ ისეთი მაღალი რანგის პირები, როგორებიც იყვნენ სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი და სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი. სამწუხაროდ, ეს ადამიანები დახვრეტილი იქნენ ჩეკას მიერ.[87]

ემიგრაციაში ყოფნის დროს ნოე ჟორდანია ბელგიაში ჩავიდა და შეხვდა ბელგიელ მაღალი რანგის პირებს, ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს. ჟორდანიას ბელგიაში ჩასვლის შესახებ აქტიურად წერდნენ ბელგიური გაზეთები. მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა და ბელგიის მთავრობის წარმომადგენლებმა ნოე ჟორდანიას დახმარება აღუთქვეს. ბელგიაში ყოფნის დროს ჟორდანიას მიმართ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. მრავალმა ბელგიელმა საზოგადო მოღვაწემ პირადად ინახულა ნოე ჟორდანია. ამავე პერიოდში საქართველოზე აქტიურად იწერებოდა ბელგიურ გაზეთებში. ბრიუსელიდან ნოე ჟორდანია მიწვეული იქნა ანტვერპენის სოციალისტურმა ორგანიზაციის მიერ. ნოე ჟორდანია ანტვერპენში

[86] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში. https://amp.ka.shops-net.com/402686/ (23.06.2021). გვ. 242-243.

[87] ნოე ჟორდანია ბელგიის პრემიერ მინისტრს და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. https://civil.ge/ka/archives/424671 (23.06.2021).

სიტყვითაც გამოვიდა და ისაუბრა, რაც საქართველოს სახელმწიფოს დაატყდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან.[88]

შეეძლო თუ არა საქართველოს ბოლშევიკური რუსეთისათვის უფრო დიდი წინაამღდეგობის გაწევა, ამ თემასთან დაკავშირებით დღემდე არ წყდება დებატები ქართველ ისტორიკოსებს შორის. ნაწილი საქართველოს დატოვებას ქვეყნის ღალატად მიიჩნევს, მეორე ნაწილის აზრით კი ემიგრირებული მთავრობის გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უცხოეთიდან უნდა მიეღოთ დახმარება და ევროპელების დახმარებით უნდა მოეხდინათ საქართველოს გათავისუფლება. თუმცა ისტორიკოსების ერთი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობამ ვერ მოახერხა საქართველოში საერთო სახალხო წინაამღდეგობის მოძრაობის ორგანიზება და, მიუხედავად იმისა, რომ ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში წარმატებით მუშაობდა, საბოლოოდ, მას იმედი გაუცრუვდა, რადგან მიხვდა, რომ ევროპელები მას სიტყვიერ მხარდაჭერას უცხადებდნენ და არ არსებობდა რაიმე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის ანექსიის წინააღმდეგ რაიმე შედეგს გამოიღებდა.[89]

საერთო სახლხო ქართული აზრი 1921 წელს მიიჩნევს რუსეთი იმპერიის მიერ საქართველოს ანექსირებულ წლად. მიუხედავად გარკვეული კითხვებისა, რაც საზოგადოების ნაწილს აწუხებს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მათი ღვაწლი დასაფასებელია, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ობიექტურად იქნას შეფასებული პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების ქმედებები, რადგან ხშირ შემთხვევაში საბჭოურ მითებთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა იმ პერიოდში ისევე, როგორც დღესაც აქტიურად მუშაობს რუსული პროპაგანდა, რომელიც ცდილობს გარკვეული მოვლენები და გარკვეული პიროვნებები დააკნინოს და მათზე უარყოფითი აზრი შექმნას ქართულ საზოგადოებაში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველ რესპუბლიკის მთავრობას მრავალი გამოწვევის გადალახვა მოუწია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორი, რომ ქვეყანა გეოპოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონში მდებარეობდა, მას ესაზღვრებოდა ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ ბოლშევიკური რუსეთი და თურქეთი. სწორედ ამიტომ საქართველო

[88] „93 წლის წინ ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში წავიდა" - https://ghn.ge/news/105174 (23.06.2021).

[89] 1921 წლის ოკუპაცია და „პერესტროიკის ხანის ქართული გაზეთები" https://idfi.ge/ge/occupation_of_1921_and_georgian_newspapers (23.06.2021).

ცდილობდა, რომ ყველანაირად მოეხდინა საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნება. ამისათვის კი საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა. საქართველოსთვის, კერძოდ კი, მისი მთავრობისათვის ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია უალტერნატივო ამოცანას წარმოადგენდა, თუმცა შექმნილ სიტუაციაში ეს ყველაფერი წარმოადგენდა ძალიან რთულ ამოცანას. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიაში ქართველი მეფეებიც აქტიურად მიისწრაფოდნენ ევროპისაკენ, ამ მხრივ პირველი რეპუბლიკის მთავრობა გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენდა, რადგან მენშევიკური მთავრობა ცალსახად პროევროპული მიმართულების ხელისუფლება იყო, რომელიც ყველანაირად ცდილობდა იმ ფანჯრის გაჭრას, რომელიც საშუალებას მისცემდა საქართველოს, მიეღწია ევროპასთან ინტეგრაციას.

პირველი რესპუბლიკის მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველანაირად ცდილობდა. მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარებას. საქართველომ რუსეთთან ხელშეკრულებაც კი დადო სადაც რუსეთი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა მის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ამ პერიოდში ევროპაში მძიმე მდგომარეობა არსებობდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა თითქმის მთლიანად იყო განადგურებული, ამ ომმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ევროპა მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ჩააყენა.

1919 წელს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბენ პარიზში. ამ კონფერენციაზე არ იმყოფებოდა გერმანია, როგორც ომის გამჩაღებელი ქვეყანა. პარიზის კონფერენციას ძირითადად წარმართავდა სამი ქვეყანა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები. პარიზის საზავო კონფერენცია საქართველოსთან მიმართებით მხოლოდ დე-ფაქტო აღიარებით შემოიფარგლა, სათანადოდ არ იქნა განხილული საქართველოს საზღვრების საკითხი. პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოზე მანდატი დაეწესა დიდ ბრიტანეთს, რომელსაც გერმანიასთან შედარებით არ ჰქონდა საქართველოს მიმართ დადებითი დამოკიდებულება. პარიზის საზავო კონფერენციაზე გამარჯვებულმა ქვეყნებმა და მისმა მოკავშირეებმა დაინაწილეს გერმანიის მიწები. პარიზის კონფერენცაზე, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია იმ წარმატებას, რაც მას სურდა, რადგან ევროპელებისათვის იმ პერიოდში საქართველოს თემა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. ომით დაუძლურებულ ევროპას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა

გადასაწყვეტი, ამიტომ საქართველოს საკითხი კონფერენციის დღის წესრიგში მთავარ თემად არ განიხილებოდა. სწორედ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყდა ერთა ლიგის შექმნის იდეა, რომელიც უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა მსოფლიოში მშვიდობიანი პროცესების განვითარებას და ომების შეჩერებას.

ერთა ლიგის შექმნის იდეა ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს ეკუთვნოდა, თუმცა ამერიკის კონგრესში მას დიდი მხარდაჭერა არ ჰქონდა. ერთა ლიგის შექმნა დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ამ ორგანიზაციამ, მაინც ვერ შესძლო ომების შეჩერება მსოფლიოში. ორგანიზაციის დაარსების დღიდანვე საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა, ორგანიზაციის წევრობა, თუმცა მიუხედავად ქართული სახელმწიფოს აქტიური მცდელობებისა, საქართველო მაინც ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი ეს ყველაფერი კი პირველ რიგში განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული ფაქტორით. ევროპულ ქვეყნები ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს დაცვას სხვა ქვეყნის აგრესიისაგან, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი. საბოლოოდ ერთა ლიგისგან საქართველომ უარი მიიღო, რაც დიდი იმედგაცრუება იყო ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც ერთადერთ შველას დასავლეთიდან ელოდა. ევროპის ასეთმა გადაწყვეტილებებმა, შემდეგში უკვე ბიძგი მისცა ბოლშევიკურ რუსეთს, რომ მოეხდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

1922 წელს გენუის კონფერენციის მიმდინარეობისას საქართველოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემორანდუმით მიმართა ევროპელებს, რომ ხმა აემაღლებინათ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. საქართველოს პატრიარქმა მოითხოვა ჯარების გაყვანა საქართველოდან. ევროპელები პატრიარქის მიმართვას გაგებით შეხვდნენ, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო მათ რეალურად ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხეს და საქართველოს კვლავ საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მოუწია არსებობის გაგრძელება. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობამ უცხოეთს, კერძოდ კი, საფრანგეთს შეაფარა თავი. ემიგრირებულ ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა დასახული, რომ უცხოეთიდან ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავად, იმისა, რომ უცხოეთში საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ევროპელებისათვის საქართველოს შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, ამ ბრძოლამ მაინც ვერ გამოიღო შესაბამისი შედეგი. პირველი რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს კითხვები ქართულ საზოგადოებაში, თუ რამდენად მართებული იყო მათი უცხოეთში წასვლა საქართველოს ოკუპაციის პერიოდში.

ამასთან დაკავშირებით არსებობს აზრი, რომ საქართველოს სამხედრო კუთხით ჰქონდა რესურსი ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, და ეს რესურსი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ბოლომდე არ იქნა გამოყენებული. თუმცა, ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია ის რეალობა, რაც იმდროინდელ ევროპაში არსებობდა. ამ პერიოდში ევროპას საკუთარი პრობლემები ჰქონდა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობდა, რომ მათ რუსეთთან არ გაეფუჭებინათ ურთიერთობა.

## 2.3 იდენტობის პრობლემა საბჭოთა პერიოდში

საბჭოთა პერიოდში ეროვნულ იდენტობას განსხვავებულად აღიქვამდნენ, საბჭოთა ხელისუფლება ეთნიკურ იდენტობას აღიქვამდა, როგორც სახელმწიფოს მშენებლობის გასაღებს. კომუნისტები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ კულტურები ფორმით ნაციონალური და შინარსით სოციალისტური. საბჭოთა ლიდერები მიზნად ისახავდნენ რეგიონალურ დონეზე შეეზღუდათ რელიგიური და ეთნიკური იდენტობები, რათა საკუთარი სოციალისტური სისტემა გაეძლიერებინათ.[90]

საბჭოთა პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ კომუნიზმი დაუპირისპირდა ნაციონალიზმს კარერ დენკაუსი წერდა, რომ საბჭოთა კავშირი ეს იყო ტოტალიტარული იმპერია გაერთიანებული კომუნიზმის ეგიდით. საბჭოთა კავშირს ჰქონდა წარმატებული სახლმწიფოს იმიჯი, ჯ. საიმონი წერდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო დეკოლონიზაციის პროცესის დასასრული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნაციონალიზმის იდეოლოგია აღმოჩნდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მემკვიდრე.[91]

მიუხედავად ქართული ნაციონალიზმის განსაკუთრებულობისა, ნაციონალიზმმა, სეპარატისტული რეჟიმების სახით, თავად საქართველოც დააზარალა. 1980-იანი წლების ბოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობა გახდა ეროვნული მოძრაობის ბრძოლის მთავარი მიზანი. 1990-იანი წლებიდან კი დამოუკიდებლობა გახდა მნიშვნელოვანი გამოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და ყველაფერი

---

[90] Rinnert D., „The Easter Partnership in Georgia“. https://www.swpberlin.org/publications/products/arbeitspapiere/Rinnert_EUEasternPartnershipGeorgia.pdf (22.01.2022).

[91] Kata Youn Kishi and Kelsey Jo Starr „Many Central and Eastern Europeans see link between religion and national identity“. https://www.pewresearch.org/fact-tank/2017/11/03/many-central-and-eastern-europeans-see-link-between-religion-and-national-identity/ (22.01.2022).

უცხოური იკრძალებოდა, ქართველი ხალხი მაინც ევროპისაკენ ლტოლვას ინარჩუნებდა და შეძლებისდაგვარად იბრძოდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.[92]

ქართული კულტურა საბჭოთა პერიოდში იყო არალეარული და მოჩვენებითი, სახელმწიფო უწყებები ყოველნაირად კრძალავდნენ ეროვნულობის ნებისმიერ გამოვლინებებს. ამავდროულად ქართული კულტურა სრულიად უცხო იყო სხვა ხალხებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ. საბჭოთა პერიოდში ქართულმა კულტურამ მოახერხა ეროვნული იდეის შენარჩუნება, რომელიც შემდეგ უკვე საწინდარი გახდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ქართული კულტურა და ენა საბჭოთა პერიოდში მუშაობდა ეროვნული თვითმყოფადობის და მომავალი სახელმწიფოს განვითარებაზე.[93]

ყოველივე ამან, შემდეგში განაპირობა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ეროვნული მოძრაობის დასასრული კი იყო 9 აპრილის დღე, რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, ამ დღეს საბჭოთა არმიამ რუსთაველზე მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი ასობით ადამიანი კი დაშავდა. ასევე დარბევის შემდეგ უამრავი მოქალაქე გაზით მოიწამლა.[94]

1989 წლის 9 აპრილი იყო დღე, როდესაც ჩამოინგრა საბჭოთა კავშირი. აქციების მთავარი მოთხოვნა იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. 1980-იანი წლებიდან სტუდენტების პროტესტი გახდა ჩვეულებრივი მოვლენა და აქციის მონაწილეები აქტიურად იწყებენ შიმშილობას, აქციებზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი.[95]

9 აპრილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, მან განსაზღვრა ახალი ქართული იდენტობის ჩამოყალიბება. საბჭოთა პერიოდში მიძინებული ქართული ნაციონალიზმი აღორძინდა. ნაციონალურმა გრძნობებმა იფეთქა და პოლიტიკური ნება შეიძინა. დაიწყო ეროვნული გრძნობების გამოღვიძება ახალგაზრდებში და ინტელიგენციის დიდ ნაწილში. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი კომუნისტების დიდმა ნაწილმა უარი თქვა

[92] Chkhaidze I., Nationalism and the identity struggle of a post soviet. https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/9783110729290-007/html (08.01.2023).
[93] Tsipuria B., National Identity in Soviet/Post-Soviet Georgian Poetry. https://www.allgeo.org/index.php/en/3431-bela-tsipuria-national-identity-in-soviet-post-soviet-georgian-poetry (08.01.2023).
[94] Dumbadze A., April 9: Day of national unity in Georia. https://georgiatoday.ge/april-9-day-of-national-unity-in-georgia/ author Ana Dumbadze (08.01.2023).
[95] Sabanadze N., Georgia Remembersits 9 April. https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/georgia-remembers-its-9-april/ (08.01.2023).

საკუთარი იდეების მართებულობაზე. 9 აპრილის შემდეგ უკვე იყო რეფრენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება.[96]

ეს იყო უმნიშვნელოვანესი დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში. დამოუკიდებლობას ხელი მოაწერეს უზენაესი საბჭოს ასევე მთავრობის წევრებმა. 1991 წელს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მსოფლიო საზოგადოებას აცნობა, რომ საყოველთაო რეფრენდუმის შემდეგ ხალხმა ხმა დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის მოპოვება იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება, რომელიც საბჭოთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ტყვეობაში იმყოფებოდა. ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლად შესძლო საკუთარი გზის თავად განსაზღვრა.[97]

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში ძალიან მძიმე იყო ქართული ენის მდგომარეობა. ამის გამო დედაქალაქში ხშირი იყო საპროტესტო აქციები. იმ პერიოდის ქართული ხელისუფლების მიღწევა იყო ის, რომ მან აღადგინა ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, საბოლოოდ კონსტიტუციურ პროექტში ჩაიწერა, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული“. ეს ყველაფერი იყო ქართველი ხალხის მასობრივი აქციების შედეგი, რომლებიც აქტიურად ითხოვდნენ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გამოცხადებას.[98]

საბჭოთა კავშირის საბოლოო შეფასებისას, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მჩაგვრელი ბუნებისა საბჭოთა რეჟიმმა საქართველოს მოუტანა ეკონომიკის და კულტურის მკვეთრი აღორძინება. გაიზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია და აშენდა ახალი სამრეწველო ობიექტები. გარემონტდა სარკინიგზო ქსელი და გაიხსნა რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური. 1930-1914 წლებში კი დაინერგა საყოველთაო სავალდებულო განათლება. მიუხედავად ზოგადი უარყოფითი ფონისაა, საბჭოთა რეჟიმის მმართველობამ საქართველოს ბევრ სფეროში დიდი წარმატებები მოუტანა.[99]

**დასკვნა**

---

[96] Gegeshidze A., History of modern Georgia. https://www.orfonline.org/expert-speak/the-9-april-tragedy-a-milestone-in-the-history-of-modern-georgia-49801/(08.01.2023).
[97] America’s populism problem. https://www.cato.org/commentary/americas-populism-problem (08.01.2023).
[98] Whitney G., Soviet Georgians Win on Language. https://www.nytimes.com/1978/04/18/archives/soviet-georgians-win-on-language.html Cato’s University. (08.01.2023).
[99] Soviet Georgia. https://www.allgeo.org/index.php/en/847-soviet-georgia (08.01.2023).

1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველ რესპუბლიკის მთავრობას მრავალი გამოწვევის გადალახვა მოუწია. პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორი, რომ ქვეყანა გეოპოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონში მდებარეობდა, მას ესაზღვრებოდა ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ ქემალისტური თურქეთი და რუსეთი. ორივე ამ სახელმწიფოს საქართველოს მიმართ გააჩნდა თავისი სურვილები, ამიტომ საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა, რომელიც დაიცავდა საქართველოს სუვერენიტეტს, ამას კარგად აცნობიერებდა საქართველოს მთავრობა. იმ პერიოდში ასეთ მოკავშირედ გერმანია ჩანდა, რომელსაც შეეძლო საქართველოს დაცვა გარე ძალებისაგან. მართლაც გერმანია გახდა საქართველოს მფარველი და მოკავშირე ქვეყანა და რომ არა გერმანიის თანადგომა საქართველოს მიმართ, საქართველო მეზობელი დიდი ქვეყნეის თავდასხმას ვერ გადაურჩებოდა. გერმანიის დამარცხების შემდეგ პირველ მსოფლიოს ომში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველომ დაკარგა ძლიერი მფარველი და მოკავშირე, მაგრამ ამ გარემოებას ჰქონდა დადებითი მხარეც საქართველომ შემოიერთა სამუსლიმანო ტერიტორია, რადგან პირველ მსოფლიო ომში ასევე დამარცხდა გერმანიის მოკავშირე თურქეთიც.

პირველი რესპუბლიკის მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველანაირად ცდილობდა. მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარებას. საქართველომ რუსეთთან ხელშეკრულებაც კი დადო, სადაც რუსეთი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა მის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ამ პერიოდში ევროპაში მძიმე მდგომარეობა არსებობდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა თითქმის მთლიანად იყო განადგურებული, ამ ომმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ევროპა მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ჩააყენა.

1919 წელს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბენ პარიზში. ამ კონფერენციაზე არ იმყოფებოდა გერმანია, როგორც ომის გამჩაღებელი ქვეყანა. პარიზის კონფერენციას ძირითადად წარმართავდა სამი ქვეყანა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები. პარიზის საზავო კონფერენცია საქართველოსთან მიმართებით მხოლოდ დე-ფაქტო აღიარებით შემოიფარგლა, სათანადოდ არ იქნა განხილული საქართველოს საზღვრების საკითხი. პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოზე მანდატი დაეწესა დიდ ბრიტანეთს, რომელსაც გერმანიასთან შედარებით არ ჰქონდა საქართველოს მიმართ დადებითი

დამოკიდებულება. პარიზის საზავო კონფერენციაზე გამარჯვებულმა ქვეყნებმა და მისმა მოკავშირეებმა დაინაწილეს გერმანიის მიწები. პარიზის კონფერენცაზე ბუნებრივია საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია იმ წარმატებას რაც მას სურდა, რადგან ევროპელებისათვის იმ პერიოდში საქართველოს თემა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ომით დაუძლურებულ ევროპას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი, ამიტომ საქართველოს საკითხი კონფერენციის დღის წესრიგში მთავარ თემად არ განიხილებოდა. სწორედ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყდა ერთა ლიგის შექმნის იდეა, რომელიც უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა მსოფლიოში მშვიდობიანი პროცესებების განვითარებას და ომების შეჩერებას.

ერთა ლიგის შექმნის იდეა ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს ეკუთვნოდა, თუმცა ამერიკის კონგრესში მას დიდი მხარდაჭერა არ ჰქონდა. ერთა ლიგის შექმნა დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ამ ორგანიზაციამ, მაინც ვერ შესძლო ომების შეჩერება მსოფლიოში. ორგანიზაციის დაარსების დღიდანვე საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა, ორგანიზაციის წევრობა, თუმცა მიუხედავად ქართული სახელმწიფოს აქტიური მცდელობებისა საქართველო მაინც ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი ეს ყველაფერი კი პირველ რიგში განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული ფაქტორით. ევროპულ ქვეყნები ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს დაცვას სხვა ქვეყნის აგრესიისაგან, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი. საბოლოოდ ერთა ლიგისგან საქართველომ უარი მიიღო რაც იყო დიდი იმედგაცრუება ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც ერთადერთ შველას დასავლეთიდან ელოდა, ევროპის ასეთმა გადაწყვეტილებებმა, შემდეგში უკვე ბიძგი მისცა ბოლშევიკურ რუსეთს, რომ მოეხდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

1922 წელს გენუის კონფერენციის მიმდინარეობისას საქართველოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემორანდუმით მიმართა ევროპელებს, რომ ხმა აღემაღლებინათ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. საქართველოს პატრიარქმა მოითხოვა ჯარების გაყვანა საქართველოდან. ევროპელები პატრიარქის მიმართვას გაგებით შეხვდნენ, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო მათ რეალურად ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხეს და საქართველოს კვლავ საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მოუწია არსებობის გაგრძელება.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მთავრობამ უცხოეთს, კერძოდ კი, საფრანგეთს შეაფარა თავი. ემიგრირებულ ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა დასახული, რომ ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უცხოეთიდან.

მიუხედავად, იმისა, რომ უცხოეთში საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ევროპელებისათვის საქართველოს შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, ამ ბრძოლამ მაინც ვერ გამოიღო შესაბამისი შედეგი. პირველი რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს კითხვები ქართულ საზოგადოებაში, თუ რამდენად მართებული იყო მათი უცხოეთში წასვლა საქართველოს ოკუპაციის პერიოდში. ამასთან დაკავშირებით არსებობს აზრი, რომ საქართველოს სამხედრო კუთხით ჰქონდა რესურსი ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, და ეს რესურსი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ბოლომდე არ იქნა გამოყენებული. თუმცა ჩემი აზრით გასათვალისწინებელია ის რეალობა რაც იმდროინდელ ევროპაში არსებობდა, ამ პერიოდში ევროპას საკუთარი პრობლემები ჰქონდა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობდა, რომ მათ რუსეთთან არ გაეფუჭებინათ ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირში ეროვნული იდენტობა არსებობდა, თუმცა საბჭოთა რეჟიმის მიერ ის იზღუდებოდა, რადგან კომუნისტურ იდეოლოგიას ენიჭებოდა უპირატესობა, რომელიც ყოველგვარ ეროვნულს გამორიცხავდა. იზღუდებოდა ქართული ენაც და ქართულ საზოგადოებას დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო ენა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმის ფაქტორი შესუსტებული იყო ქართულ საზოგადოებაში კვლავ არსებობდა ეროვნული იდენტობის ელემენტები, რომლებიც შემდეგში უკვე გამოიხატა კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც შემდეგ უკვე მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობა.

## თავი III. პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროპული არჩევანი და გამოწვევები

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ნამდვილად არის ევროკავშირის ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. ამ პროგრამამ ხელი შეუწყო ევროკავშირის არა წევრ ქვეყნებს, რომ უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირის სტანდარტებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში ჩართული ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დემოკრატიის განვითარების ინდექსით, ზოგიერთი აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყანა არის ავტორიტარული მმართველობის სტილის, ხოლო ზოგიერთი ახალგაზრდა დემოკრატია, რომელსაც ევროკავშირის მხრიდან გარკვეული დახმარება სჭირდება დემოკრატიული პრინციპების განვითარებისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ყველაზე წარმატებული ქვეყნები არიან: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების მეტად განვითარებას. ბუნებრივია, ყველა პარტნიორ ქვეყანას ვერ ექნება ევროკავშირისაგან მსგავსი ინსტრუქცია და, შესაბამისად, ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან ინდივიდუალურად თანამშრომლობს. ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობა როგორიც ბელორუსია და აზერბაიჯანია ბუნებრივია ევროკავშირისთვის რთულია, რადგან ეს ქვეყნები არიან ავტოკრატიული მმართველობის და ასეთ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების გატარება თითქმის შეუძლებელია.

საქართველო, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია, საქართველოში არსებობს მეტ-ნაკლებად გამართული დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებსაც გარკვეული რეფორმები ჯერ ისევ სჭირდებათ. საქართველოს შემთხვევაში ევროკავშირი სასამართლო სისტემის უფრო დამოუკიდებელ მუშაობას ითხოვს, ასევე ევროკავშირი ბოლო წლებში შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში პოლარიზაციის დონით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და მოუწოდებს მხარეებს ერთმანეთთან თანამშრომლობისაკენ.

განსხვავებული პრობლემები დგას მოლდოვასა და უკრაინასთან მიმართებაში, რადგან ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ, ორივე ქვეყანაში ძალიან მაღალია კორუფციის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მოლდოვამ მიიღო კანდიდატის სტატუსი და ქვეყანა დემოკრატიზაციის კუთხით წინ მიიწევს კორუფცია ჯერ კიდევ ისევ ძლიერია ამ ქვეყანაში. რაც შეეხება უკრაინას, ამ ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში ავტორიტარი ხელისუფლება მართავდა და ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოებისთვის ძირეული რეფორმების განხორციელება არის საჭირო.

საქართველოში ზოგადად ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მომავალს, მაინც ქართულ საზოგადოებაში არსებობს კითხვები ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ევროკავშირს აქვს ღირებულებები, რომლებსაც იზიარებს მთელი ცივილიზირებული მსოფლიო, რადგან ევროკავშირის მთავარი ღირებულებები: ადამიანის თავისუფლება, კანონის უზენაესობა მისაღებია ევროპის უმრავლესი ქვეყნებისათვის.

მიუხედავად ევროკავშირის წარმატებისა, ორგანიზაციას ბოლო წლების განმავლობაში აქვს გარკვეული პრობლემებიც.

ევროკავშირის მიმართ სულ უფრო და უფრო მატულობს უარყოფითი დამოკიდებულებები კონსერვატიული საზოგადოების მხრიდან, რადგან ევროკავშირი ბოლო წლებში გადაიქცა ულტრალიბერალურ ორგანიზაციად, რომელიც ყურადღებას არ აქცევს გარკვეული ქვეყნების ტრადიციულ ღირებულებებს და მაინც ატარებს საკუთარ პოლიტიკას. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირის პოლიტიკა არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირების მიმართ.

ევროკავშირი ბოლო წლებში ცდილობს წინ წამოსწიოს ჰომოსექსუალი წყვილების პრობლემები და მისცეს მათ სრული თავისუფლება, რაც ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის

მხრიდან ამ პოლიტიკის გაპროტესტებას იწვევს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში სიტყვის თავისუფლება დაცულია, ევროკავშირი მისი პოლიტიკის კრიტიკას მისი წევრების მხრიდან შიდა სანქციებით ცდილობს, რაც კარგად ჩანს უნგრეთის და პოლონეთის მაგალითზე, მაგალითად უნგრეთს ევროკავშირი არაერთხელ დამუქრებია თანხის გამოყოფის შეწყვეტით თუ ის თავის ანტილიბერალურ პოლიტიკას არ შეწყვეტდა. ყოველივე ამის გამო ევროპაში იმატებს კორსერვატიული განწყობები და ხდება ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსების რეიტინგის ზრდა. დასავლელი ანალიტიკოსები უკვე აქტიურად წერენ ლიბერალიზმის კრიზისზე ევროპაში, ლიბერალიზმის კრიზისი ევროპაში ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, თუმცა მიგრანტების დიდი ნაკადის შედინებამ ევროპაში კიდევ უფრო გაზარდა ანტილიბერალური განწყობები ევროკავშირში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მომავალს, ამის შესახებ საპატრიარქოს თავისი პოზიცია არაერთხელ აქვს დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა, დღეს საქართველოს ოფიციალური რელიგია არ გააჩნია და სეკულარული სახელმწიფოა, თუმცა მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საქართველოს ეკლესია მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ინტეგრაციის მომხრეა აქტიურად უპირისპირდება ჰომოსექსუალიზმის განზრახ პროპაგანდას, რომელსაც სამწუხაროდ ევროკავშირი ბოლო წლებში მიმართვას. საპატრიარქომ თხოვნით მიმართა ევროპელ ელჩებს, რომ უარი ეთქვათ ეგრეთწოდებულ პრაიდში მონაწილეობაზე, მაგრამ ევროპელმა ელჩებმა პატრიარქის მოწოდება არა თუ არ გაითვალისწინეს, არამედ მონაწილეობააც მიიღეს დაგეგმილ პრაიდში.

დღევანდელ მსოფლიოში ძალინ აქტუალური გახდა გენდერული იდენტობის საკითხი. დასავლეთის ქვეყნებში შექმნილია უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იცავს ქალების უფლებებს. ფემინისტები თვლიან, რომ ზოგადად ნებისმიერ რელიგიაში ქალის როლი დაკნინებულია და უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. ფემინისტები ცდილობენ, რომ ქალებს მიეცეთ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება.

რაც შეეხება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას, გენდერული საკითხისადმი ეკლესია თვლის, რომ ქალსა და კაცს აქვთ სხვადასხვა მოვალეობები და ღმერთის წინაშე თანასწორები არიან. მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისით ქალები არიან ოჯახის ხერხემალი და დიდია მათი წვლილი ოჯახის

ფუნქციონირებაში. ფემინისტების აზრით კი, ქალმა ოჯახის გარეთ უნდა ეძებოს თავისუფლება, რადგან მათ ოჯახი ჩაგვრის ინსტრუმენტად მიაჩნიათ.

## 3.1 საქართველოს მონაწილეობა სამეზობლო პოლიტიკაში და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში

აღმოსავლეთ პარტნიორობა ეს არის ურთიერთობების გაღრმავების პროცესი ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებთან: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან ბელარუსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან. პარტნიორობის მთავარი მიზანია კანონის სამართლიანობის და უსაფრთხოების დაცვა ამ ქვეყნებში ეკონომიკური სტაბილურობა და ინტეგრაციის მაღალი დონე.[100]

აღმოსავლეთის პარტნიორობის  პროგრამა დაფუძნებულია მაღალი ინტეგრაციის დონესთან. პარტნიორებს შორის ერთმანეთთან თანამშრომლობასთან. მისი მიზანია ეფექტური საგარეო პოლიტიკის მიღწევა ევროპის ტერიტორიაზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობა გულისხმობს უფრო მეტ სტაბილურობას და კეთილდღეობას პარტნიორ ქვეყნებთან. პარტნიორობის პროგრამიდან: უკრაინა მოლდოვა და საქართველო ასპირანტი წევრები გახდნენ და, ამის გამო, ევროკავშირს ამ ქვეყნებთან უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთობა გააჩნია. ევროკავშირის ასპირანტობა გულისხმობს ევროკავშირთან კიდევ უფრო მეტ აქტიურ თანამშრომლობას და ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალ დონეს.[101]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აქტიურად ცდილობდნენ ევროკავშირთან ურთიერთობების დამყარებას. საქართველოს ამ მხრივ ყოველთვის პროევროპული კურსი ჰქონდა არჩეული, თუმცა სეპარატისტული კონფლიქტები ხელს უშლიდა ევროკავშირთან დაახლოებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კავკასიის რეგიონი ევროკავშირისთვის არ იყო საინტერესო და ევროკავშირი კავკასიის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენდა, თუმცა უკვე 1996 წლიდან ევროკავშირმა დაიწყო ურთიერთობების გაუმჯობესება: საქართველოსთან სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

---

[100] Eastern Partnerships. Funded by the European Union. https://eufordigital.eu/discover-eu/eastern-partnership/ (08.01.2023).
[101] Paul A., Ciolan l., Lessons from the Eastern Partnership: Looking back to move forward. https://www.epc.eu/en/publications/Lessons-from-the-Eastern-Partnership-Looking-back-to-move-forward~44d130 author Amanda Paul (08.01.2023).

როგორც აღინიშნა, საქართველოს და ევროკავშირის პარტნიორობა 1996 წლიდან დაიწყო. 1999 წელს კი უკვე ძალაში შევიდა თანამშრომლობის ხელშეკრულება. 2014 წელს კი ევროკავშირთან ასოცირებას მოეწერა ხელი. ამას მოჰყვა უვიზო მიმოსვლის ამუშავება ევროპასთან. საქართველო აქტიურად ატარებს ანტიკორუფციულ და ადამიანის უფლებების დამცავ ღონისძიებებს. ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას სასამართლოს დამოუკიდებლობას აქცევს, სადაც, მისი აზრით, გარკვეული ხარვეზებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა.[102]

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა განსაკუთრებით მიძღვნილია ფინანსური და ტექნიკური რესურსების გაძლიერებაზე. ამ პროგრამის მიზანი იყო: უკრაინის, საქართველოს და მოლდოვას ევროპულ სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოება. ევროკავშირი ამ პროგრამის ფარგლებში ითხოვდა, რომ პარტნიორ ქვეყნებს დაეწყოთ ევროკავშირის სისტემაზე გადაწყობის სქემა. ეს რეფორმები ყველაზე უკეთ: საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ განახორციელეს.[103]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მოწინავე ქვეყანა იყო, ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი 2022 წელს მიანიჭა: უკრაინას და მოლდოვას. უკრაინის კრიზისის გამო ევროკავშირი მოლდოვას 13 მილიონითაც დაეხმარა რათა მოლდოვას შესაბამისი პირობები შეეწყო უკრაინელი დევნილებისათვის. მოლდოვამ გაითვალისწინა ევროკავშირის მოთხოვნები და მეტ-ნაკლებად გააუმჯობესა სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზები. თუმცა მოლდოვის მთავარ პრობლემად კვლავ რჩება კორუფცია, რომლის წინააღმდეგ დღევანდელი მოლდოვის ხელისფლება აქტიურად იბრძვის, მაგრამ მიუხედავად დიდი სურვილისა დღესდღეობით მოლდოვა მაინც არ არის კორუფციისგან თავისუფალი ქვეყანა.[104]

ევროკავშირს სჭირდება ძალიან ნათელი და გასაგები პოლიტიკა აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებით. როცა საუბარი მიმდინარეობს აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებით უნდა გვესმოდეს, რომ ეს შეიცავს რისკებს. ევროკავშირმა რეალურად ამ პროგრამის განხორციელებისათვის დიდი შრომა უნდა

---

[102] Chikvadze V., The Eastern partnerships: what's next for Georgia? https://ge.boell.org/en/2019/09/12/eastern-partnership-whats-next-georgia (08.01.2023).
[103] Fortuna A., Georgia, Ukraine and Moldova vs Eu's Eastern Partnership? https://euobserver.com/opinion/154839 georgia Ukraine and moldova vs eu eastern partnership (08.012023).
[104] EU relations with the republic of moldova. https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership/moldova/ (08.01.2023).

გაწიოს, ვინაიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნები თავისი დემოკრატიის მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგალითად: ბელარუსსა და აზერბაიჯანში რეალურად ავტოკრატიული რეჟიმები არსებობს, რაც ამცირებს ევროკავშირის აქტიურ ინტერესს ასეთი ქვეყნების მიმართ.[105]

მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა საქართველოსთვის დიდი იმედგაცრუება იყო ის ფაქტი, რომ 2022 წელს ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი მიანიჭა უკრაინას და მოლდოვას და არა საქართველოს. საქართველოსაგან ევროკავშირი მოითხოვს აქტიურ რეფორმებს სასამართლო სისტემაში, პრესის თავისუფლებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულებას.

ევროკავშირი საქართველო მთავარ გამოწვევად მაინც პოლიტიკურ პოლარიზაციას მიიჩნევს და აქტიურად მოუწოდებს ოპოზიციას და ხელისუფლებას ერთმანეთთან თანამშრომლობისაკენ. თუმცა კანდიდატის სტატუსი არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობას, რადგან ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის ქვეყნის კანონმდებლობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას და არ უნდა არსებობდეს კითხვები დემოკრატიასთან დაკავშირებით.[106]

ევროკავშირის წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში მუდმივად იმეორებენ იმას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი. ევროკავშირი საქართველოს, რომელიც მიუხედავდ იმისა, რომ გეოგრაფიულად დაშორებულია ევროპის რეგიონს მაინც თვლის მნიშვნელოვან ქვეყნად და ცდილობს, რომ ეს ქვეყანა დაუხლოვდეს ევროპულ სტატნდარტებს. ევროპელები აფასებენ, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპისაკენ და მეტ-ნაკლებად შეძლო საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა. ცალსახაა, რომ საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიაა და ევროპისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა გაატაროს.[107]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მოლდოვაზე წინ იდგა, მოლდოვის საპარლამენტო არჩევნებში მაია სანდუს გამარჯვების

105 The Future of the EU's Eastern Partnership Policy: "Everything but Institutions". https://www.ui.se/forskning/centrum-for-osteuropastudier/guest-commentary/the-future-of-the-eus-eastern-partnership-policy-everything-but-institutions/ (08.01.2023).
106 HESS M., THE EU WILL REGRET DENYING GEORGIA IMMEDIATE CANDIDATE STATUS https://www.aljazeera.com/opinions/2022/6/21/the-eu-commission-may-regret-denying-georgia-candidate-status (08.01.2023).
107 LIBERIO J., WHY WAS GEORGIA NOT GRANTED EU CANDIDATE STATUS? https://www.euronews.com/my-europe/2022/06/24/why-was-georgia-not-granted-eu-candidate-status (08.01.2023).

შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მოლდოვაში დაიწყო კორუფციის წინაამდეგ აქტიური ბრძოლა. კორუფცია იყო პრობლემა, რომელიც ხელს უშლიდა სახელმწიფო სისტემის გამართულად ფუნქციონირებას. მაია სანდუს მცდელობებმა გარკვეული შედეგები გამოიღო, მაგრამ ეს ჯერ არ არის საკმარისი ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებისთვის, რადგან მოლდოვაში ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საბჭოთა მანკიერი სისტემა, რომელიც ევროპული დემოკრატიისათვის სრულიად მიუღებელია, თუმცა მოლდოვა აქტიურად იბრძვის ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოებისათვის.[108]

საქართველოსაგან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით შედარებით წარმატებით განვითარდნენ ბალტიის რესპუბლიკები, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იქაც ცდილობდა მათ შიდა საქმეებში ჩარევას და არეულობის მოწყობას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მალევე მოახერხეს კორუფციის შეჩერება, რაც საწყის ეტაპზე წარმოუდგენლად ჩანდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ბალტიისპირეთში საგრძნობი იყო ეკონომიკური წარმატება. ეს ყველაფერი განპირობებული იყო ამ ქვეყნების პასუხისმგებლობის გრძნობით, მძლავრი ანტიკორუფციული ქმედებით და რაც მთავარია კოლექტიური ნებით, რაც ასე აკლდა კავკასიის რესპუბლიკებს. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ამ ქვეყნების ეკონომიკა მკვეთრად გაუმჯობესდა და დღეს ეს ქვეყნები ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნებად არიან მიჩნეულნი, რომლებმაც შეძლეს რუსული გავლენისაგან თითქმის სრულიად გათავისუფლება და დასავლური ტიპის ქვეყნის აშენება.[109]

ყველა საბჭოთა რესპუბლიკა რა თქმა უნდა განსხვავებულად განვითარდა. ბალტიისპირეთმა მიუხედავად მცირე პრობლემებისა შეძლო პრობლემების დამარცხება და დემოკრატიის გზაზე დადგომა, განსხვავებით მათგან ცენტრალური აზია და ბელორუსია ავტორიტარიზმის გზას დაადგა და ეს ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროებად დარჩნენ. ბევრი საბჭოთა რესპუბლიკა ძალიან დააზარალა სამოქალაქო ომმა, აი, მაგალითად, ტაჯიკეთი ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ომებმა მოიცვა,

[108] Moldova: Overview of corruption. CMI. Anti-corupption resourse centre. https://www.u4.no/publications/moldova-overview-of-corruption (08.01.2023).
[109] „How the Baltic states economies exploded post USSR“. https://www.borgenmagazine.com/baltic-states-economies/ (22.01.2022).

მხოლოდ ერთეულმა ქვეყნებმა თუ მოახერხეს მშვიდობის შენარჩუნება და სისხლისღვრის თავიდან შეჩერება, ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიდა სიტუაციის და ეკონომიკის გაუარესებას, რამაც ეს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.[110]

ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ცდილობდა რეგიონში დამკვიდრებას და საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებას. 1990 წელი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში იყო ერთგვარი ადაპტაციის პერიოდი ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ თავდაპირველად ამერიკას დიდი ინტერესი არ გამოუხატავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკას არ სურდა რეგიონში ფეხის მოკიდება. ამერიკას კავკასიის რეგიონში ყველაზე მეტად ენერგეტიკული და სატრანსპორტო საკითხები აინტერესებდა. ასევე მისთვის ძალიან მიმზიდველი იყო ნავთობის და გაზის რესურსები, შეერთებული შტატების განზრახვა იყო, რომ რუსეთს ამ რესურსებზე მონოპოლია აღარ ჰქონოდა და რუსეთის ადგილი მას დაემკვიდრებინა.[111]

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ცივი ომის შემდეგ ფოკუსირებულები იყვნენ, რომ გაემჯობესებინათ ურთიერთობა ევროკავშირთან, ვინაიდან ისინი ევროპის ნაწილად თვლიდნენ საკუთარ თავს და მათ მალევე მოახერხეს ევროპასთან დაახლოება. რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, თავდაპირველად, ევროკავშირი არ იყო დაინტერესებული ამ რეგიონით, რადგან ვერ ხედავდა განვითარების პოტენციალს. 1990-დან 1999 წლამდე ევროკავშირმა 110 მილიონი დახარჯა საქართველოში. თავდაპირველად ევროკავშირის დახმარებები არ გულისხმობდა დემოკრატიის მშენებლობის დაწყებას საქართველოში. 1996 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუმჯობესდა. რაც მთავარია, ევროპისა და საქართველოს ურთიერთობებს ჰქონდათ მომავლის პერსპექტივა, რადგან საქართველო იყო რეგიონში ყველაზე გამოკვეთილად დასავლური

---

[110] Javakhia B., „Georgia and Europe in the Early Middle Ages“ https://medievalstudies.ceu.edu/events/2011-12-02/georgia-and-europe-early-middle-ages (22.01.2022).
[111] The „Caucasus Fox“ Takes a Bow. https://www.dw.com/en/the-caucasus-fox-takes-a-bow/a-1040658 (22.01.2022).

ორიენტაციის მქონე ქვეყანა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა რუსული სივრცისაგან გათავისუფლებას და დასავლეთთან ინტეგრირებას.[112]

საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ ეს არ იყო ბოლო წლების საქართველოს პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება, არამედ ქართველი ხალხის არჩევანი. საქართველოსა და ევროპის ურთიერთობები დაფუძნებული და განვითარებული იყო ქრისტიანულ იდეოლოგიაზე. ქრისტიანული სარწმუნოება იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საქართველო მუდმივად ევროპისაკენ მიისწრაფვოდა. თავდაპირველად საქართველო ევროპას ბიზანტიის იმპერიიდან ეზიარა, რომელიც მოიაზრებოდა, როგორც აღმოსავლეთი რომის იმპერია და ახალი ქრისტიანული სამყაროს ცენტრი. თუმცა საქართველოს მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო დასავლეთ ევროპისაკენ გზა თითქმის დაკეტილი ჰქონდა. ამ ყველაფერს თან ერთვოდა მუდმივი ომები დამპყრობელ ქვეყნებთან, ბიზანტიასთან მრავალწლიანმა ურთიერთობამ უფრო მეტად განამტკიცა მოსაზრება, რომ საქართველოს თავისი საგარეო პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა აეღო.[113]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოს საშინაო-პოლიტიკური პარადიგმა ხშირად ირყეოდა მისი საგარეო პოლიტიკური კომპასის ისარი მუდმივად დასავლეთისაკენ იყო მიმართული. 90-იანი წლებიდან ქვეყნის მმართველებმა სურვილი გამოთქვეს და ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ევროპულ ოჯახში გაერთიანების იდეას. თუმცა საქართველოს ისტორიის 1921 წელმა და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირმა ქართული ევროპული იდეა გარკვეულ წილად დაასამარა, მაგრამ საქართველომ მაინც შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და ევროპასთან დაახლოება.[114]

თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველომ ბევრი მძიმე განსაცდელი გადაიტანა, სამოქალაქო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყანა ასევე ქვეყანამ გადაიტანა ტერიტორიების დაკარგვა და ახალ რეალობასთან შეგუება მოუწია, თუმცა რაც ყველაზე მთავარია მან მაინც შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. საბჭოთა კავშირისაგან მიღებული უმძიმესი მემკვიდრეობის მიუხედავად საქართველომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე დაიმკვიდრა ადგილი, როგორც დასავლეთის განუყოფელმა ნაწილმა.

[112] Petre Dumitriu. „The seven sins of globalization". გვ. 5-6. http://www.sam.gov.tr/pdf/perceptions/Volume-V/june-august-2000/PETRU-DUMITRIU.pdf (22.01.2022).

[113] ჩხიკვაძე ა., ლიბერალური დემოკრატიის კრიზისი. https://www.amerikiskhma.com/a/crisis-for-liberal-demoracy-and-what-it-means-for-eastern-europe/4356517.html (08.01.2023).

[114] ლეჟავა ნ., „საქართველო ევროპაში საკუთარი ადგილის ძიებაში". გვ. 1-2. https://carnegieendowment.org/files/202104_Lejava_GeorgiaEU_Georgian_Translation.pdf (22.01.2022).

საქართველოსთვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება. საქართველომ მოახერხა ის, რომ ოფიციალურად მსოფლიომ აღიარა, რომ სეპარატისტული რეგიონები აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნელ-ნელა ეტაპობრივად ჩამოყალიბდა საგარეო კურსი, რომელიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ითვალისწინებდა.[115]

იმისათვის, რომ ქვეყანა გაწევრიანდეს ევროკავშირში ის უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“. ის გულისხმობს: დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას და პატივისცემას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დემოკრატიული სისტემის სტაბილურობა საკუთარ ქვეყნებში, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ ქვეყნებმა უნდა მიიღონ დამკვიდრებული საბაზრო ეკონომიკა და თავისუფალი კონკურენცია. ქვეყნებმა უნდა აღიარონ და საკუთარ ქვეყანაში გაატარონ  ის სტანდარტები რაც ევროკავშირის კანომდებლობას უდევს საფუძვლად და ყველა ქვეყანამ, რომელიც არის ევროკავშირის წევრი უნდა უზრუნველყოს ის, რომ ევროკავშირის კონსტიტუცია იყოს უპირატესი და გაატარონ უმთავრესად ის სტანდარტები, რასაც ევროკავშირის კონსტიტუცია გულისხმობს.[116]

რამდენიმე გაფართოების შემდეგ ევროკავშირი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თავდაპირველად ევროკავშირში 6 ქვეყანა შედიოდა. იმისათვის, რომ ესა თუ ის სახელმწიფო გახდეს ევროკავშირის წევრი უნდა მოხდეს ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა ამის თაობაზე. ცალსახაა, რომ ევროკავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ევროპაში დემოკრატიისა და უსაფრთხოების განმტკიცებას და გააძლიერა კონტინენტის პოტენციალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. თუ რომელიმე ქვეყანა ევროკავშირისაგან მიიღებს ორგანიზაციაში გაწევრიანების უფლებას ეს ქვეყანა ევროკავშირიდან იღებს დიდ ფინანსურ დახმარებას, რაც უადვილებს ამ ქვეყნებს გზას, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ფინანსურად გაუთანაბრდნენ. ასევე, მანამ, სანამ ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება ევროკავშირი ამ ქვეყანაზე მონიტორინგს

[115] საქართველოს ევროპული არჩევანი: დასავლური საგარეო პოლიტიკა და მშვიდობიანი განვითარება. https://www.georgianpolitics.com/ (22.01.2022).
[116] საქართველოს ევროპული არჩევანი. გვ. 4. http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15088.pdf (22.01.2022).

აწარმოებს, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ახორციელებს კონკრეტული ქვეყანა ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებს.[117]

ევროკავშირთან დაახლოების სიკეთეები თავიდანვე ესმოდათ ქართველ პოლიტიკოსებს მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი 90-იან წლებში არ იყო ისე სრულყოფილი როგორც დღეს ის მაინც მიმზიდველი იყო მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსებისათვის. მაშინდელი პოლიტიკოსები აცნობიერებდნენ, რომ დასავლურ სტრუქტურებში განსაკუთრებით ევროკავშირში ინტეგრაცია ხელს შეუწყობდა საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას. გზას გაუხსნიდა საქართველოს ახალი დიდი ბაზრისაკენ და საქართველო არ იქნებოდა დამოკიდებული რუსულ ბაზარზე. ასევე, ევროკავშირის წევრობა საქართველოს მოუტანდა უფრო მეტ სამუშაო ადგილს და ქვეყანას ძალიან დიდ ფინანსურ დახმარებას. ასევე ევროკავშირი აუცილებლად გამოუყოფდა სუბსიდიებს ცალკეულ დარგებში ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად. და მთლიანობაში ევროკავშირის წევრობა საქართველოს მოსახლეობას მოუტანდა ეკონომიკურ კეთილდღეობას.[118]

ევროკავშირი ასევე აქტიურად მუშაობს წევრ ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე. ევროკავშირმა 1990 წელს 35 პროცენტი გრანტი გამოყო ამ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ევროკავშირი აქტიურად ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება, ვინაიდან ევროკავშირის კომპეტენციაში შედის, რომ დაეხმაროს წევრობის მსურველ და ღარიბ ქვეყნებს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასევე რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირი აქტიურ ინვესტიციას აკეთებს სოფლის მეურნეობის სფეროში.[119]

## 3.2 ევროკავშირის უნივერსალური ღირებულებები და ქართულ სინამდვილეში ადაპტირების პრობლემები

ევროკავშირი არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია გააჩნია ფასეულობათა მდგრადი სტრუქტურა. ევროკავშირის მთავარი ღირებულებებია: თავისუფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს კერძო ცხოვრების რელიგიის და გამოხატვის თავისუფლებას.

[117] საქართველო და ევროკავშირი. განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ. გვ. 30-31. http://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599662942_saqarthvelo-da-evrokavshiri-ganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf ( 22.01.2022).
[118] Benefits of EU Membership. https://mkik.hu/en/benefits-of-eu-membership (22.01.2022).
[119] Paul A., „The EU and the South Caucasus 25 Years Since Independence“. https://eu.boell.org/en/2016/11/25/eu-and-south-caucasus-25-years-independence (22.01.2022).

მეორე ევროკავშირის ძირითადი პრინციპია თანასწორობა რომელიც ძირითადად მოიცავს ყველა ადამიანის თანასწორობას განსხვავებით: რასის, კანის ფერის და გენდერული იდენტობის და ეთნიკურობის მიუხედავად. და მთავარი პრინციპი, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ არის ევროკავშირის მთავარი  და ამოსავალი ნაწილი არის ადამიანის უფლებები რომელიც მოიცავს: რწმენის, ეთნიკურობის და რელიგიურ პრინციპებს. ეს პრინციპები კი ქმნიან იმ ფუნდამენტს, რაზეც დგას დღევანდელი ევროკავშირი.[120]

ევროკავშირის მთავარი მიზანია, რომ დაიცვას ეს ღირებულებები განსაკუთრებით კი, მისი მოქალაქეების უსაფრთხოება, რადგან საკუთარი მოქალაქეების დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს ყველაზე მთავარი მოვალეობაა. ევროპის პარლამენტი აქტიურად მუშაობს, რომ ევროპული ღირებულებები დაცული იყოს მთელი ევროკავშირის მასშტაბით. ყველა ევროკავშირის წევრი ქვეყანა ემორჩილება ევროკავშირის კანონმდებლობას, რომელიც ძალიან პრულარისტულია ყველა ეთნიკური ჯგუფის თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ. ამ მხრივ ყურადსაღებია ლისაბონის ხელშეკრულება, სადაც ხაზგასმულია ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა ევროკავშირისათვის.[121]

ქართველების უმრავლეს ნაწილს ევროპული ინტეგრაციას გზა ქვეყნის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ევროპული ინტეგრაცია ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია. თუმცა მიუხედავად ამისა საქართველოში გარკვეულწილად არსებობს გარკვეული კითხვის ნიშნები ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. ბევრ საქართველოს მოქალაქეს არ მოსწონს ის ტენდენციები, რაც დღეს ევროპაშია გავრცელებული, მაგალითად, სეკულარიზმი, რომელიც გარკვეულწილად ადგილობრივ ძირითად რელიგიას დაკნინებულ მდგომარეობაში ამყოფებს. ქართველების ევროპული არჩევანი გარკვეულწილად არის გაქცევა იმ რეგიონული სივრციდან რაშიც საქართველო გეოგრაფიულად იმყოფება. საქართველოს ჰყავს მტრულად განწყობილი  მეზობელი რუსეთის სახით და ასევე მეზობლად მყოფი მუსლიმური ქვეყნები, რომლებიც ქართული ტრადიციული ღირებულებებიდან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.[122]

---

[120] Aims and Values. European Union. https://european-union.europa.eu/principles-countries-history/principles-and-values/aims-and-values_en  (08.01.2023).
[121] Values. European Parliament. https://europarlamentti.info/en/values-and-objectives/values/ (08.01.2023).
[122] Lejava N., Georgia’s unfinited search for its place in Europe. https://carnegieeurope.eu/2021/04/06/georgia-s-unfinished-search-for-its-place-in-europe-pub-84253  (08.01.2023).

დღეს ევროპაში ბევრ ქვეყანაში არატრადიციული ურთიერთობები დაკანონებულია, უფრო მეტიც, შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იცავენ სექსუალური უმცირესობების და ტრანსგენდერების უფლებებს. სექსუალური უმცირესობების დაცვა არის ევროკავშირისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და ვინც ამ ყველაფერს არ ეთანხმება ევროკავშირი აქტიურად უპირისპირდება. ამის კარგი მაგალითია უნგრეთის პრეზიდენტი ვიქტორ ორბანი, რომელსაც ამ და სხვა საკითხებზე ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებით დიდი კითხვის ნიშანი გააჩნია. სამწუხაროდ, ევროკავშირი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს აიძულებს, რომ დაცული იყოს სექსუალური უმცირესობების უფლებები.[123]

ეს იმიტომ, რომ ტრანსგენდერები და ჰომოსექსუალები ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ევროკავშირი მითითებას აძლევს წევრ ქვეყნებს, რომ მიიღონ კანონები, რომლებიც ხელს არ შეუშლიან ერთსქესიანი წყვილების ქორწინებას. ასეთი პირების მიმართ მტრულად განწყობილ ქცევას კი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლები უაროფითად პასუხობენ.[124]

დღეს მსოფლიოში სულ უფრო მეტად და მეტად მატულობს უარყოფითი დამოკიდებულბა ჰომოსექსუალი წყვილების მიმართ. ევროკავშირი შეშფოთებულია იმით, რომ სიძულვილის ენა მატულობს ინტერნეტ სივრცეში, სადაც საკმაოდ ხშირია ჰომოსექსუალი წყვილების მიმართ შეურაცმყოფელი კომენტარები. ევროკავშირში არ მოსწონთ, რომ სიძულვილის ენაში გარკვეულწილად ჩართულები არიან პოლიტიკოსები, რომლებიც არ ერიდებიან ხისტ გამონათქვამებს. ევროკომისია აქტიურად იცავს ტრანსგენდერების და ჰომოსექსუალების უფლებებს და ცდილობს აქტიურად აღკვეთოს ამ პირების მიმართ მტრულად მიმართული ნებისმიერი ქმედება.[125]

ამ ყველაფრის მიუღებლობის გამო 2019 წელს იტალიის ქალაქ ვერონაში შეიკრიბა მსოფლიო საოჯახო კონგრესი. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც ტრადიციული ღირებულებების დაცვა წარმოადგენს. კონგრესს მხარი დაუჭირეს მემარჯვენე პოლიტიკოსებმა და ასევე ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებმა. მსოფლიო საოჯახო კონგრესის მოწვევა

---

[123] Stilz A. Civic nationalizms and language police. https://www.jstor.org/stable/40468467 (22.01.2022).

[124] European union lesbian, gay, bisexual, and transgender survey. EU LGBT survey. https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-eu-lgbt-survey-main-results_tk3113640enc_1.pdf (08.01.2023).

[125] ევროპული კომისია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ. https://rm.coe.int/168008db3c (08.01.2023).

იყო ერთგვარი პროტესტი იმ ყველაფერთან დაკავშირებით რაც დღს ევროპაში ხდება: ფემინიზმი, გენდერული იდენტობა, აბორტის ლეგალიზაცია, ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინება დ ა.შ. მსოფლიოში დღს ევროკავშირი აღიქმება როგორც ულტრალიბერალური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად უპირისპირდება ტრადიციულ ღირებულებებს და ცდილობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ევრიოკავშირის წევრი ბევრი ქვეყნისთვისაც კი მიუღებელია.[126]

ევროპაში დღეს ულტრამემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლეს ეთნონაციონალიზმის გაერთიანება პოპულიზმთან, იმ საბაბით, რომ ეთნონაციონალიზმი იცავს ერების უფლებებს. ულტრამემარჯვენე ნაციონალურ ძალებს ევროპაში უკვე საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ, რაც მრავალი მიზეზით განსაკუთრებით კი ევროკავშირის ბოლოდროინდელი პოლიტიკის უკმაყოფილებით არის გამოწვეული. უმრავლესობა ნაციონალისტური პარტიებისა დღეს ევროკავშირს განიხილავს ორგანიზაციად, რომელიც ძირს უთხრის მათი ერების უსაფრთხოებას. მიგრანტების კრიზისმა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დიდ ტვირთად დააწვა თანამედროვე ევროპის ქვეყნებს, ევროკავშირის ლიბერალური პოლიტიკის მიმართ მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია.[127]

ჯოზეფ ვეილერი ამტკიცებდა, რომ რელიგიური იდენტობა და პატრიოტიზმი ძალიან მნშვენელოვანია ნებისმიერი ერის წარმოამდგენლისათვის. ვეილერის აზრით ხალხი არ არის გარყვნილი საზოგადოება, ხალხი გარყვნილი ხდება მაშინ, როდესაც მის ექსპლუატაციას აკეთებენ გარკვეული პოლიტიკოსები. ევროპელი პოლიტიკოსები უკვე წლებია არ იცავენ იმ ღირებულებებს რაც ევროპელი საზოგადოებისათვის იყო მისაღები. ვეილერის მტკიცებით სახელმწიფო უნდა ეკუთვნოდეს ინდივიდებს და არა ფაშისტებს. ევროპაში კი დღეს მიმდინარეობს რელიგიური გრძნობების და პატრიოტიზმის უპატივცემულობა.[128]

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2013 წელს საქართველოს დაეკისრა ვალდებულება მიეღო კანონი,

---

[126] Stockl K., The European Culture Wars. https://www.zois-berlin.de/en/publications/zois-spotlight/archiv-2019/the-european-culture-wars (08.01.2023).

[127] Executive Summary. European Ethno-Nationalist and White supremacy group. https://www.counterextremism.com/content/european-ethno-nationalist-and-white-supremacy-groups (08.01.2023).

[128] Europe’s culture crisis. Harvard Law today. https://hls.harvard.edu/today/europes-culture-crisis/ (08.01.2023).

რომელიც აღმოფხვრიდა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებს. 2014 წლის 7 მაისს პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ კანონი ოფიციალურად შევიდა ძალაში და ბევრი ვნებათაღელვა გამოიწვია საპატრიარქოს მხრიდან.[129]

პატრიარქი ილია მეორე გამოეხმაურა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც საპატრიარქოს წინაამღდეგობის მიუხედავად პარლამენტმა მაინც დაამტკიცა. საპატრიარქო წინაამღდეგი იყო ანტიდისკრიმინაციულ კანონში დაფიქსირებულიყო ტერმინების სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. პატრიარქის თქმით მართლმადიდებელმა მორწმუნემ არ უნდა მიიღოს ეს კანონი, რადგან ეს კანონი თავისი არსით ეწინამღდეგება ქრისტიანობის პრინციპებს. ანტიდისკრიმაციული კანონის მიღებამ დიდი ხმაური გამოიწვია მორწმუნე საზოგადოებაში.[130]

ევროკავშირის ქვეყნებში ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა ინდივიდუალურად რეგულირდება. ევროკავშირის წევრები არიან მართლმადიდებელი ქვეყნებიც. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის როლი ქვეყნის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. რაც შეეხება კულტურას ევროკავშირი, რომელიმე ქვეყნის კულტურის ცვლილებას არ გეგმავს. პირიქით ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამა უშუალოდ წევრი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას მოიცავს.[131]

თუმცა ბოლო დროს შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირმა ეს პოლიტიკა შეცვალა და უკვე განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამახვილებს ერთსქესიანი ადამიანების უფლებების დაცვაზე. საქართველოს შემთხვევაში ადამინის უფლებები მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა ის პირობები რაც ევროკავშირს აქვს წაყენებული საქართველოსთვის ბოლომდე არ არის შესრულებული.[132]

უნგრეთსა და პოლონეთში არალიბერალური მთავრობების აღზევება მათი წარმატების საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამერიკელ და ევროპელ ლიდერებს ამ ქვეყნების ავტორიტარიზმისაკენ სვლა აშინებთ, მაგრამ დასძენენ, რომ ეს მხოლოდ ცენტრალური ევროპის გამოწვევა არაა. დასავლეთში და ამერიკაში არ წყდება დებატები თუ როგორ უნდა უპასუხონ ლიბერალიზმის კრიზისს და პოპულიზმის აღზევებას, რომელიც

---

[129] ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები. საერთაშორისო გამჭვირვალობა. https://www.transparency.ge/ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi (08.01.2023).

[130] ილია მეორე აცხადებს, რომ არც ერთი მორწმუნე არ მიიღებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს. https://netgazeti.ge/news/31500/ (08.01.2023).

[131] პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, საქართველო და ევროკავშირი - საინფორმაციო ცენტრი. https://old.infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/#1 (08.01.2023).

[132] ევროკავშირი და საქართველო. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221 (08.01.2023).

ბოლო წლებში განსაკუთრებით შეინიშნება, თუმცა ამ თემაზე ერთსულოვანი მოსაზრება ჯერ კიდევ არ არსებობს და დღევანდელ დღეს ევროპაში და ამერიკაში ლიბერალიზმი მთავარ პოლიტიკურ იდეოლოგიად რჩება.[133]

თუმცა არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ ევროპაში ლიბერალური დემოკრატიის მიმართ ნდობა თანდათანობით იკლებს. გაჩნდა ბევრი რადიკალური პარტია, რამაც გაზარდა პარტიების რაოდენობა ევროპის საპარლამენტო ორგანოში. თანდათანობით მოსახლეობაში უფრო და უფრო კლებულობს პოლიტიკოსების ავტორიტეტი, რის შედეგადაც ევროპის მოსახლეობა ნაკლებად იღებს არჩევნებში მონაწილეობას. ამ პროცესების გამო ბევრი ევროპელი ფიქრობს, რომ ევროპა შეიძლება იყოს „დემოკრატიის რეცესიის" პირობებში.[134]

ევროკავშირში უკვე ძალიან ძლიერია პოპულისტური განწყობები. ხშირ შემთხვევაში პოპულიზმი ევროპაში იზრდებოდა ეკონომიკური კრიზისის გამო. საბერძნეთში პოპულისტური პარტიების გაძლიერება გამოიწვიია ძირითადად მიგრაციულმა პროცესებმა. პოპულისტური პარტიების გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზია ასევე იდენტობის დაკარგვის შიში, უთანასწორობა და გლობალიზაცია. პოპულიზმი ძალიან თხელია და შეუძლია იყოს, როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე სპექტრის. მემარჯვენე პოპულიზმი უდიდეს საფრთხეს უქმნის სტატუს კვოს ევროპასა და ამერიკაში.[135]

თუმცა რეალურად პოპულიზმი არ არის არც მემარცხენე არც მემარჯვენე. პოპულიზმი საერთოდ არ არის იდეოლოგია. ეს ეხება გრძნობებს და არა იდეებს. 1972 წლის 17 აპრილს ხელმოწერილს სტატიაში, პოპულიზმი არის იარლიყი, რომელიც მალავს განსხვავებულ ვნებებს.[136]

---

[133] ჩხიკვაძე ა., ლიბერალური დემოკრატიის კრიზისი. https://www.amerikiskhma.com/a/crisis-for-liberal-demoracy-and-what-it-means-for-eastern-europe/4356517.html (08.01. 2023).

[134] The future of democracy in Europe. Chatham House. https://www.chathamhouse.org/2020/03/future-democracy-europe/2-what-crisis-liberal-democracy (08.01.2023).

[135] Balfour R., The (Resistable) Rise of Populism in Europe and its Impact on European and International Cooperation. https://www.iemed.org/publication/the-resistable-rise-of-populism-in-europe-and-its-impact-on-european-and-international-cooperation/ (08.01.2023).

[136] America's populism problem. https://www.cato.org/commentary/americas-populism-problem (08.01.2023).

### 3.3 რელიგიის და ეკლესიის დამოკიდებულება ევროპული იდენტობის და გენდერული საკითხისადმი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა ქართულმა საზოგადოებამ მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროპულ მომავალს. საქართველოს მისწრაფება ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართველი ხალხის გადასაწყვეტია აღნიშნავს საპატრიარქო. ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციას, რადგან ეს არის ქართველი ხალხის ნება-სურვილი.[137]

ევროკავშირს წევრ ქვეყნებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვს. ის ყველა ქვეყანას სპეციფიურად უდგება. ევროკავშირისთვის ყველაზე მისაღები არის პოლონეთის სეკულარული მოდელი. თუმცა საქართველომ თავის თავზე მორგებული სეკულარული მოდელი უნდა აირჩიოს, რომელიც რა თქმა უნდა შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან. ცალსახაა, რომ ევროკავშირი წევრ და კანდიდატ ქვეყნებს თხოვს სეკულარული პრინციპების დაცვას, სადაც არ იქნება ერთი გაბატონებული რელიგია, სეკულარული პრინციპების არ დაცვა კი საქართველოს პრობლემებს შეუქმნის ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.[138]

სეკულარიზმის არსებობის პირობებში მნიშვნელოვნად დაკნინებულია მართლმადიდებელი ეკლსიის როლი, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მკვეთრად ეწინაამღდეგება იმ ღირებულებებს რაც ზოგადად ქართული კულტურისთვის არის ძალიან მიუღებელი. ეს ეხება ჰომოსექსუალურ აღლუმებს, რომელსაც სამწუხაროდ ევროკავშირი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად უჭერს მხარს, ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით. მართლმადიდებელი ეკლესია ამბობს, რომ ეს არის პროვოკაციული აქტი, რომელიც მიმართულია მორალური ღირებულებების წინაამღდეგ. ეკლესია ასევე ამბობს, რომ ჰომოსექსუალური აღლუმები იწვევს დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ანტიდასავლური განწყობების გაჩენას.[139]

---

[137] გეგეშიძე ა., მირზიაშვილი მ., „მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ცვალებად სამყაროში". https://carnegieendowment.org/files/The_Orthodox_Church_in_Georgias_Changing_Society_Georgian_Translation.pdf (08.01.2023).

[138] IS GEORGIA'S "UNIQUE" APPROACH TO CHURCH-STATE RELATIONS COMPATIBLE WITH EU INTEGRATION? GIP. https://gip.ge/publication-post/is-georgias-unique-approach-to-church-state-relations-compatible-with-eu-integration/ (08.01.2023).

[139] Orthodox church is speaks out against pride week - https://civil.ge/archives/429890 (08.01.2023).

საქართველოს კათალიკოს პატრიარქს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ის მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას და მან მიმართა ევროკავშირის ლიდერებს, რომ ხელი შეეწყოთ საქართველოსთვის, რათა ის გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. ეს ყველაფერი პატრიარქმა თქვა რუმინელი დიპლომატის ქრისტიან ურსის საქართველოში ვიზიტის დროს. რუმინელმა სტუმარმა დიდი პატივისცემა გამოხატა საქართველოს პატრიარქის მიმართ და ქართული და რუმინული ეკლესიების ერთიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.[140]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქო მიესალმება საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას, საქართველოს კათოლიკოსს-პატრიარქს არაერთხელ განუცხადებია, რომ არ შეიძლება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, რასაც დღეს ევროკავშირი აკეთებს. პატრიარქმა განაცხადა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება არის ტაბუ და ეს ყველაფერი შეურაცყოფს ოჯახურ ღირებულებებს. 2021 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოუწოდა ორგანიზატორებს, რომ გაეუქმებინათ პრაიდი, თუმცა ევროპის ქვეყნების ელჩებმა სამწუხაროდ ღიად დაუჭირეს მხარი პრაიდის ორგანიზატორებს.[141]

ზოგადად, ქრისტიანობას ხშირად აკრიტიკებენ ქალების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. თუმცა ბიბლია ქალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ქრისტიანული თვალსაზრისით, კაცები არ არიან დომინანტურები რელიგიურ საკითხებში. მათ უბრალოდ ქალებისგან განსხვავებით სხვანაირი პასუხიმგებლობები აქვთ. ყოველი ადამიანი ღმერთისთვის ქრისტიანული გაგებით თანაბარია და ყველას შეუძლია ქრისტიანულად ცხოვრება. ეკლესიის შეხედულებით კაცი და ქალი თანაბარია, თუმცა განსხვავებული პასუხიმგებლობები გააჩნიათ ღმერთის წინაშე და ეს რომელიმე სქესის წარმომადგენელს უპიარატეს მდგომარეობაში არ აყენებს.[142]

მართლმადიდებლური თვალსაზრისით ქალები არიან ოჯახის ხერხემალი თავიანთ ოჯახებსა და სამრევლოებში. ქალები დღეს არიან ოჯახის ლიდერები, მიუხედავად იმისა, რომ ქალების და კაცების როლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეკლესია თვლის, რომ ღმერთის მიერ ორივე სქესს აქვს განსხვავებული საჩუქარი

[140] Patriarch Ilia II says Georgia should be part of European democratic structures, https://agenda.ge/en/news/2016/359 (08.01.2023).
[141] Gegeshidze A., The Orthodox church in Georgia's changing society. Carnegie Europe. https://carnegieeurope.eu/2021/07/23/orthodox-church-in-georgia-s-changing-society-pub-85021 (08.01.2023).
[142] Browder K., Opinion: what roles do woman play in leadership? https://www.liberty.edu/champion/2021/05/opinion-what-roles-do-women-play-in-leadership/ (08.01.2023).

მინიჭებული, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენონ ორივე სქესის წარმომადგენლებმა, რათა ღვთის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულონ.[143]

21-ე საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტუალურია გენდერული იდენტობის საკითხი. გენდერი და გენდერის თეორია ძალიან აქტუალური საკითხია თანამედროვე რეალობაში. გენდერულ იდენტობას ანვითარებენ ფემინისტები, რომლებიც უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევიან ქრისტიანული ეკლესიის მიმართ. კათოლიკური ეკლესია აღიარებს, რომ კაცი და ქალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ არ არიან განცალკევებულები. კათოლიკური ეკლესია იაზრებს სხვადასხვა კულტურების ფასეულობებს და გენდერული იდენტობის მიმართ განსხვავებული პოზიცია გააჩნია.[144]

მე-20 საუკუნიდან ფემინისტებმა დაიწყეს გენდერული როლების კრიტიკა ანუ საუბარი იმაზე, რომ ქალები კაცებზე დაბლა მდგომი სქესის წარმომადგენლები არიან. ფემინისტებს სურდათ ქალებისთვის მეტი უფლებები და ოჯახური ვალდებულებებისაგან მათი გათავისუფლება. ფემინისტები აცხადებდნენ, რომ სხვადასხვა რელიგიებში ქალის როლი დაკნინებული იყო. მათი აზრით, რელიგიური ტექსტები ხელს უწყობს მამაკაცების დომინირების კიდევ უფრო განმტკიცებას. თუმცა ხაზგასასმელია, რომ სხვადასხვა ფემინისტურ ჯგუფს განსხვავებული პოზიცია აქვს ქალის როლზე რელიგიაში და ამიტომ სხვადასხვა მიდგომებს გვთავაზობს.

სამწუხაროდ, ფემინისტების მტკიცებით რელიგია კიდევ უფრო აკნინებს ქალების როლს. დღევანდელ დღეს ფემინისტებსა და რელიგიების წარმომადგენლებს შორის ერთგვარი ხიდია ჩატეხილი და რაიმე თანამშრომლობაზე საუბარიც შეუძლებელია. თუმცა დღეს ბევრი ფემინისტური ორგანიზაციაა და ქალების უფლებები დასავლეთის ქვეყნებში დაცულია და, შესაბამისად, ფემინისტური ორგანიზაციების ასეთი აქტიურობა ცოტა გასაკვირია, რადგან ევროკავშირი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ქალთა უფლებების დაცვას და ამ მხრივ ორგანიზაციას ბევრი პროექტი აქვს გაკეთებული. თუმცა შეიძლება

[143] Bishop N., The role of woman in the orthodoxe church. http://ww1.antiochian.org/role-women-orthodox-church (08.01.2023).
[144] Grabovski J., The catholic church and gender. https://focusequip.org/the-catholic-church-and-gender/ (08.01.2023).

ითქვას, რომ ეს პრობლემა ევროპაშიც კი არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი და ევროპაშიც ეს საკითხი ჯერ ისევ აქტუალურია.[145]

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები ქალის ლიდერობას კრძალავენ, ზოგიერთი პროტესტანტული ეკლესია ქალის ლიდერობას მაინც უშვებს, თუმცა ეს მაინც ერთეული შემთხვევებია და ქალი სასულიერო პირი მაინც ქრისტიანულ კონფესიებში საკმაოდ იშვიათია. კეტრინ ბუშელი თავის ნაშრომში „ღმერთის სიტყვა ქალისადმი“ აღნიშნავს, რომ ახალი აღთქმა ქალების მიმართ ნაკლებ დისკრიმინაციული იყო, ხოლო შემდეგ კაცების მიერ მოხდა მისი ინტერპრეტაცია ისე, რომ მამაკაცებს დიდი უფლებები მიენიჭათ და უფრო დომინანტურები გახდნენ.[146]

რუსეთის პატრიარქი კირილი აღნიშნავდა: „მე ძალიან სახიფათოდ მიმაჩნია ის ფენომენი, რომელსაც ფემინიზმი ჰქვია, რადგან ფემინისტური ორგანიზაციები აცხადებენ ქალების ფსევდოთავისუფლებას, რომელიც უნდა გამოვლინდეს ოჯახის გარეთ. მაშინ, როცა ქალი შინაგანად არის ორიენტირებული შვილებისაკენ და სახლისაკენ. თუ ქალის ეს როლი დაინგრევა მაშინ ყველაფერი დაინგრევა“.[147]

რუსეთის პატრიარქის მსგავსი პოზიცია აქვს რომის პაპ ფრანცისკეს, რომელიც ამბობს, რომ გენდერის თეორია არის ძალიან საშიში, რომელმაც საშინელი შედეგები შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას. პაპის შეხედულებით გენდერის თეორიას სურს წაშალოს განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც ღმერთის მიერ არის დადგენილი და გენდერის თეორია პირველი რიგში ეს არის გალაშქრება ღმერთის და ქრისტიანული ფასეულობების წინააღმდეგ.[148]

ვატიკანმა გამოაქვეყნა 30 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც არის ერთგვარი ინსტრუქცია თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მორწმუნე კათოლიკეს გენდერული თეორიების მიმართ. დოკუმენტი მაშინვე დაგმეს გენდერული თეორიის მომხრეებმა და მას ზედმეტად ფანატიური უწოდეს. ამ დოკუმენტის გამოქვეყნების

---

145 Religion and feminism: is religion an obstacle or opportunity for woman's emproverment. Berkley Centre for peace and world affairs.
https://berkleycenter.georgetown.edu/events/religion-and-feminism-is-religion-an-obstacle-or-opportunity-for-women-s-empowerment (08.01.2023).

146 ქრისტიანობა და ფემინიზმი. ლექსიკონი–ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.
http://dictionary.css.ge/content/christianity-and-feminism (08.01.2023).

147 Russias orthodox leader says feminism is very dangerous.
https://www.reuters.com/article/us-russia-religion-feminism-idUSBRE93812H20130409 (08.01.2023).

148 Wooden S., Pope Francis attacks „evel" of „Gender theory".
https://www.thetablet.co.uk/news/12451/pope-francis-attacks-evil-of-gender-theory- (08.01.2023).

მთავარი მიზანი იყო ის, რომ მთელს მსოფლიოში ტრანსგენდერები, გეები და ლესბოსელები აღნიშნავდნენ ეგრეთწოდებულ „სიამაყის თვეს". დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ გენდერული თეორიები ძირითადად ეფუძნება თავისუფლების დამაბნეველ და ილუზიურ კონცეფციას.[149]

მე-18 საუკუნეში უკვე იწყება ქალების ემანსიპირების პროცესი და ქალები ერთვებიან სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში. მე-20 საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ძლიერი ქალთა მოძრაობა, რომელსაც უკვე შემდეგში ექო ჰქონდა საფრანგეთში. ამ მოძრაობის შედეგად უკვე დაიგმო ღმერთის როგორც მამის ხატი, ეს იყო საწყისი იმ ყველაფრისა, რომ ქალებს მისცემოდათ წამყვანი როლი პროტესტანტულ ეკლესიაში და დღეს უკვე პროტესტანტიზმი ნებას აძლევს ქალებს, რომ ისინი გახდნენ სასულიერო პირები.[150]

ევროპაში პროტესტანტური ეკლესიები ზედმეტად ლიბერალურები არიან და მუშაობენ ქალთა თანასწორობისათვის, ასევე ისინი არ თვლიან, რომ ჰომოსექსუალიზმი ცოდვაა. ლუთერანული ეკლესიები: ფინეთში, შვედეთში, ნორვეგიაში და დანიაში აკურთხებენ ქალებს და ჰყავთ ქალი ეპისკოპოსები. მსოფლიოში არსებულ პროტესტანტულ ეკლესიებს შორის არსებობს ერთსულოვნება გენდერის საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად ნებისმიერ ქალს შეუძლია პროტესტანტულ ეკლესიაში გახდეს ეპისკოპოსი.[151]

ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს გენდერულ საკითხებს ევროკავშირში. ქალის და კაცის თანასწორობა ევროკავშირის საერთო ღირებულებაა. ევროკავშირმა დიდი ხანია მიიღო კანონმდებლობა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, წევრი ქვეყნები ვალდებულები არიან საკუთარ ქვეყანაში ეს კანონები გაატარონ. ევროკავშირი ცდილობს, რომ ქალისა და კაცის ჩართულობა თანაბარი გახადოს, რადგან წინა წლებში კაცების პრივილეგიები საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში აშკარა იყო. ამ საკითხთან

---

[149] Vatican condemn gender theory as a bid to destroy nature. https://www.reuters.com/article/us-vatican-gender-idUSKCN1TB20E (08.01.2023).
[150] The role of woman in protestantism. https://museeprotestant.org/en/parcours/le-role-des-femmes-dans-le-protestantisme/ (08.01.2023).
[151] Gender and sexuality. Religion library Protestantism. https://www.patheos.com/library/protestantism/ethics-morality-community/gender-and-sexuality (08.01.2023).

დაკავშირებით ევროკომისია წლიურად წარადგენს ანგარიშს თუ როგორი ვითარებაა ევროკავშირში გენდერული იდენტობის კუთხით.[152]

ევროკავშირი დღეს ითვლება ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციად გენდერული იდენტობის დაცვის საკითხებში, ევროკავშირის გენდერული პოლიტიკის მიზანია გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლაა. ევროკავშირის ასეთ პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებობდა კითხვები, შეძლებდა თუ არა ევროკავშირი საკუთარი პოლიტიკის განხორციელებას, რადგან გარკვეულ პერიოდში ევროკავშირს საბიუჯეტო კრიზისი შეექმნა. თუმცა გენდერის თეორიის წარმოშობა განაპირონა მრავალმა მიზეზმა. პირველ რიგში იმან, რომ ქალები ზოგიერთ ქვეყანაში განათლების ხელმისაწვდომობას იყვნენ მოკლებულნი, რადგან ასეთ საზოგადოებებში თვლიდნენ, რომ ქალები საოჯახო საქმეებით უნდა შემოფარგლულიყვნენ. განათლებას მოკლებული ქალები კი დიდწილად კაცებზე იყვნენ დამოკიდებულები. აფრიკასა და დასავლეთ აზიაში ქალები გარიყულები არიან და არ აქვთ განaთლებაზე ხელმისაწვდომობა.[153]

**დასკვნა**

